

ბირაო არასრულწლოვნების თავისუფლების სანაცვლოდ

A4



შანტაჟი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან?

A4



ტოპმიოლერი კმაყოფილია

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 24 მარტი, 2006 წელი. №63 (1215)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ორ უნივერსიტეტს ერთი ახალი რექტორი ეყოლება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტთან გაერთიანდა. შესაძლოა, ახალი უნივერსიტეტის რექტორად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ხელმძღვანელი, გიგი თევზაძე დაინიშნოს.

A2

## სამართალი

### სარჩელები „საქართველოს წინააღმდეგ" ევროპული სასამართლოს სამსჯავროზე

სულ რაღაც ორი კვირის მანძილზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ორი სარჩელის ბედი გადაწყდა.

A4

## სპორტი

### ტექნოლოგიური იდიოტიზმი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი როჟე ფედერერი და რუსი მარატ საფინი საჩოგბურთო სიახლეს ეწინააღმდეგებიან. საუბარია საჩოგბურთო ტურნირებზე ვიდეოგამეორებების გამოყენების მართებულობაზე. ჩოგბურთელები მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიური სიახლე თამაშის ტემპს დააგდებს და მატჩის სანახაობასაც ჩაკლავს.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 24/03 | 25 /03 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 17 |
| ტყიბული | 18 | 15 |
| სოხუმი | 22 | 11 |
| დმანისი | 12 | 10 |
| გორი | 15 | 12 |
| ონი | 11 | 4 |
| ზუგდიდი | 23 | 18 |
| ახმეტა | 16 | 16 |
| გაგრა | 21 | 12 |
| სამტრედია | 21 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.2080 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1978 |
| რუბლი | 0.0659 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
საზოგადოება A 5
სპორტი A 6
იუმორი A 7
სხვადასხვა A 8

# უკრაინული დილემა

## ყოფილი მოწინააღმდეგეების შესაძლო ალიანსი

სოფო ბუკია

*26 მარტის საპარლამენტო არჩევნებს უკრაინა პოლიტიკურად დანაწევრებული ხვდება. უმაღლეს რადაში მოსახვედრად 40-მდე პოლიტიკური პარტია თუ ბლოკი იბრძოლებს. წინასწარი მონაცემებით, საპარლამენტო უმრავლესობისთვის საჭირო ხმების რაოდენობას ვერც ერთი პარტია ვერ დააგროვებს. საარჩევნოდ გაერთიანება ვერ მოახერხა ვერც "ნარინჯისფერმა ბანაკმა", რომელიც ამ არჩევნებს "მარტივ მამრავლებად" დაშლილი ხვდება. აქედან გამომდინარე, უკრაინული არჩევნების მთავარი ინტრიგა არჩევნების შედეგები სულაც არ არის. შედეგებზე მეტად უკრაინელებს უკვე არჩევნების შემდგომი გადანაწილება აინტერესებთ, რომელიც ახალი საპარლამენტო უმრავლესობის კონტურებს ჩამოაყალიბებს. უკრაინის არჩევნების შედეგები ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეზე პოლიტიკური პროცესები უკრაინაში ძალთა ბალანსზე დიდად იქნება დამოკიდებული.*

არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით უკრაინაში სიურპრიზებს არ ელიან. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ჩატარებული სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ 26 მარტს რადაში ვიზას ექვსი პარტია მიიღებს. საინტერესოა, რომ ორი კვირის წინ ჩატარებული სოცგამოკითხვის შედეგად ამ ექვსეულში "ნარინჯისფერი რევოლუციის" ანტიგმირის ვიქტორ იანუკოვიჩის "რეგიონების პარტია" ლიდერობს. მას ფეხდაფეხ მიჰყვება პრეზიდენტ იუშჩენკოს პოლიტიკური ბლოკი "ნაშა უკრაინა". მესამე ადგილზეა უკრაინის "რკინის ლედი" იულია ტიმოშენკო, მისივე სახელობის ბლოკით. წინასწარი მონაცემებით, უმაღლეს რადაში შესვლას მოახერხებენ ასევე კომუნისტური და სოციალისტური პარტიები და რადას სპიკერის ვლადიმირ ლიტვინის "სახალხო ბლოკი".

მთავარი პრობლემა ის არის, რომ საპარლამენტო უმრავლესობის დაკომპლექტებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობას ამ საარჩევნო სუბიექტებიდან ვერც ერთი ვერ მიიღებს. ამდენად, რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო აქტუალური ხდება იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდება უკვე დაკომპლექტებულ რადაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უნიკალური პლასტიკური ბარათი

## "თიბისი ბანკის" და "მაგთიკომის" ახალი ერთობლივი პროექტი

B

სალომე ძაძამია

*5 აპრილიდან "თიბისი ბანკი" და კომპანია " მაგთიკომი" ერთობლივ პლასტიკურ ბარათს - "ვიზა-კომფორტს" გამოუშვებენ. ეს იქნება ჩიპური ტექნოლოგიის საერთაშორისო ბარათი, უნიკალური ფუნქციებით, რომლის მსგავსი არ აქვს არც ერთ პლასტიკურ ბარათს საქართველოში. ბარათის შეძენა "მაგთი GSM"-ის ნებისმიერ აბონენტს შეეძლება.*




- "თიბისი ბანკისაგან" მომხმარებელი მიიღებს: ავტომატურ კომუნალურ გადარიცხვებს, ანგარიშზე თანხის შეტანას ბანკომატით, SMS-სერვისსა და ინტერნეტ-ბანკს.
- "მაგთისგან" მომხმარებელი მიიღებს: ნომრის დაფარვის მომსახურების ჩართვას, დაფარული ნომრის ამოცნობის ჩართვას, WAP, GPRS, MMS მომსახურების ჩართვას.

# თავკომბალა ხელოვნება

სოფო კილასონია

სათაურს უთუოდ წაიკითხავდით. ამიტომაც ნამდვილად ვერ მეტყვით, რომ ვერ მიხვდით, რაზე მიგანიშნებთ. მიხვდებოდით კიდევ იმიტომ, რომ ძალიან ხშირად გაგიგონიათ სხვადასხვა გამაოგნებელი ისტორიები, როგორ გადაეკიდნენ ხელოვანები ერთმანეთს, როგორ აიძულეს ერთმანეთი ამდგარიყვნენ და წასულიყვნენ სხვაგან, სულ სხვაგან, როგორ დასხდნენ და იბატონეს მარტოებმა. ამ და სხვა ამგვარ შეცდომებს საზოგადოება და ისტორია მათ პატიობდა მათივე დიდი ნიჭისა და დამსახურების გამო.

გაგრძელება A8 გვერდზე



# სტატუსობანა

*რუსეთის მთავრობის მოხელეები სამხრეთ ოსეთის უახლოეს მომავალში შემოერთების შესახებ საუბრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მოსკოვი ამგვარ განზრახვას უარყოფს, რუსი დიპლომატები სულ უფრო ნაკლებად საუბრობენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე და აქცენტს სტატუსის შესახებ მომავალ მოლაპარაკებებზე აკეთებენ. სულ უფრო ხშირად რუსეთში, საქართველოზე მსჯელობისას, კოსოვოს მომავალ პრეცედენტზე მიანიშნებენ.*

დიმიტრი ავალიანი

"რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის შემოერთების შესახებ," - ეს განცხადება გუშინ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მთავრობების ერთობლივ სხდომაზე რუსეთის პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ, ვინმე გენადი ბუკაევმა გააკეთა.

ბუკაევმა აღნიშნა, რომ "ორი რესპუბლიკის ეკონომიკური ინტეგრაციისათვის" ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩრდილოეთ ოსეთისა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ჩინოვნიკები ამ განცხადებას ოვაციებით შეხვდნენ. იმას, რომ ვლადიკავკაზში ამგვარი განცხადება ნამდვილად გაკეთდა, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურშიც ადასტურებენ.

რუსეთის მთავრობაში კი ამ ცნობამ შოკი გამოიწვია. რუსული მედიის ანონიმური წყარო მთავრობაში აცხადებს, რომ ბუკაევი რეგიონში მართლაც მთავრობის დავალებით გაემგზავრა, მაგრამ ამგვარი განცხადებების გაკეთების უფლებამოსილება მას არ გააჩნდა. ანონიმი ჩინოვნიკის თქმით, ანალიტიკური მუშაობა კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით მუდმივად მიმდინარეობს, მაგრამ დიპლომატიურად და იურიდიულად გამართული გადაწყვეტილებები ჯერ მზად არ არის. მეორე ჩინოვნიკი რუსეთის მთავრობაში კი აცხადებს, რომ ბუკაევმა "ოდნავ იჩქარა" და დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოს თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას უნდა დალოდებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღესასწაული და დაპირებები აჭარაში

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

გუშინ აჭარაში ბათუმის განმათავისუფლებელი გმირების ხსოვნის დღე აღინიშნა. 1921 წელს, როდესაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა ქალაქს ტოვებდა, ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის ხელშეკრულების თანახმად, ბათუმის ოლქი ათათურქის რესპუბლიკას უნდა გადასცემოდა. 18 მარტს, ამ აქტის განსახორციელებლად ბათუმის შემოგარენში, გენერალ ქიაზიმ-ბეის მეთაურობით, თურქული ბატალიონი შემოვიდა. საქართველოს მენშევიკური მთავრობის საჯარისო ფორმირების ხელმძღვანელმა, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და რომ არა ეს ფაქტი, დღეს, ისევე როგორც ართვინის, არდაგანისა და რიზეს ვილათები, აჭარაც თურქეთის შემადგენლობაში იქნებოდა.

აჭარის ხელისუფლებამ, 23 მარტს, ამ გმირობის აღსანიშნავად გრანდიოზული დღესასწაულის მოწყობა გადაწყვიტა, მაგრამ პროგრამა მნიშვნელოვანწილად შეიცვალა. ბათუმში მხოლოდ სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ჩამოვიდა, რომელიც დაღუპულთა მემორიალთან მისვლის შემდეგ, ყაზახი ინვესტორების მიერ შესყიდულ ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა. **"თქვენი საკითხი ეხება რამდენიმე სტრუქტურას, მე კი მხოლოდ ერთ-ერთს წარმოვადგენ. პირობას გაძლევთ, რომ თქვენს გულისტკივილს ჩავიტან თბილისში და ყველა შესაბამის უწყებას მოვახსენებ,"** - განაცხადა ხაინდრავამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ოპოზიციამ ამჯერად ირაკლი ჩოგოვაძეს შეუტია

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიცია ხელისუფლებას ყოველდღე ახალ-ახალ პრეტენზიებს უყენებს. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" კრიტიკის ობიექტს ამჯერად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი ირაკლი ჩოგოვაძე წარმოადგენს.

ამის მიზეზი კი შემდეგია: გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეკომიგრანტებსა და აფხაზეთიდან დევნილებს გარდაბნის რაიონში, სოფელ სართიჭალის მახლობლად, მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში არსებული კოტეჯები გადაეცათ საცხოვრებლად.

2004 წელს ამ მოქალაქეებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, რომ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი კოტეჯების პრივატიზების ნება მისცემოდათ. ეს განცხადება სახელმწიფო კანცელარიიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადაიგზავნა, სადაც კოტეჯები გასაყიდი ობიექტების ნუსხაში შეიტანეს და აუქციონზე გაიტანეს. მიმდინარე წლის 15 მარტს ისინი ვინმე გიორგი კანდელაკმა შეიძინა, ეკომიგრანტებისა და ლტოლვილების 35 ოჯახს კი, ყოველგვარი კომპენსაციისა და საცხოვრებელი ფართის მიცემის გარეშე, ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება.

**"განა, სახელმწიფოსთვის სულ ერთი არ იყო, ვინ ჩარიცხავდა ბიუჯეტში შესატან თანხას, - თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ კოტეჯებში მცხოვრები ხალხი თუ მათი ამჟამინდელი მესაკუთრე?"** - კითხულობენ ხელისუფლებისგან გაწბილებული ადამიანები, რომლებმაც საშველად გუშინ ოპოზიციურ საპარლამენტო ფრაქციას მიაკითხეს. "დემოკრატიული ფრონტის" მდივანი კახა კუკავა მოუწოდებს ეკონომიკის მინისტრს, არ დაამტკიცოს პრივატიზაციის შედეგები და აღნიშნულ ქონებაზე არანაირი ხელშეკრულება არ გააფორმოს.

**"ირაკლი ჩოგოვაძემ წინანდალი უკვე გაყიდა და ახლა სხვა ქართულ დასახლებებს მისდგა,"** - აცხადებს კუკავა. მას განზრახული აქვს, უახლოეს მომავალში შეიმუშაოს "დევნილთა შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ყველა დევნილს, ვისაც სახელმწიფო ქონება გაურკვეველი ფორმით აქვს გადაცემული, ის აუცილებლად დაუკანონდეს, ნაწილს - საკუთრების ფორმით, ნაწილს - უზურფრუქტის წესით.

კახა კუკავა იმედოვნებს, რომ საკანონმდებლო ინიციატივას სხვა პოლიტიკური ძალებიც დაუჭერენ მხარს.

## ეუთოში აშშ-ს ელჩი რუსეთს ადანაშაულებს

ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე ეუთოში აშშ-ს ელჩმა ჯული ფინლიმ განაცხადა, რომ რუსეთს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად მეტის გაკეთება შეუძლია. მისი თქმით, სწორედ შერეული სამშვიდობო ძალების წარუმატებლობაა, "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონიდან უკანონოდ განლაგებული მძიმე სამხედრო ტექნიკა რომ არ არის გაყვანილი.

ამერიკელი დიპლომატის ამ განცხადებას წინ უძღოდა საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის როი რივის მოხსენება "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ, ჯული ფინლიმ დაგმო ოსი სეპარატისტების ლიდერის ედუარდ კოკოითის მიერ 22 მარტს გაკეთებული განცხადება რუსეთში გაერთიანების შესახებ.

"ჩვენ შეშფოთებული ვართ იმ ინფორმაციების გამო, რომელიც ეხება უკანონო სამხედრო ტექნიკის არსებობას კონფლიქტის ზონაში, ასევე, შერეული სამშვიდობო ძალების წარუმატებლობას, უზრუნველყოს ეუთოს კონტროლქვეშ ამ ტექნიკის გაყვანა კონფლიქტის ზონიდან," - აცხადებს ჯული ფინლი.

მისივე თქმით, აშშ მხარს უჭერს როი რივის წინადადებას კონფლიქტის ზონის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ გუფთასთან საგუშაგოს გახსნის შესახებ. "საგუშაგო არსებითად დაეხმარება შერეულ სამშვიდობო ძალებს და ეუთოს მონიტორინგის ოფიცრებს, არ დაუშვან უკანონო აღჭურვილობის შემდგომი გადაადგილება კონფლიქტის ზონაში," - აცხადებს ჯული ფინლი.

იგი ასევე მიესალმა როი რივის წინადადებას, მოუწოდონ კონფლიქტის მხარეებს, შეასრულონ თავიანთი ვალდებულება ცეცხლის განუახლებლობის თაობაზე. აშშ-ს ელჩის განცხადებით, ამგვარი ვალდებულება კონფლიქტის ზონაში საერთო ვითარებას გააუმჯობესებს.

ჯული ფინლისთვის მისაღებია ქართული მხარის წინადადება კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციისა და ნდობის აღდგენის მიზნით ცალმხრივი ქმედებების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე სიტყვით 27 მარტს გამოვა და წევრ სახელმწიფოებს ამ ქმედებების განხორციელების თაობაზე ინფორმაციას მიაწვდის. **მედიანიუსი**

## ორ უნივერსიტეტს ერთი ახალი რექტორი ეყოლება

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტთან გაერთიანდა. შესაძლოა, ახალი უნივერსიტეტის რექტორად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ხელმძღვანელი, გიგი თევზაძე დაინიშნოს.*

ნათია მსხილაძე

სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლების ნაწილი ამ გაერთიანების წინააღმდეგ არ გამოდიან, თუმცა აცხადებენ, რომ პედაგოგიური უნივერსიტეტის სტატუსი შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო. ისინი სასწავლებლისთვის პედაგოგიური სტატუსის გაუქმებას აპროტესტებენ. უნივერსიტეტის სტუდენტებს კი აინტერესებთ, გაერთიანების შემდეგ რა სტატუსი ექნებათ და განათლების სამინისტროსგან ამ კითხვაზე პასუხს ელიან.

უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიურ უნივერსიტეტში სამი დღეა, სასწავლო პროცესი შეწყვეტილია.

ახალი უნივერსიტეტის რექტორად გიგი თევზაძის კანდიდატურა მოიაზრება. გიგი თევზაძემ გაზეთ "24 საათთან" საუბრისას დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტისა და უცხო ენების ინსტიტუტის გაერთიანების შემდეგ, შესაძლოა, ახალი უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნოს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს.

გიგი თევზაძე, სულხან საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციის გაუქმებას, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ინსტიტუტთან შეერთების შემდეგ, კატეგორიულად გამორიცხავს. **"დღეს საქართველოს ყველაზე მეტად პროფესიონალი პედაგოგები სჭირდება. გაერთიანების შემდეგ ეს მიმართულება არამც თუ შესუსტდება, არამედ გაათმაგდება. ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს დონორ ორგანიზაციებთან, რათა პედაგოგიკის სწავლება ახალ ინსტიტუტში დამატებითი გრანტებით დაფინანსდეს. რაც შეეხება, სტუდენტების შიშს, რომ მათი სტატუსი გამსხვილების შემდეგ გაურკვეველი იქნება, აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ყველა სტუდენტი, ვინც დღეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს, ინსტიტუტს დაამთავრებს და იმ დიპლომს მიიღებს, რა ფაკულტეტზეც ჩაირიცხა,"** - აღნიშნა გიგი თევზაძემ.

## მოკლედ

### 198-ე სკოლაში სახელფასო დავალიანების საკითხს კომისია შეისწავლის

ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს გუშინ სკოლის პედაგოგებთან მისულმა განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა. როგორც "ინტერპრესნიუსს" პედაგოგთა პროფკავშირების წარმომადგენელმა ციცინო გოგოტიშვილმა განუცხადა, სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მათ 3 თვის სახელფასო თანხა – 6 500 ლარი გადმორიცხული აქვთ. სკოლის დირექტორის განცხადებით კი, მან ეს თანხა სამინისტროს მითითებით სკოლის სარემონტო სამუშაოებისთვის გამოიყენა.

გოგოტიშვილის განცხადებით, თუ რამდენად მიზანმიმართულად დაიხარჯა თანხები, ამას შესაბამისი კომისია დაადგენს. 198-ე სკოლის პედაგოგებმა 3 თვის სახელფასო დავალიანების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია დღეს გამართეს.

პედაგოგებმა საქმის კურსში დირექცია ჩააყენეს, რომელმაც, თავის მხრივ, ხელფასების დაგვიანების შესახებ განათლების სამინისტროს აცნობა. როგორც პედაგოგები აცხადებდნენ, მათ ეუბნებიან, რომ თანხა გადარიცხულია, თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო თანხის გაცემა ვერ ხერხდება.

198-ე სკოლაში უნარშეზღუდული ბავშვები სწავლობენ, ასეთი ტიპის სკოლა საქართველოში ერთადერთია. **ინტერპრესნიუსი**

## დღესასწაული და დაპირებები აჭარაში

პირველი გვერდიდან

გუშინვე დაგეგმილი იყო ბათუმში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩასვლაც. იგი აჭარაში მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ ოფიციალურად მხოლოდ ქობულეთში დასასვენებელ-გასართობ კომპლექს "ციცინათელას" მშენებლობის დაწყების პრეზენტაციას დაესწრო. პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, აქაც სიტყვაუხვი დაპირებებით გამოირჩეოდა: **"ჩვენ ვიწყებთ ფართომასშტაბიან, უპრეცედენტო აღმშენებლობით სამუშაოებს შავიზღვისპირეთში. შენდება ახალი გასართობი ცენტრი "ციცინათელა". ეს იქნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. აქ გავხსნით ისეთ პარკს, რომ არ შეგვრცხვება არც ამერიკის პრეზიდენტის მიღებისა, მით უმეტეს, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტების ჩამოყვანის. წავლენ ისინი და მოყვებიან, ქართველები როგორ "გაქაჩულან".**

პრეზიდენტის განცხადებით, წელს დასრულდება ოზურგეთი-ქობულეთის, სარფი-ბათუმის, ასევე მაღალმთიანეთში გზების მშენებლობა. აჭარაში 30-მდე ახალი, ევროპული ტიპის ტურისტული ობიექტის მშენებლობა იწყება. ახალი ტიპის განათებები დამონტაჟდება ჩოლოქიდან სარფამდე. გაიხსნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი რამდენიმე მსხვილი საწარმოო ობიექტი, სადაც გურიის, აჭარის და სხვა რეგიონების პროდუქტები უნდა გადამუშავდეს. წლის ბოლომდე დამთავრდება ბათუმის აეროპორტის მშენებლობა, სადაც იქნება თანამედროვე ევროპული ტიპის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები. შესაძლებელი გახდება თანამედროვე ტიპის საჰაერო ხომალდების მიღება. აშენდება 15 ახალი სკოლა.

ეს არის არასრული სია იმ დაპირებებისა, რაც პრეზიდენტმა ქობულეთში, მდინარე ჩოლოქის პირას გააკეთა.



*პრეზიდენტმა საფუძველი ჩაუყარა ახალ პროექტს აჭარაში.*



*ზეიმზე ჩასულ ხაინდრავას ლტოლვილების ჩივილის მოსმენა მოუხდა.*

## საფრანგეთი საქართველოს ნატოში გაწევრიანებაში დახმარებას ჰპირდება

"ევროსტრუქტურებში კავკასიის რეგიონის სრული ინტეგრაცია ნატოს წევრი ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფოს ინტერესშია", - განაცხადა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ კრისტიან პონსლემ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის დროს. პარიზში ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტის მთავარი შეხვედრა საფრანგეთის სენატში გაიმართა.

კრისტიან პონსლე საქართველოში არსებული კონფლიქტებითაც დაინტერესდა და ქართულ მხარეს დაჰპირდა, რომ საფრანგეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებში.

პონსლეს განცხადებით, არსებობს ბევრი სფერო, რომელშიც საფრანგეთს საქართველოსთვის დახმარების გაწევა შეუძლია. მისივე თქმით, საფრანგეთის სურვილია, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება. რაც შეეხება გაყინულ კონფლიქტებს, ამ რეგიონში არსებული კონფლიქტები აუცილებლად მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე კრისტიან პონსლე საქართველოს ბევრ მნიშვნელოვან საკითხში მხარდაჭერას დაჰპირდა. კერძოდ, ისეთ საკითხებში, როგორიცაა საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირება, ასევე საქართველოს სწრაფვა დემოკრატიული პროცესების განვითარებაში.

"ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საფრანგეთის ეს მხარდაჭერა აუცილებლად გვექნება", - განაცხადა ბურჯანაძემ. იგი საფრანგეთში 20 მარტს გაემგზავრა და სამშობლოში დღეს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მთავრობის გადაყენება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, დღევანდელი საარჩევნო კანონმდებლობის გაუქმება და დემოკრატიული, სამართლიანი საარჩევნო კანონმდებლობის მიღება, დროებითი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება, სალარო აპარატების გაუქმება და ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა მკვლელობის, მათ შორის გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა, - ეს მოთხოვნები რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა ჩამოაყალიბეს, რომლებიც 30 მარტს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღებას აპირებენ. "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია", "წინ, საქართველო", "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" და "ლეიბორისტები" აცხადებენ, რომ თუ მიხეილ სააკაშვილი აღნიშნულ მოთხოვნებს არ შეასრულებს, აპრილიდან, მისი გადგომის მოთხოვნით, საყოველთაო ეროვნული წინააღმდეგობა და დაუმორჩილებლობა დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მამუკა კუდავა იმყოფებოდა, ვაშინგტონში ვიზიტი დაასრულა. 21-23 მარტს შეხვედრები გაიმართა ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდთან, სენატორ ჩაკ ჰეიგელთან და პენტაგონისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლებთან. საუბარი შედგა ასევე ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩებთან, კონგრესის აპარატის სტაფერებთან. საქართველოს დელეგაცია ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის ოფისსაც ეწვია. შეხვედრებისას საუბარი ძირითადად ორ თემას ეხებოდა - აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები, მათ შორის თავდაცვის სფეროში და ნატო-ს გაწევრიანების სამოქმედო პროგრამაში (MAP) საქართველოს ჩართვის პერსპექტივები. სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში დელეგაციის წევრები "ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობის" შესახებ მოხსენებით წარდგნენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ ოპოზიცია დეპუტატ ვალერი გელაშვილის ბიზნეს-ინტერესების შესწავლის დაწყებას ისტერიული ტონით შეხვდა და ხელისუფლებას დაემუქრა. ბოკერიას თქმით, მისთვის გაუგებარია, რას გულისხმობს ოპოზიციონერთა განცხადება იმის თაობაზე, რომ თუ გელაშვილი პარლამენტს დატოვებს, ისინი გადამჭრელ ზომებს მიიღებენ. „ოპოზიციონერებს ცოტა მეტი დაკვირვება ჰმართებთ, როდესაც მსგავსი ხასიათის განცხადებებს აკეთებენ. თუ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მუქარითა და შანტაჟის ენით აპირებს საუბარს, რისი ნიშნებიც უკვე არსებობს, ეს მათ კარგს არაფერს მოუტანს," - განაცხადა ბოკერიამ. **მედიანიუსი**

## უმუშევრობისთვის დაწესებული შემწეობა 1 ივლისიდან აღარ გაიცემა

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა კანონპროექტი "დასაქმების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

როგორც კომიტეტის სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კოკა ფრუიძემ განაცხადა, 2006 წლის 1 ივლისიდან უმუშევრობისთვის დაწესებული 20-ლარიანი შემწეობა აღარ გაიცემა. "დასაქმების პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, 2006 წლის 1 ივლისს შეწყდება. 1 ივლისიდან ამოქმედდება ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველი პირების დახმარებას გაითვალისწინებს. უმუშევრები, რომლებიც აქამდე 20- ლარიან შემწეობას იღებდნენ 1 ივლისიდან სოციალურ დახმარებას მიიღებენ", - განაცხადა ფრუიძემ.

მისი თქმით, კანონში ტერმინი "უმუშევარი" – "სამსახურის მაძიებლით" შეიცვლება.

2005 წელს უმუშევრობისთვის 20-ლარიანი შემწეობა 4 000-მა პირმა მიიღო. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უმუშევრობის შემწეობა ეძლევა პირს, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა და გათავისუფლებიდან სამი თვის შემდეგ აღრიცხვაზე ავიდა. ასეთი პირი 20-ლარიან შემწეობას სახელმწიფოსგან 6 თვის განმავლობაში იღებს. **ინტერპრესნიუსი**

## ტუბერკულოზი სოციალურ სტატუსს არ ცნობს

*24 მარტს, ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეს საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისიდან აღნიშნავენ. ანუ, მას მერე, რაც ერთ დროს კარგად მივიწყებულმა დაავადებამ კვლავ შეგვახსენა თავი. სოციალურ დაავადებად წოდებული ტუბერკულოზი საქართველოს მოსახლეობაში 1990-92 წლებიდან კატასტროფული სიხშირით გავრცელდა. წლების განმავლობაში "ზეპირსიტყვიერმა" ბრძოლამ იმ შედეგამდე მიგვიყვანა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საქართველოში ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობას სავალალო უწოდა.*

თამარ მაისურაძე

დღეს საქართველოში ოფიციალურად 6 ათასამდე ტუბერკულოზით დაავადებულია რეგისტრირებული. როგორც ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი არჩილ სალაყაია ამბობს, დაავადების დინამიკა ბოლო წლებში სტაბილურია. **"წინა წლებში უფრო მეტი ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის გამოვლენა ხდებოდა. დადებითი დინამიკაა მკურნალობის შედეგების თვალსაზრისითაც,"** – აღნიშნა მან.

ტუბერკულოზით დაავადებულთათვის ყველაზე პრობლემური შეწყვეტილი მკურნალობის გაგრძელებაა. რადგან, მკურნალობის შეჩერების შემდეგ, პაციენტის ორგანიზმი რეზისტენტული ხდება, ანუ აღარ რეაგირებს იმ მედიკამენტზე, რომელმაც უნდა განკურნოს. სტატისტიკური მონაცემებით, შემცირებულია იმ პაციენტთა რაოდენობა, რომელთაც მკურნალობა შუა გზაში შეწყვიტეს. მათი რაოდენობა 17 პროცენტიდან 12 პროცენტამდე დავიდა.

ტუბდისპანსერში დღეს 183 პაციენტი მკურნალობს. თითოეული მათგანის განკურნებისთვის სახელმწიფო ერთ საწოლ დღეში 17 ლარს და 50 თეთრს იხდის. ამ ფასში შედის ყველაფერი - ექიმის ხელფასი, კომუნალური გადასახადებისა და თავად პაციენტებისთვის აუცილებელი მომსახურებაც. აუცილებელ მომსახურებაში დიაგნოსტიკა და მკურნალობა შედის. ერთი სიტყვით, სახელმწიფო ტუბდისპანსერს 3 მილიონ 250 ათასი ლარით აფინანსებს. სხვა აქტივობები სხვადასხვა დონორმა და პარტნიორმა ორგანიზაციებმა ითავეს. მაგალითად, ეროვნულ ცენტრს აუცილებელი მედიკამენტებით გერმანიის მთავრობა ამარაგებს.

მართალია, ექიმები აცხადებენ, რომ ტუბერკულოზისგან დაზღვეული არავინაა და მცდარია აზრი, იმის შესახებ, თითქოს ეს დაავადება, მხოლოდ სოციალურად დაუცველების პრობლემა იყოს, თუმცა ფაქტია, რომ დისპანსერში ძირითადად, უკიდურესად გაჭირვებულები მკურნალობენ. 80-იან წლებში აშენებული, რამდენიმე წლის წინ კი ექსპლუატაციიდან გამოსული დისპანსერის ახალი შენობის გაუქმების მერე, საავადმყოფოში ნომერი პირველი პრობლემა ადგილის სიმცირე გახდა. 1912 წელს აშენებულ ძველ შენობაში, რომელშიც ტუბდისპანსერია განთავსებული, წლების განმავლობაში საწოლი მაშინ თავისუფლდებოდა, როცა პაციენტი კვდებოდა. დისპანსერში არსებული მძიმე სანიტარიული მდგომარეობის შედეგად, ხშირად ტუბერკულოზით მედპერსონალიც ავადდებოდა.

დღეს მოქმედი დისპანსერის გვერდით ტუბერკულოზის ახალი ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს და მის დასრულებას 2007 წლისთვის ელოდებიან. არჩილ სალაყაიას იმედი აქვს, რომ ცენტრის გახსნასთან ერთად, მომავალ წელს დაფინანსებასაც გაუზრდიან.

ზემოჩამოთვლილი სიახლეების მოლოდინში ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეს აღვნიშნავთ. წლევანდელი დევიზია: **"დროა, განვდევნოთ ტუბერკულოზი".**

## მეცნიერები აკადემქალაქის გასხვისებას აპროტესტებენ

მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვანო კილურაძემ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. "განათლების მინისტრ ლომაიასა და მის ახლო ნათესავს, სამთავრობო კომისიის წევრ ფრიდონ თოდუას კარგა ხანია დაგეგმილი აქვს სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების ქალაქის ცენტრალური უბნებიდან ერთ-ერთ განაპირა უბანში გადასახლება და გამოთავისუფლებული შენობების გასხვისება. პირველ რიგში, საქმე აკადემქალაქს ეხება, რომელიც მინისტრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალაქს სჭირდება, რადგან მეტად მომხიბვლელია ბინათმშენებლობისთვის", - განაცხადა კილურაძემ.

ვანო კილურაძე განათლების მინისტრს დეზინფორმაციის გავრცელებაშიც ადანაშაულებს. მისი განმარტებით, ალექსანდრე ლომაიამ იცრუა, როცა აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერ აკადემქალაქის ტერიტორიის დატოვების წინადადებით მთავრობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შევიდა.

მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თქმით, აკადემიის ხელმძღვანელობას ასეთი განცხადება არასდროს გაუკეთებია. კილურაძე აღნიშნავს, რომ აკადემქალაქი მეცნიერებას ეკუთვნის. "ათი წელია მეცნიერები მისი შენარჩუნებისთვის იბრძვიან და მისი გასხვისება დაუშვებელია. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასე უდიერად ექცევიან მეცნიერებას, სადაც ნეობოლშევიზმის დამკვიდრება და მეცნიერების მიზანმიმართული ნგრევა მიმდინარეობს", - აცხადებს კილურაძე. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# უკრაინული დილემა

პირველი გვერდიდან

უკრაინის ექს-პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომელიც საპრეზიდენტო პენსიაზე გასვლის შემდეგ პოლიტიკური პროგნოზების კეთებითაა გატაცებული, ვარაუდობს, რომ ახლად არჩეულ რადაში საერთო ენას გამონახავენ ყოფილი დაუძინებელი ოპონენტები იუშჩენკო და იანუკოვიჩი. კუჩმა სწორედ "ნაშა უკრაინისა" და "რეგიონების პარტიისგან" შემდგარ საპარლამენტო კოალიციას წინასწარმეტყველებს. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის პრემიერ-მინისტრობა საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებულ იანუკოვიჩს თითქმის განაღდებული ექნება.

ექს-პრეზიდენტის ამ პროგნოზს უკრაინელ ექსპერტთა ნაწილიც ეთანხმება.

როგორც ბრიტანული გაზეთი "Financial Times" წერს, იანუკოვიჩის და იუშჩენკოს გაერთიანებამ შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს უკრაინის ეკონომიკაზე, იუშჩენკოს რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაშიც დაეხმარება და გაზზე ფასების შემდგომ ზრდასაც შეაჩერებს.

მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება რომ რეალურია, ეს იულია ტიმოშენკომაც იცის. "ნარინჯისფერ პრინცესას" კარგად ესმის, რომ იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის დამეგობრების შემთხვევაში, იგი, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური ავანსცენის მიღმა აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომაც, ტიმოშენკომ კატეგორიულად მოსთხოვა იუშჩენკოს 26 მარტამდე გასცეს პასუხი კითხვას - აპირებს თუ არა "ნაშა უკრაინა" იანუკოვიჩთან საპარლამენტო კოალიციის შექმნას. **"ამ კითხვას 26 მარტამდე უნდა უპასუხოთ, რომ ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთოს,"** – აღნიშნა მან. ამასთან, ტიმოშენკომ არაერთხელ განაცხადა, რომ **"არასოდეს, არავითარ გარემოებაში არ შექმნის კოალიციას იანუკოვიჩის რეგიონების პარტიასთან".**

"ნაშა უკრაინასთან" გაერთიანება არ გამორიცხა თავად იანუკოვიჩმაც. ამის შესახებ განცხადება მან ამომრჩევლებთან ერთ შეხვედრაზე გააკეთა. იანუკოვიჩმა აღნიშნა, რომ **"მზადაა ითანამშრომლოს "ნაშა უკრაინასთან", მაგრამ მხოლოდ მის პატრიოტულ ფრთასთან".**



ვინ ვისთან შექმნის ალიანსს? - ეს კითხვა არჩევნების შედეგებზე აქტუალურია.

საპარლამენტო კოალიციის თემით თითქმის ყველა საარჩევნო სუბიექტი სპეკულირებს. იულია ტიმოშენკო იუშჩენკოს "ნაშა უკრაინას" ნარინჯისფერი იდეების ღალატსა და იანუკოვიჩთან შესაძლო ალიანსში ადანაშაულებს. "ნაშა უკრაინას" ლიდერებისგან ტიმოშენკოს მისამართით იდენტური ბრალდებები ისმის.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი "ნარინჯისფერი" თანაგუნდელები უფრო შეურიგებლად ებრძვიან ერთმანეთს, ვიდრე იანუკოვიჩის ბლოკთან ოპონირებენ.

მიუხედავად ყველაფრისა, საარჩევნო ეიფორიის დასრულების შემდეგ საარჩევნო ოპონენტებს ერთ მაგიდასთან დასხდომა და საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირება აუცილებლად მოუწევთ.

პირველად უკრაინის ისტორიაში უკრაინის პარლამენტმა მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს. საამისოდ კი 226 დეპუტატისგან შემდგარი საპარლამენტო უმრავლესობაა საჭირო.

უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ახლადმოწვეული პარლამენტი უმრავლესობის ჩამოყალიბებას ვერ მოახერხებს, პრეზიდენტს უფლება აქვს, პარლამენტი ვადაზე ადრე დაითხოვოს და ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. მოვლენების ამ სცენარით განვითარება კი, ექსპერტთა აზრით, უკრაინას სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს და არასტაბილურობას უქადის.

პრეზიდენტმა იუშჩენკომ ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ მზადაა საპარლამენტო კოალიციაში შევიდეს ყოფილ "რევოლუციონერ" თანამებრძოლებთან. **"ჩვენ ნარინჯისფერი ბანაკიდან ვეძებთ თანამოაზრეებს,"** – განაცხადა "ნაშა უკრაინას" საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელმა რომან ზვარიჩმა, რომელმაც მეტი კონკრეტიკისგან თავი შეიკავა.

მიუხედავად "ნარინჯისფერ ბანაკში" არსებული მწვავე განხეთქილებისა, უკრაინელ ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ მომავალი საპარლამენტო კოალიციის სუბიექტებად სწორედ "ტიმოშენკოს ბლოკი" და "ნაშა უკრაინა" იქცნენ.

თუმცა, ექსპერტები აქვე აღნიშნავენ, რომ "ნაშა უკრაინას" მისამართით ტიმოშენკოს მწვავე წინასაარჩევნო რიტორიკამ და ასევე ამ ქალბატონის პრემიერ-მინისტრობის დაუფარავმა ამბიციამ შესაძლოა, ამ იდეას ფრთები ვერ შეასხას.

მსგავსი პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ძალიან მალე საპარლამენტო კოალიციის ყველაზე დაუჯერებელი და არაპროგნოზირებადი მოდელი შედგეს. როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, როდესაც საქმე მთავრობის ფორმირებამდე მივა, საპარლამენტო პარტიები აუცილებლად გამოძებნიან კონსესუსს და კოალიციის ჩამოყალიბებასაც შეძლებენ. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენ ხანს იარსებებს ეს კოალიცია, აღნიშნავენ ექსპერტები.

კრეშატიკი და დამოუკიდებლობის მოედანი დღეს ძალიან ჰგავს 2004 წლის ნოემბერის კიევის ცენტრს. ყველგან ნარინჯისფერი და ლურჯი დროშები ფრიალებს. საარჩევნო პლაკატებზე გამოსახული მომღიმარი სახეებიც იმ პერიოდიდანაა.

ოფიციალური მონაცემებით, უკრაინულ არჩევნებს 3 ათასზე მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი გააშუქებს. საგანგებოდ მობილიზებულია უკრაინული მედიაც. როგორც წინასწარ არის ცნობილი, შვიდი უკრაინული სატელევიზიო არხი არჩევნების დღეს ოცდაოთხსაათიან რეჟიმში იმუშავებს. დაგეგმილია პირდაპირი ჩართვები საარჩევნო უბნებიდან. მედიისთვის გამჭვირვალე იქნება საარჩევნო ხმების დათვლის პროცესიც. ხმების პარალელურ დათვლას გეგმავს ოპოზიცია. ამ ინიციატივით უკვე გამოვიდა იანუკოვიჩის "რეგიონების პარტია" და იულია ტიმოშენკოს ბლოკი. მედია ამ პროცესსაც აქტიურად მიადევნებს თვალს.

დაგეგმილია პირდაპირი სატელევიზიო ჩართვები აშშ-დან, რუსეთიდან, პოლონეთიდან და საქართველოდან, საიდანაც ადგილობრივი ექსპერტები უკრაინულ არჩევნებზე საკუთარ აზრს გამოხატავენ.

არჩევნების გაშუქების მსგავსი პრაქტიკა უკრაინას არ ახსოვს. როგორც ჩანს, პრეზიდენტი იუშჩენკო არ აპირებს მსოფლიო თანამეგობრობის გაწბილებას. მსოფლიო კი მართლაც დიდი ინტერესით ადევნებს თვალს იმას, თუ როგორ ჩააბარებს პოსტრევოლუციური უკრაინა "დემოკრატიის პირველ გამოცდას".

ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს ვიქტორ იუშჩენკო საკუთარ ხალხს შეჰპირდა, რომ არჩევნების შედეგებს პატივს სცემს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ შედეგების მიხედვით რადას შენობაში თეთრ ცხენზე ამხედრებული ვიქტორ იანუკოვიჩი უნდა შევიდეს.

# სტატუსობანა

პირველი გვერდიდან

ყოველ შემთხვევაში, ცხინვალისა და ვლადიკავკაზის მთავრობები, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების მოლოდინში, ამჟამად ცხინვალისკენ შემოვლითი გზის, რუსეთიდან ახალი გაზსადენის, ელექტროგადამცემი ხაზების და ახალი ტელერეტრანსლატორების მშენებლობის საკითხებს განიხილავენ.

**"საინტერესოა, რის საფუძველზე გააკეთა ეს განცხადება ბუკაევმა და რატომ განიხილებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობების ერთობლივ სხდომაზე საკითხი, რომელიც მათ კომპეტენციას სცილდება... თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ცალკეული რუსი ჩინოვნიკის ფანტაზიების კომენტირება მე შეუძლებლად მიმაჩნია,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ.

კავკასიის საკითხებში მოსკოველი ექსპერტის სერგეი არუტიუნოვის აზრით, რუსეთს სამხრეთ ოსეთის შემოიერთების არანაირი უფლება არ აქვს. **"ვფიქრობ, ამგვარი განცხადებების შემდეგ საქართველომ რეგიონში ჯარები უნდა შეიყვანოს და, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს კანონიერი იქნება. რუსეთის მხრიდან ეს განცხადება აგრესიის აქტად და სუვერენული სახელმწიფოს მთლიანობის ხელყოფად გამოიყურება. თანაც ამგვარ საკითხებზე განცხადებებით არა პრემიერის თანაშემწე, არამედ პრეზიდენტი ან საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა გამოდიოდნენ,"** - აცხადებს არუტიუნოვი.

ამასობაში რუსეთის საგარეო უწყება გამოეხმაურა ედუარდ კოკოითის 22 მარტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ იგი სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მოთხოვნით საარჩელს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანდა.

**"ეს საკითხი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო სათათბიროს წინაშე უკვე არაერთხელ დასმულა და მისი განხილვის შედეგები ცნობილია,"** – განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა.

მან განმარტა, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსი რუსეთის, საქართველოს, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მონაწილეობით, შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს. საინტერესოა, რომ ამჯერად რუსული ოფიციოზი აღარ ახსენებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღიარებას მოსკოვის მიერ და ამ საკითხს მოლაპარაკებების საგნად მიიჩნევს.

**"რუსული მხარის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ სტატუსის საკითხები შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, მოლაპარაკებების მესამე ეტაპზე უნდა იქნას განხილული,"** - განაცხადა კამინინმა.

ბუნდოვანი ოფიციალური პოზიციის ფონზე რუსული გამოცემების ფურცლებზე მუსირებს აზრი, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სტატუსისადმი რუსეთის დამოკიდებულება კოსოვოს მაგალითზე ჩამოყალიბდება, რაზეც ადრე თავის არანაკლებად ბუნდოვან განცხადებაში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მიანიშნა. სერბეთის ალბანელებით დასახლებული პროვინციისათვის დამოუკიდებლობის შესაძლო მინიჭების პერსპექტივამ პოსტსაბჭოთა თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელისუფლებებს და რუს ჩინოსნებს მოსვენება დაუკარგა. ზოგიერთ მათგანს მოთმინებაც ღალატობს.

# აშშ იაპონიაში სამხედრო ბაზებს ცვლის

გუშინ ტოკიოში აშშ-იაპონიის ორდღიანი მოლაპარაკებები დაიწყო ამომავალი მზის ქვეყანაში ამერიკის სამხედრო ბაზების დისლოკაციის ადგილის შეცვლის შესახებ.

იაპონიის მხარეს წარმოადგენენ ეროვნული უსაფრთხოების სამმართველოს თავდაცვის პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელი ხირონორი კანაძავა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ ამერიკის დეპარტამენტის მეთაური კაძუიოსი უმემოტო, ხოლო აშშ-ს მხარეს - თავდაცვის მდივნის მოადგილე რობერტ ლოულესი.

მოლაპარაკებების მთავარი თემაა 7 000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის დისლოკაციის ადგილის შეცვლა - სამხრეთ იაპონიის კუნძულ ოკინავადან კუნძულ გუამის ბაზაზე. ამ ცვლილების შესახებ შეთანხმებას მხარეებმა ჯერ კიდევ ჰონოლულუში 7-11 მარტს გამართულ მოლაპარაკებებზე მიაღწიეს, მხოლოდ გარკვეული დეტალების დაზუსტების გარეშე.

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო ბაზის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების რაოდენობა 10 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს; ამერიკული მხარე კი იაპონიისაგან ხარჯების 70 პროცენტის დაფარვას მოითხოვს.

როგორც ჩანს, იაპონიას აშშ-ს პირობებზე დათანხმება მოუწევს, რადგან კუნძულ ოკინავას მოსახლეობა, რომელსაც მხარს ადგილობრივი პრეფექტურაც უჭერს, ასეთი სახიფათო მეზობლების წინააღმდეგია.

შეთანხმებისამებრ, უნდა შემცირდეს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი, სამაგიეროდ, ხარისხობრივად გაუმჯობესდეს ტექნიკური მხარე. ეს კი მოძველებული რაკეტსაწინააღმდეგო ავიამზიდის "კიტი ჰოკის" შეცვლას გულისხმობს, რომელიც იოკოსუკის ბაზაზეა განთავსებული. "კიტი ჰოკიდან" ავიაგამანადგურებლები ქალაქ ივაკუნიში უნდა გადაიტანონ.

# ავიახაზების "შავი სია"

## ევროკავშირი უსაფრთხოების სტანდარტებს ამოწმებს

ევროკავშირმა იმ 92 ავიაკომპანიის სია გამოაქვეყნა, რომლებიც უსაფრთხოდ არ მიიჩნევიან და ევროკავშირის აეროპორტებში მათი მომსახურება იკრძალება. გარდა ამისა, კიდევ 3 ავიაკომპანიას დაწესებული აქვს შეზღუდვები. ზემოაღნიშნულ ავიაკომპანიათა უმრავლესობა აფრიკულია, ამათგან 50 კი - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრება.

არასანდო ავიაკომპანიების სიაში ასევე ფიგურირებს 2 ყაზახური და ამდენივე ყირგიზული კომპანია.

"შავ სიაში" შეტანილი ყველა ავიაკომპანია უფლებამოსილია, გაასაჩივროს ევროკავშირის გადაწყვეტილება და მათი რეისების უსაფრთხოების დამტკიცებას შეეცადოს.

ევროკავშირის წარმომადგენლები კი, თავის მხრივ, სიფრთხილეს იჩენენ, როდესაც აცხადებენ, რომ ევროპის საჰაერო სივრცეში გადაადგილების უფლებას მხოლოდ იმ ავიაკომპანიებს მისცემენ, რომლებიც უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებენ.

გარდა ამისა, ევროკავშირი უახლოეს მომავალში იმ ავიაკომპანიებისთვის ლიცენზიების მინიჭების ახალი სისტემის შემოღებასაც აპირებს, რომლებიც მესამე სამყაროს განეკუთვნებიან და ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში სურთ რეისების განხორციელება.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ "შავ სიას" - მისი შედგენისა და გამოქვეყნების გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2005 წლის ზაფხულში მიიღეს, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით მომხდარ ავიაკატასტროფაში დაღუპულთა რიცხვმა 500-ს მიაღწია.

თუმცა, ევროკავშირის გადაწყვეტილებას საავიაციო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ასეთი ქმედება ავიატრანსპორტის უსაფრთხოებას ვერ გააუმჯობესებს.

*ბი-ბი-სი*

# საქართველო ბელარუსის დემოკრატიულ ძალებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბელორუსიაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც საგარეო პოლიტიკური უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ბელორუსიაში საპრეზიდენტო არჩევნები დაშინების ატმოსფეროში ჩატარდა, არ იყო უზრუნველყოფილი პრესის თავისუფლება და პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის არ შექმნილა თანასწორი პირობები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ასეთი არჩევნები არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად და თავისუფლად.

სამინისტროს განცხადებაში, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, ნათქვამია, რომ ეუთო-სა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნები ერთსულოვნად შეაფასეს, როგორც უაღრესად არადემოკრატიული და არასამართლიანი, რომელსაც თან ახლდა ოპოზიციონერ კანდიდატთა და მათ მხარდამჭერთა დაშინება, საინფორმაციო საშუალებათა მიერ საარჩევნო კამპანიის მიკერძოებული გაშუქება და საარჩევნო პუნქტებში ხმების მასობრივი გაყალბება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სინანულს გამოთქვამს, რომ ბელორუსიის ხელისუფლებამ არ შეასრულა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და ვალდებულებები.

"ბელორუსიის ხელისუფლებამ ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო პირობები არ შექმნა", - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო პოლიტიკური უწყება მიიჩნევს, რომ ეუთო-ს მანდატით მოქმედი ქართველი დამკვირვებლების არჩევნებზე არდაშვება, მინსკის აეროპორტში მათი უკანონოდ დაკავება და ქვეყნიდან გამოძევება კიდევ ერთხელ ადასტურებს საარჩევნო პროცესის სერიოზული დარღვევებით ჩატარებას. "აღმაშფოთებლად მიგვაჩნია ყოველგვარი ბრალდების გარეშე საქართველოს სამი მოქალაქის დაკავება, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და პრინციპების სრული იგნორირება", - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო არ იზიარებს დსთ-ს დამკვირვებელთა შეფასებას, რომლის თანახმადაც საპრეზიდენტო არჩევნები ლეგიტიმურია და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება.

"საქართველო სრულ მხარდაჭერას გამოხატავს ბელორუსიის დემოკრატიული ძალების მიმართ. ეს მამაცი ადამიანები, რომლებსაც ბელორუსიის ხელისუფლების მხრიდან უპრეცედენტო პოლიტიკური ზეწოლის, პროვოკაციათა მუდმივი საფრთხის და დაპატიმრების შიშის ქვეშ უწევთ ცხოვრება, მსოფლიოს დემოკრატიული ძალების უდიდეს პატივისცემასა და მხარდაჭერას იმსახურებენ", - აღნიშნულია განცხადებაში.

სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ მთავრობა არ გამოიყენებს ძალას ოპოზიციის მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების დასაშლელად. "მოვუწოდებთ ბელორუსიის ხელისუფლებას, გაათავისუფლოს დაპატიმრებული ადამიანები და დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი ოპოზიციასთან. გამოვთქვამთ რწმენას, რომ დემოკრატიული ძალები ბელორუსიაში საბოლოო გამარჯვებას იზეიმებენ" - ნათქვამია განცახდებაში. **ინტერპრესნიუსი**

# კოტე გაბაშვილმა კონფერენცია პროტესტის ნიშნად დატოვა

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილმა სასტუმრო "თორში" მიმდინარე კონფერენცია პროტესტის ნიშნად დატოვა. როგორც მან განაცხადა, ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენლის შალვა თადუმაძის გამოსვლა, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებულ პრობლემებს ეხებოდა, "ავადმყოფური მოხსენება" იყო.

დეპუტატის შეფასებით, კონფერენციის მიზანია საქართველოს ნატოში გაწევრიანების საწინააღმდეგოდ მიმართული პიარ-აქცია, რადგან გამომსვლელები არაარგუმენტირებულად და მხოლოდ ტყუილებს საუბრობენ.

"ეს არის პოლიტიკური უსინდისობა და არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ამის მონაწილე ვიყო", - განაცხადა კოტე გაბაშვილმა.

ყოველწლიური კონფერენცია არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ინიციატივით ჩატარდა. მის თემას წარმოადგენდა "დემოკრატიული კონტროლი სამხედრო ძალებზე - გზა ნატოსკენ".

კონფერენციაზე პირველი გამომსვლელი იყო "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენელი შალვა თადუმაძე, რომლის განცხადებითაც, კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს თავდაცვის შიდა ადმინისტრაციული მოწყობა, კერძოდ, ჩამოუყალიბებელია ჯარების სახეობების სარდლობები და გაუმიჯნავია სამხედრო-სამოქალაქო სექტორი, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ხდება ფუნქციების დუბლირება და აღრევა.

მისი თქმით, ასევე გაურკვეველია, რაში დაიხარჯა მილიონობით საბიუჯეტო ლარი. თადუმაძის განცხადებით, ხდება საბიუჯეტო სახსრების არაეფექტური და არაეკონომიური ხარჯვა. რაც შეეხება ნატოსთან თავსებადობას, კვლავ პრობლემებია ტექნიკური და ლოჯისტიკური თვალსაზრისით და შეუსრულებელია IPAP-ის მოთხოვნის 16 პუნქტი. **ინტერპრესნიუსი**

# ქართველი დამკვირვებლები უკრაინაში

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) დამკვირვებლები, 26 მარტს უკრაინაში დაგეგმილი საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგს განახორციელებენ. ISFED-ის მოკლევადიან დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც 30 წევრისგან შედგება, უკრაინაში დღეს გაემგზავრება. ისინი არჩევნების დღეს განვითარებულ მოვლენებს და საარჩევნო პროცედურებს უკრაინის სამ ოლქში - სიმფეროპოლში, მიკოლაევსა და ზაპოროჟიეში დააკვირდებიან. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სამი გრძელვადიანი დამკვირვებელი, წინასაარჩევნო პროცესების განვითარებას უკრაინის სამ ქალაქში 20 თებერვლიდან აკვირდება.

ISFED-ი საქართველოდან ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ENEMO-ს (არჩევნების დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელი) წევრია. სწორედ ENEMO-ს ეგიდით განახორციელებს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებელთა ჯგუფი უკრაინაში არჩევნების მონიტორინგს. **ინტერპრესნიუსი**

# ახალი ამერიკული სარაკეტო ბაზა აღმოსავლეთ ევროპაში

პენტაგონი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის ფარგლებში ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში დამჭერი რაკეტების ბაზის განთავსებას გეგმავს. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანაში განთავსდება ეს ბაზა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო 2006 წლის შემოდგომისთვის მიიღებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ჰენრი ობერინგმა აცნობა. მისი თქმით, აშშ ამ საკითხზე მოლაპარაკებებს ევროპის რიგ ქვეყნებთან მართავს. შეიარაღების კონტროლის ასოციაციის მონაცემების თანახმად, ამგვარი ბაზის საკუთარ ტერიტორიაზე განთავსების მიმართ ინტერესს პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი იჩენენ. ობერინგმა აღნიშნა, რომ სააგენტოს 2007 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტით, ბაზის მშენებლობისთვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების შესაძენად 119 მილიონი დოლარია გამოყოფილი. ობიექტი შახტებში განთავსებული დამჭერი რაკეტებით ექსპლუატაციაში 2010-2011 წლებში უნდა გადაეცეს.

როგორც სააგენტოს ხელმძღვანელი დღემდე აცხადებდა, თეთრი სახლის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ სარაკეტო თავდასხმისაგან დაცული უნდა იყოს არა მარტო აშშ-ის ტერიტორია, არამედ უცხოეთში დისლოცირებული ამერიკული ჯარებიც, ასევე მოკავშირეები.

ჯერჯერობით პენტაგონის განკარგულებაშია ალიასკასა და კალიფორნიაში მდებარე ორი ბაზა, სადაც 10 ანტირაკეტაა განთავსებული. ექსპერტთა თქმით, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ აშშ ჩრდილოეთ კორეის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისაგან უნდა დაიცვას.

# "ეტა" მშვიდობაზე ფიქრს იწყებს

ბასკ სეპარატისტთა ტერორისტულმა დაჯგუფებამ "ეტა" დაზავება გამოაცხადა. "ეტა"-ს განცხადება ესპანეთის რადიოთი და ტელევიზიით გადაიცა. დაზავება 24 მარტიდან იწყება.

ამგვარად, "ეტა"-ს მიერ გასული საუკუნის 60-იან წლებში ბასკეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის დაწყებული ბრძოლა, შეიძლება ითქვას, დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში დაჯგუფებამ 830-ზე მეტი ადამიანის დაღუპვაზე აიღო პასუხისმგებლობა.

"ეტა"-ს მსხვერპლთა შორის ძირითადად პოლიტიკური მოღვაწეები, ესპანეთის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. ადრინდელისგან განსხვავებით ბოლო წლებში "ეტა" პოლიციას წინასწარ აფრთხილებდა, რა ადგილას აფეთქდებოდა ბომბი, რათა ხელისუფლებას თავიდან აეცილებინა მსხვერპლი.

## გირაო არასრულწლოვნების თავისუფლების სანაცვლოდ



სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გუშინ წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ დანაშაულის დაფარვისა და ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული მოზარდები, რომელთა დაპატიმრებასაც ბოლო პერიოდში სასკოლო აქციები მოჰყვა.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ დავით ბედიაშვილმა 16 წლის ნოდარ ჭუმბურიძესა და 17 წლის სანდრო წინწკალაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა გირაოთი შეუცვალა. ბრალდებულების ოჯახის წევრებმა 3 აპრილამდე 4-4 ათასი ლარი უნდა გადაიხადონ. თუ ოჯახის წევრები მითითებულ კანონიერ ვადაში ვერ დაფარავენ გირაოს თანხას, პროკურატურას უფლება ექნება, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს ხელახლა მიმართოს. აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობის მოთხოვნის უფლება პროკურატურას იმ შემთხვევაშიც ექნება, თუ ბრალდებულები გამოძიებასთან თანამშრომლობას არ გააგრძელებენ. გადაწყვეტილების გამოცხადებას მოზარდების ოჯახის წევრები და ნათესავები კმაყოფილებით შეხვდნენ.

ადვოკატი იასონ ბესელია კი მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით ნაწილობრივ არის კმაყოფილი, ვინაიდან გამოძიებას წინწკალაძისა და ჭუმბურიძის მიმართ ბრალი ისევ აქვს დასამტკიცებელი. თავად დაკავებულები ირწმუნებიან, რომ გამოძიების დასრულებამდე პროკურატურასთან თანამშრომლობას გააგრძელებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## შანტაჟი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან?

*სასჯელაღსრულების დაწესებულების N1 საპყრობილეში სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ აღმოჩენილი ნაცემი პატიმრის მდგომარეობას ყოფილი კოლეგები – ომბუდსმენი და ამჟამინდელი პენიტენციური სისტემის თავმჯდომარე სხვადასხვა შეფასებას აძლევენ. ეს კი საბოლოოდ ბაჩო ახალაიას მისამართით ახალი ბრალდებებით სრულდება.*

როგორც ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, რამდენიმე დღის წინ თბილისის N 1 საპყრობილეში პატიმარი იაგო წიქვაძე მოინახულეს და ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ პატიმარს სახისა და ზურგის არეში ძლიერი ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა.

**"პატიმარი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ მისი გადაადგილება ვერ მოხერხდა და იგი საკანში მოვინახულეთ. ძლიერი თავის ტკივილების გამო, წიქვაძემ ვერც ახსნა-განმარტების დაწერა შეძლო. შესაბამისად, ახსნა-განმარტების დაწერა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მოუხდათ და პატიმარმა მხოლოდ ხელი მოაწერა"**, - განაცხადეს საპყრობილედან გამოსულმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, რომლებსაც იაგო წიქვაძემ ისიც უთხრათ, რომ მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად ციხის უფროსმა თემურ ტაბალუამ მიაყენა.



*სოზარ სუბარი ნაცემ პატიმარს პირადად შეხვდა.*

აღნიშნული ფაქტის დაფიქსირებისთანავე ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა პროკურატურის შესაბამის სამსახურს და აღნიშნულ ფაქტზე გამოძიების დაწყება მოითხოვა. სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსს ბაჩო ახალაიას კი თემურ ტაბალუასთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე მეორე რეკომენდაცია გაუგზავნა.

სახალხო დამცველის ამ მოთხოვნის საპასუხოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ადამიანის უფლებების დამცველთა წარმომადგენლების მიერ დასახელებული ნაცემი პატიმარი მოინახულა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ფიზიკური დაზიანებების კვალი პატიმარს, რატომღაც, ვერ აღმოუჩინა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებულ ფაქტზე ბაჩო ახალაიას მხრიდან რადიკალურად განსხვავებული პოზიციისს დაფიქსირებამ გუშინ ომბუსდმენი იძულებული გახადა, პატიმარი წიქვაძე თავადაც მოენახულებინა. საპყრობილიდან გამოსულმა სოზარ სუბარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იაგო წიქვაძე სასტიკად არის ნაცემი, რაც სახეზე და ზურგზეც ეტყობა. თუმცა, სუბართან შეხვედრის დროს დაზარალებულმა პატიმარმა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა და ცემის ფაქტიც უარყო. ომბუდსმენის თქმით, ამის მიზეზი პარტიმრის უიმედობაა – წიქვაძეს არ სჯერა, რომ მის დახმარებას ვინმე შეძლებს.

**"იაგო წიქვაძეს სახესა და ზურგზე მკაფიოდ ეტყობა ხელჯოხების კვალი. ჯერ კიდევ ორი დღის წინათ პატიმარი ჰყვებოდა, თუ ვინ განახორციელა მასზე ფიზიკური ზეწოლა, ახლა ამ ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ ჩვენ ყველანი გარეთ გავალთ, ის კი ციხეში დარჩება"...**, - აღნიშნა სოზარ სუბარმა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებს პატიმრის მონახულებისა და მის საქმეში გარკვევისკენ მოუწოდებს.

სახალხო დამცველთან შეხვედრიდან ცოტა ხანში წიქვაძე ჟურნალისტებს და ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაუკავშირდა და თანადგომა სთხოვა. პატიმარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან შანტაჟზე ალაპარაკდა. მისი მტკიცებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შეხვედრის დროს დაჰპირდა, რომ თუ დანაშაულს არ გაახმაურებს, სასჯელს შეუმსუბუქებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პატიმრობას გაუხანგრძლივებს და თან მის მდგომარეობას გაუსაძლისს გახდის.

გუშინვე პატიმარი "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ და არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წევრმა გელა ნიკოლეიშვილმა მოინახულეს და მათაც დაადასტურეს, რომ წიქვაძე ნაცემია. ამასთან, ადამიანის უფლებების დამცველნი ადასტურებენ, რომ ბაჩო ახალაია პატიმარს აშანტაჟებს, რის გამოც ისინი იძულებულნი ხდებიან, პატიმარი ყოველ დღე მოინახულონ, რომ მასზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა არ მოხდეს.

მიუხედავად სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის განსხვავებული დამოკიდებულებისა, წიქვაძის ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება მაინც დაიწყო. ამის შემდეგ ნაცემმა წიქვაძემ პოზიცია შეცვალა და გამოძიებას ჩვენება მისცა. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცველები პატიმრის ცემის ფაქტს დაამტკიცებენ, მაშინ მათ იმაზეც მოუწევთ პასუხის გაცემა, რატომ აშანტაჟებდა ახალაია პატიმარს, რაც ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია.

*24 საათი*

## მოკლედ

### Complex Pro-ს დირექტორი მარტო არ მოქმედებდა

ფინანსური პოლიციის მიერ დაკავებულ Complex Pro-ს დირექტორის ბესო პარლაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, გამოძიებამ მართლმსაჯულებას გუშინ მიმართა და თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომაც გუშინვე გაიმართა. ვინაიდან დაკავებულს ბრალი რამდენიმე მუხლით ედება, გამოძიების მხარე მისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა. როგორც ცნობილია, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა პარლაშვილის კაბინეტიდან 1 მლნ. დოლარი ამოიღო. დაკავების დღესვე ფინანსურ პოლიციაში კომპიუტერული ტექნიკის მაღაზიის Complex Pro-ს დირექტორის ბესო პარლაშვილის დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა და საბოლოოდ მას გადასახადებისგან თავის არიდებისთვის, ეროვნული ვალუტის მიმოქცევის წესების დარღვევისთვის, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესების დარღვევისა და ყალბი აქტივების შექმნისთვის წარედგინა ბრალი. პოლიციაში ვარაუდობენ, რომ საქმის მსვლელობის პროცესში პარლაშვილის ბრალეულობა კიდევ უფრო დამძიმდება. როგორც საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ აღნიშნა, სამართალდამცავები ამ ფირმის საქმიანობის შესახებ შესაბამის ინფორმაციას ფლობდნენ. ბოლო მაქინაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს 265 000 ლარის ზარალი მიადგა. ბესო პარლაშვილმა ფიქტიური ფირმის გაფორმების შედეგად 1 მლნ. 600 ათასი ლარის ღირებულების კონტრაბანდული ტექნიკის ლეგალიზაცია მოახდინა. სამართალდამცავებს, ასევე, ჰქონდათ ინფორმაცია ფირმის მიერ 2003 და 2004 წლებში დამალული გადასახადების შესახებ. ლევან მხეიძის განცხადებით, არსებობს ეჭვი, რომ პარლაშვილი მარტო არ მოქმედებდა.

სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე Complex Pro-ს დირექტორის ადვოკატებმა სხდომის დახურვა მოითხოვეს, რაც მოსამართლემ, თითქმის, ერთსაათიანი ფიქრის შემდეგ დააკმაყოფილა. საბოლოოდ კი მართლმსაჯულებამ ბრალდების მხარის მოთხოვნა გაიზიარა და ბესო პარლაშვილის წინასწარ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. **ინტერპრესნიუსი**

### ადამიანის უფლებების სტანდარტები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მხარდაჭერით, გამოსცა სტატიათა კრებული "ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე". კრებულის პრეზენტაცია სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, კრებულში შეტანილია 15 ავტორის სტატია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებსა და მასთან საქართველოს კანომნდებლობის შესაბამისობაზე. სტატიათა კრებულის რედაქტორი იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე კონსტანტინე კორკელიაა. სტატიების ავტორები თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტები არიან, მათ შორის - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, სახელმწიფოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სიმონ პაპუაშვილი. კრებულის გამოცემა დაფინანსდა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის – "საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის ხელშეწყობა" - ფარგლებში. გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს დავალებით GTZ სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდასაჭერად საქართველოში ახორციელებს პროექტს, რომლის ძირითადი საქმიანობაა კანონმდებლობის ექსპერტიზა, იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარება და ახალი იურიდიული ლიტერატურის გამოცემა. **პრაიმ-ნიუსი**

## სარჩელები „საქართველოს წინააღმდეგ" ევროპული სასამართლოს სამსჯავროზე

*სულ რაღაც ორი კვირის მანძილზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ორი სარჩელის ბედი გადაწყდა.*

სარჩელი, სახელწოდებით "ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ", სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში თითქმის ოთხი წლის წინათ შევიდა და მხოლოდ ახლა გამოცხადდა ევროპელი მოსამართლეების გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სარჩელი არ იქნა დაშვებული არსებითი განხილვის ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ სარჩელი - "ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ" – ერთადერთი გახლდათ, რომელიც ევროკონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით საქართველოდან სტრასბურგში წავიდა. ეს მუხლი კი გამოხატვის თავისუფლების გარანტირებულ უფლებას გულისხმობს.

კონკრეტულად კი, საქმე ეხებოდა გაზეთ "ქობულეთის" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც ასევე აჭარაში გამომავალი რეგიონული გაზეთი "აჭარა P.S." საეჭვო რეპუტაციის, ჭორიკანა, უზნეოთა გაზეთად იყო მოხსენიებული.

როგორც შემდგომ საქართველოს საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციამ დაადგინა, ეს სტატია ხელყოფდა სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და გაზეთ "აჭარა P.S."-ის რეპუტაციას. ნატო ქათამაძეს, რომელიც იმ დროისთვის გაზეთ "ქობულეთის" რედაქტორი გახლდათ, და სხვა მოპასუხეებს საქართველოს მართლმსაჯულებამ დაზარალებულთათვის 4.000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა. სხვათა შორის ამ გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, გაზეთი "ქობულეთი" გაკოტრდა და ფუნქციონირება შეწყვიტა. ქართული მართლმსაჯულების საბოლოო ვერდიქტი ნატო ქათამაძემ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ შეიზღუდა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული, გამოხატვის თავისუფლების უფლება.

გასაჩივრებიდან ოთხი წლის შემდეგ კი ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციის გადაწყვეტილებები, მათში მოყვანილი სამართლებრივი შეფასებებისა და მოტივაციის გათვალისწინებით, წარმოადგენდნენ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ისეთ ღონისძიებებს, რაც აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დასაცავად. სწორედ აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მოცემული განაცხადი არსებით განხილვაზე დაუშვებლად ცნო.

სამაგიეროდ, იმავე ევროპული ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლეებმა სამართლიანად სცნეს საქართველოს მოქალაქის, 1923 წელს დაბადებული გივი დონაძის მოთხოვნა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის გამო, საქართველოს მთავრობას მის სასარგებლოდ 3 800 ევროს გადახდა დააკისრა.

საქმე ის გახლავთ, რომ გივი დონაძე 1962 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 1999 წლის ოქტომბერში კი სასამართლოში საჩივარი შეიტანა კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის წინააღმდეგ და მისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა იმის გამო, რომ 1991-1998 წლებში არასათანადო პირობებში უწევდა მუშაობა.

დონაძის საჩივარი საქართველოს სასამართლოების სამივე ინსტანციამ განიხილა და არც ერთმა არ მიიჩნია საფუძვლიანად. საბოლოოდ, მისი საჩივრის სასამართლო წარმოება საქართველოში, უზენაესი სასამართლოს მიერ 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დასრულდა. ამის შემდეგ, დონაძემ განცხადება ევროპის ადამიანის უფლებთა სასამართლოს გაუგზავნა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს შიდა სასამართლო ინსტანციებმა საჩივარი სრულად, სერიოზულად და ამომწურავად არ განიხილეს, რითიც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას დააკისრა განმცხადებლის სასარგებლოდ 3 500 ევროს გადახდა მიყენებული ზიანის, ხოლო 300 ევროს გადახდა სხვადასხვა სასამართლო ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

*24 საათი*

## კონკურსი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსს აცხადებს. ვაკანტური თანამდებობებზე საშუალო თანამდებობრივი სარგო 300 ლარს შეადგენს.

კონკურსი გასაუბრების ფორმით ჩატარდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება 27 მარტიდან დაიწყება.

ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ვაკანტურია შემდეგი თანამდებობები: ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის ტოქსიკოლოგიურ-ნარკოლოგიური ლაბორატორიის ექსპერტი; სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის ცოცხალ პირთა ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი; ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის განყოფილების უფროსი და სპეციალისტი; ფინანსური, საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზის სამსახურის სასაქონლო ექსპერტიზის განყოფილების უფროსი და ექსპერტი; იმერეთის რეგიონული ექსპერტიზის სამსახურის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსი და ექსპერტი; შიდა ქართლის რეგიონული ექსპერტიზის განყოფილების სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფის ექსპერტი; ქვემო ქართლის რეგიონული ექსპერტიზის განყოფილების სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფის ექსპერტი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ვინ დაივიწყა რუსთავ-ქალაქი?

საქართველოში რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ ყველას იმედი გაუჩნდა, რომ ქვეყანა განვითარების გზას დაადგებოდა და ეს ყოველ მოქალაქეს, ყველა სოფელსა და დაბას დაემჩნეოდა. გავიდა საკმარისზე მეტი დრო. ბევრი რამ მართლაც გაკეთდა, მაგრამ ძირითადად, ეს სიკეთე მარტო თბილისს თუ დაეტყო. მთავრობა თავს იწონებს ახალი გზებით, ახალი მშენებლობებით, გაორმაგებული პენსიებით და სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია და მისასალმებელი. თუმცა, დედაქალაქს ჯერ უამრავი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი და ამას ძალიან დიდი დრო და მუშაობა სჭირდება.

მთავრობამ თავის დროზე დასვა საკითხი, რომ ქვეყანაში "თავკომბალას" პრინციპით არ უნდა ხდებოდეს განვითარება. ყველა ძირითადი უწყება, ეკონომიკური თუ ბიზნეს-ცენტრები, საწარმოები და ა.შ. თავმოყრილი მარტო დედაქალაქში არ უნდა იყოს. თბილისის განტვირთვის მცდელობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ წყალტუბოში სამორინეების ცენტრის გახსნა გადაწყდა. საქართველოს სხვა რეგიონებსა და ქალაქებში სამორინეს ლიცენზია გააძვირეს, სამაგიეროდ, წყალტუბოში კაზინოს გახსნა მსურველს აბსოლუტურად უფასოდ შეუძლია, ანუ იქ ლიცენზია ნული თეთრი ღირს.

თბილისის თავკომბალისაგან განთავისუფლების საკითხზე მსჯელობა ამით დასრულდა. თუმცა, ჯერ არც წყალტუბოა ლას-ვეგასი და თბილისიც ძველებურად ითავსებს ქვეყნის ყველა ძირითად ადმინისტრაციულ თუ საწარმო ობიექტს.

მოდით, ეს საკითხი სხვაგვარად დავსვათ. თუკი, წყალტუბო დედაქალაქიდან საკმაოდ შორ მანძილზე მდებარეობს, ხომ არსებობენ ქალაქები, რომლებიც თბილისთან ახლოს არიან და იქ უამრავი ობიექტის ამუშავება თუ გადატანა შეიძლება.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აშენებული რუსთავი დღემდეც უპრობლემოდ შეითავსებდა თბილისის განტვირთვის საქმეს. ეს ქალაქი თავის დროზე მეტალურგიული ქარხნის მუშაობაზე იყო მობილიზებული და იქ ცხოვრება დედაქალაქში ცხოვრებაზე არანაკლებ პრესტიჟული გახლდათ.

დღეს კი თბილისიდან 15-20-ოდე წუთის სავალი გზა აბსოლუტურად უმოქმედო ქალაქში მოგიყვანთ, სადაც აღარც ქარხანა მუშაობს და მოსახლეობასაც დასაქმების პრობლემა ყველაზე მეტად აწუხებს.

მასმედიაში რუსთავის პრობლემებზე ბევრს არ საუბრობენ. იმ თითზე ჩამოსათვლელ ტელე-რეპორტაჟებსა და საგაზეთო პუბლიკაციებში, რომელიც რუსთაველების ცხოვრებას მიეძღვნა, ნათლად ჩანს ძირითადი პრობლემა, რომ ქალაქი ახალგაზრდობისგან იცლება. დღეს რუსთავში ათასობით ახალგაზრდა იქ დარჩენაში პერსპექტივას ვერ ხედავს და იძულებულია, ისევ თბილისს მიაშუროს და სარჩო-საბადებლის საშოვრად ისედაც გადატვირთულ და ბაზრობებად ქცეულ დედაქალაქში სინჯოს ბედი. ეს წლების მანძილზე გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

თბილისმაც თავისი სახე დაკარგა. ქალაქის ცენტრალურ უბნებში წამოწყებულმა მრავალსართულიანმა მშენებლობებმა დედაქალაქის იერ-სახის დამახინჯებასთან ერთად, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც დაამძიმეს მდგომარეობა. ავიღოთ ვაკის მაგალითი. ამ უბნის ბუნებრივი განიავება მთაწმინდის ფერდობიდან წამოსული ჰაერის ნაკადის ხარჯზე ხდებოდა. ამისთვის კი ვაკეში სამ-ოთხ სართულზე მაღალი შენობების არსებობა გაუმართლებელი იყო. დღეს ვაკეში უზარმაზარი კორპუსებია წამოჭიმული და არავინ ფიქრობს, რომ ელემენტარულად, მოსახლეობისათვის სამყოფი ჰაერი აღარ არის და მასიურად ყველგან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებია მომრავლებული. ასეა თბილისის კიდევ ბევრ უბანში.

რუსთავში კი ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასაც დააკავებდა და დედაქალაქის განტვირთვა პირიქით, რუსთავის ხარჯზე მოხდებოდა. რუსთავში დიდი სამშენებლო კამპანიის დაწყებით კი დღემდე არავინ დაინტერესებულა. ჯერჯერობით ეს არაპრესტიჟულად ითვლება და იმიტომ. თბილისი რომ "თავკომბალა" აღარ იყოს, განა არ შეიძლება რუსთავში ადმინისტრაციული ცენტრების, დეპარტამენტების გადატანა? განა იქ არ არის მსხვილი საწარმო, რომლის ამოქმედება თბილისს ეკოლოგიური კატასტროფისაგან მაინც იხსნიდა და ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებდა? თბილისში ყოველ ხუთ მეტრში კაფე-ბარი და რესტორანია, განა არ შეიძლება, რომ კვებისა და გართობის ობიექტების დიდი ნაწილი რუსთავშიც გაიხსნას? ან რატომ არ შეიძლება რუსთავში იყოს თანამედროვე კინო-თეატრები, საგამოფენო დარბაზები, სალონები, მსხვილი სავაჭრო ცენტრები და ა.შ.

ალბათ, გაჩნდება შეკითხვა, დავუშვათ და მთავრობამ მოინდომა და გადაწყვიტა თბილისის რუსთავის ხარჯზე განტვირთვა, შეძლებენ ადამიანები ყოველდღე რუსთავში დროისა და დიდი თანხების დახარჯვის გარეშე იარონ? ამისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა ის, რომ თბილისსა და რუსთავს შორის მეტრო ამოქმედებულიყო. მით უმეტეს, არსებობს საინვესტიციო კომპანია, რომელიც, თუკი ხელისუფლების მხარდაჭერა იქნება, ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს და თბილისსა და რუსთავს შორის მეტროს გაიყვანს. ამაზე კარგი კომუნიკაცია რა უნდა იყოს, როცა ადამიანს თბილისიდან რუსთავში ან პირიქით, რუსთავიდან თბილისში ჩასვლა სულ რაღაც 7-8 წუთში შეეძლება?!

თუკი შეიძლებოდა ცალსახად იმ ის გადაწყვეტა, რომ სამორინეების უმრავლესობა თბილისიდან ასეული კილომეტრობით დაშორებულ წყალტუბოში გადაეტანათ, რატომაა წარმოუდგენელი დედაქალაქიდან 25-ოდე კილომეტრის დაშორებით მყოფ რუსთავში სხვადასხვა ობიექტის გახსნა და ამ ორ ქალაქს შორის მეტროს ამოქმედება? ეს ხომ რუსთაველებისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა და არც თბილისელებისთვის გახდებოდა ურიგო?!

ერთი სიტყვით, წარმოუდგენელი არაფერია. თავის დროზე, კომუნისტებმა ხრიოკ ადგილას მშვენიერი ქალაქი გააშენეს. თუკი რუსთავის პრობლემებზე ვინმე რეალურად იფიქრებს, ეს ქალაქი თავისი პოტენციალით ბევრ ასპექტში გაამართლებს და 21-ე საუკუნის საქართველოში ჩამკვდარი ქალაქი აღარ იარსებებს.

იქნებ, ხელისუფლება მართლაც დაფიქრდეს ამაზე? მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და რუსთავი თანამედროვე, გამოცოცხლებულ და ლამაზ ქალაქად აქციოს, რითაც თბილისსაც უშველის და რუსთავსაც.

**თამარ დვალიშვილი**

# სამართლებრივი დარღვევები ფოთის გემთსაშენის საქმეში



*სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" აქციონერები აქციების ჩამორთმევის საშიშროების წინაშე დგანან. ეს პროცესი კი, ისევე, როგორც გემთსაშენთან დაკავშირებული სხვა მოვლენები უამრავი სამართლებრივი დარღვევის ფონზე მიმდინარეობს. ამის თაობაზე გვესაუბრება ფოთის გემთსაშენის აქციათა ერთ-ერთი მსხვილი პაკეტის მფობელი კომპანიის ადვოკატი, ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში პაატა გომელაური.*

**- ბატონო პაატა, რა სამართლებრივი პროცესები მიმდინარეობს ფოთის გემთსაშენის ირგვლივ?**

- ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2005 წლის დეკემბერში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე ფინანსურ პოლიციას გადაუგზავნა. იქ კი წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით, რომელიც თაღლითობას ითვალისწინებს. ამ გამოძიების ფარგლებში სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო ხუთ პიროვნებაზე, მათგან ოთხი დააკავეს კიდეც და თავისუფლების სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, პასუხისგებაში მისცეს 180-ე მუხლის 2-ე პუნქტის ა) ბ) გ) ქვეპუნქტებითა და 3-ე პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით. სწორედ აქ იწყება დარღვევათა და შეუსაბამობათა კასკადი. საქმე ის გახლავთ, რომ განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებულია განსასჯელ პირთა თაღლითური საქმიანობა სს "ფოთის გემთსაშენი"-ს პრივატიზაციის პროცესში. მოგახსენებთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის შემადგენლობა - თაღლითობა, ნიშნავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით. ეს დანაშაული იურისპრუდენციაში იწოდება მატერიალურ დანაშაულად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ჩადენილად ითვლება შედეგის დადგომისას, შედეგს კი წარმოადგენს სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. განაჩენში კი არსადაა მითითებული, რა ნივთი ან ქონებრივი სიკეთე მიიღეს გასამართლებულმა პირებმა. ეს ფაქტი კი უკვე გამორიცხავს დამთავრებულ დანაშაულს, რაც განსასჯელებს შეერაცხათ. ანუ, რეალურად, საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, არის განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა, უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულს ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. შესაბამისად, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სავალდებულო იყო განსჯილთა ქმედება შერაცხულიყო დაუმთავრებელ დანაშაულად და მითითება, კანონის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, გაკეთებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლზე.

შემდეგი საკითხია დამამძიმებელი გარემოებები. 180-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, ხოლო მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი - ორგანიზებული ჯგუფის მიერ. მეორე გამორიცხავს პირველს, უფრო ზუსტად სიმძიმისა და ზოგადი ხასიათიდან შთანთქავს მას, მაგრამ განსასჯელებს ორივე დამამძიმებელი გარემოება შეეფარდათ. მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი გულისხმობს დანაშაულის ჩადენას არაერთგზის, თუმცა განაჩენში აშკარადაა მითითებული, რომ ქმედებათა სიმრავლე მიმართული იყო ერთი კონკრეტული მიზნისაკენ, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, განგრძობად დანაშაულს წარმოადგენს. მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი შედეგის დიდ ოდენობაზე მიუთითებს, რაც თავისთავად უკვე მნიშვნელოვან ზიანს გულისხმობს და ფარავს "გ" ქვეპუნქტს, მაგრამ შერაცხვა ორივე დამამძიმებელი გარემოებით მოხდა. უნდა გითხრათ, რომ ამგვარი დარღვევებით შედგენილ განაჩენს საფუძვლად დაედო სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" აქციათა ჩამორთმევის პროცესის დაწყება. პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ყადაღა დაადო სააქციო საზოგადოების აქციათა სრულ პაკეტს, რაც სამართლებრივად წარმოუდგენელი დარღვევაა რამდენიმე გარემოების გამო. ჯერ ერთი, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება ფიზიკური პირების მიმართ და ამ საფუძველით დაყადაღდა სრულიად სხვა, თანაც იურიდიულ პირთა ქონება, რასაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს; მეორე -ყადაღა დაიდო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, როცა ეს ქმედება უნდა განხორციელებულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. გარდა ამისა, აქციათა დაყადაღების საპროცესო უზრუნველყოფა უნდა მომხდარიყო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში და არა ადმინისტრაციულში, თანაც, თუ მოპასუხედ "ფოთის გემთაშენს" მიიჩნევენ, საკითხი უნდა განეხილა ფოთის საქალაქო სასამართლოს და არა თბილისისა. დაბოლოს, დაყადაღდა აქციათა სრული პაკეტი, რომლის ნაწილიც 2004 წელს იქნა ემისირებული.

ჩამოთვლილი დარღვევები იმდენად არსებითია, რომ მოსამართლე ნანა კალანდაძემ კერძო საჩივრის გაცნობის შემდეგ გადაწყვიტა, რომ იგი ზეპირად განეხილა, რაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დღესდღეობით არ ხდება და კერძო საჩივარი სასამართლოში შეტანისთანავე დაუკმაყოფილებელი რჩება. და, რაც მთავარია, ყველაფერ ამას ემატება უზენაეს სასამართლოში ეკონომიკის სამინისტროს მიერ შეტანილი საჩივარი, რომელიც, ასევე, აქციათა ჩამორთმევას უკავშირდება. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნულ დავაზე არსებობს მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" აქციათა პრივატიზება სახელმწიფოს მიერ აღიარებულია უნაკლოდ, დღეს კი ეკონომიკის სამინისტრო ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ მორიგების აქტის გაუქმებას ითხოვს. ეს კი საქართველოს კანონმდებლობით შეუძლებელია, რადგანაც მხარეთა მორიგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ინსტიტუტს წარმოადგენს და მოსამართლის (სასამართლოს) მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, საქმე წყდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (მუხლი 272), ხოლო საქმის წარმოების განახლება ამავე კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ხორციელდება სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ, მოსამართლე ნათია წკეპლაძის თავმჯდომარეობით, ეკონომიკის სამინისტროს საჩივრის დასაშვებობის საკითხის გარკვევა გადაწყვიტა.

ეს გახლავთ ყველაზე აშკარა დარღვევები. ჩვენ ვერ ვისაუბრებთ იმ დარღვევებზე, რომლებიც საქმეში უხვადაა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროფესიული საიდუმლოებაა და ამით ჩვენს მოწინააღმდეგეს ვერ ვასარგებლებთ. მათ არაერთი სიურპრიზი ელით პროცესების მიმდინარეობისას.

**- ბატონო პაატა, რას აპირებთ, თუ ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, სახელმწიფომ მესაკუთრეებს ფოთის გემთსაშენი წაართვა? როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ქმედება არაერთხელ განხორციელებულა.**

- ის, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრე, საქმის წმინდა სამართლებრივი მხარე გახლდათ და მკითხველისთვის შეიძლება ნაკლებად გასაგები. ზემოთ აღნიშნული დარღვევების დაკანონება ფაქტობრივად ნიშნავს საქართველოს სამართლებრივი სივრციდან გასვლას, სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოსამართლეები საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან აღნიშნულ საქმეს. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, სადაც გავასაჩივრებთ მოსამართლეთა ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ნორმებსა და იმ საერთაშორისო კონვენციებსა და აქტებს, რომლებსაც მიუერთდა საქართველო.

**- როგორც ცნობილია, თქვენ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ლევან კენჭაძის განაჩენი გაასაჩივრეთ...**

- მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება (განჩინება) ლევან კენჭაძის საქმეზე და ამით ამოიწურა ყველა შიდა სასამართლო ინსტანცია, ჩვენ გავეცანით ლევან კენჭაძის საქმეს და წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში აღმოვაჩინეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევები. შორს რომ არ წავიდეთ, მხოლოდ ერთ ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: 2004 წელს მოქმედი საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალის წაყენების შემდეგ გამოძიება ვალდებული იყო დაეკითხა ბრალდებული, რაც გამოძიებამ არ გააკეთა. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ნორმების მსგავსი და ზოგჯერ უფრო უხეში დარღვევა არცთუ იშვიათია ლევან კენჭაძის საქმეში. სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონის უხეში დარღვევები და მიიღო უსაფუძვლო გადაწყვეტილება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლევან კენჭაძის არც ზემდგომი, არც მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის არც ერთი პირი, არც ერთი სპეციალისტი, რომელთა დასკვნებსაც ეყრდნობოდა კენჭაძის გადაწყვეტილებები, პასუხისგებაში მიცემული არ არიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიჩნიეთ სრულიად დაუსაბუთებლად სასამართლო გადაწყვეტილება და 2005 წლის 26 დეკემბერს, შესაბამისი სარჩელი, თანდართული მტკიცებულებებით, გავაგზავნეთ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში. სტრასბურგიდან მივიღეთ მიმდინარე წლის 31 იანვრით დათარიღებული კორესპონდენცია, საიდანაც შევიტყვეთ, რომ საქმეს მიანიჭეს შესაბამისი ნომერი და პრიორიტეტული სტატუსი.

ჩვენთვის სამწუხაროა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმეების წარმართვა გვიხდება და იმედი გვინდა გამოვთქვათ, რომ სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" შემთხვევაში სამართალწარმოება წარიმართება დასაბუთებულად და არგუმენტირებულად, კანონებისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის სრული დაცვით.

ნინია კაკაბაძის სვეტი

## ბედნიერი მომავალი თუ ბედნიერი ხელისუფლება?



"პრეზიდენტის გამოსვლას ვუყურე და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყანაში ვცხოვრობთ, როგორც იქნა – დავწყნარდი," – ეს ტექსტური შეტყობინება მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ მივიღე, როდესაც ის მედიის 4 წარმომადგენელს შეხვდა. თუმცა, ამ შემხვედრის წარდგინებას გაცილებით ხმამაღალი წინასიტყვაობა ჰქონდა. ამას რამდენიმე დღეში ბატონი გიორგი არველაძის სპეციალური ბრიფინგი მოჰყვა, სადაც მან პარტიის სახელით განაცხადა, რომ ბევრი საქმე აქვთ და საჯარო დებატებისთვის არ სცალიათ. მაგრამ ამაზე მოგვიანებით. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ კი საზოგადოება შეშფოთებას ვერ მალავდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისეთებიც იყვნენ, ვინც, ჩემი მეგობრისგან განსხვავებით, მართლაც დაწყნარდა და დაიჯერა, რომ ყველაფერი კარგად არის და საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა. პრაქტიკულად, არველაძისა და სააკაშვილის გამოსვლა, რომელიც შინაარსობრივად ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, ერთსა და იმავე პათოსს ატარებდა. სააკაშვილმა არაპირდაპირი გზით უარი თქვა, ქვეყანაში არსებულ კრიტიკულ საკითხებზე ელაპარაკა და კიდევ ერთხელ გვესაუბრა იმ მიღწევებზე, როგორიც არის პატრული და მათი ახალი სპეცტანსაცმელი, ზრდილობა და მომავალში დაგეგმილი სკოლის მოსწავლეების ფორმები, ახალი მერხები, სასტუმროები, ხიდები, სამედიცინო კლინიკები და ა.შ. და ა.შ. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ უკანასკნელ დროს ტელეეთერში შეამჩნევდით "ჯეოსელის" 9 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სარეკლამო სატელევიზიო რგოლს, რომელიც ამ წლების განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე გვიამბობს. ასევე იყო პრეზიდენტის სარეკლამო სიტყვაც, მხოლოდ ერთი სხვაობით – "ჯეოსელი" უკვე მოპოვებულ წარმატებებზე საუბრობს, სააკაშვილი კი მომავალში გეგმავს მათ მოპოვებას და წინასწარ გვამცნობს. სხვათა შორის, იმ ყველაფერს, რაც პრეზიდენტმა ილაპარაკა, მისმა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უკვე მიუძღვნა სწორედ ისეთივე ქრონომეტრაჟის სატელევიზიო სარეკლამო რგოლი, როგორიც "ჯეოსელს" აქვს. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის განვითარება, ამ ეტაპზე წინასწარ რეკლამირებას საჭიროებს, და განსაკუთრებით ისეთ კრიტიკულ მდგომარეობაში, როგორიც დღეს არის. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი აწმყოს მაგივრად მომავალზე საუბრობს და, აქედან გამომდინარე, უარს აცხადებს რაიმე სახის კომენტარი გააკეთოს ან გირგვლიანის მკვლელობის ან ქუჩაში მასობრივად გამოსული ადამიანების თაობაზე, პირდაპირი და დაუფარავი ფორმით, უარს გვიცხადებს არველაძეც. თუმცა, ბუნებრივია, ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს, მათ არაფერი აქვთ სათქმელი, ამის დასტური მაია ნადირაძის მოულოდნელად უსუსური გამოსვლა იყო ტელეკომპანია "იმედის" ეთერში. რაც დრო გადის უფრო და უფრო მოგვენატრება ის დრო, როდესაც სააკაშვილი ტელევიზიით მოსმენილ ყველა, ოდნავ კრიტიკულ განცხადებასაც კი არ ტოვებდა უკომენტაროდ და პასუხის გასაცემად ხანდახან, ვითომ აქტუალური თემის სიმულაციასაც კი ეწეოდა და ეკრანიდან გვპასუხობდა. მაშინ ყველა კრიტიკული რეპლიკის ასეთი სკურპულოზური განხილვა ოდნავ ზედმეტი იყო, მაგრამ აშკარად იმის მაუწყებელიც იყო, რომ პრეზიდენტს მაშინ პასუხები ჰქონდა, დღეს კი აღარ აქვს.

არველაძის სიტყვები კი ასე კრისტალურად არასდროს გაჟღერებულა, როგორც იმ დღეს. ალბათ, ამდენი და ასეთი სიმართლე ერთად მას არასდროს უთქვამს. ვისაც ყვირილი უნდა - იყვიროს, ჩვენ კი ჩვენს საქმეს გავაგრძელებთო. მისი სპეციალური ბრიფინგი, ძირითადად, გირგვლიანის საქმეს უკავშირდებოდა, სწორედ მაშინ გამოგვიცხადეს, რომ ამ საკითხზე აღარ საუბრობენ და თავისი საქმის კეთებას განაგრძობენ. სავსებით მართალია არველაძე, ის ისევე წარმატებულად განაგრძობს საკუთარ მთავარ, ღირებულ საქმიანობას და როგორც მას ერთხელ, ერთ-ერთ იუმორისტულ წერილში "დისკოთეკების რისხვა" უწოდეს, მსგავსი სიხშირით დაიარება და უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ საცეკვაო დაწესებულებას. მაგრამ, ეს რეალურ პრობლემას არ წარმოადგენს. სიცოცხლით სავსე ყმაწვილს დისკოთეკაზე მოუვა გენიალური იდეა თუ კანცელარიაში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. და ის ერთადერთი არ გახლავთ. მაგალითად, ქალბატონი თაკო სალაყაია და სანოძე-ახალაია ისევ ერთად, მეგობრულად და მხიარულად აგრძელებენ ღამის კლუბებსა და კაფეებში weekend-ზე "ნადირობას". ერთ დღეს არ ტოვებს თავად პრეზიდენტიც, ქუჩა რომ არ გადაკეტოს და რომელიმე რესტორანში გემრიელად არ ისადილოს, ან კი ივახშმოს.

ყოველ საღამოს სავსეა შარდენის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, ადგილი, სადაც ჩვენი ახალი ხელისუფლება ქვეყნის მომავლის საკითხებზე მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს. ამიტომ, მაშინ, როდესაც არველაძე ამბობს, რომ ვისაც რამდენი უნდა იმდენი იყვიროს, ჩვენ ჩვენს საქმეს გავაგრძელებთო, სწორედ ასეა, განსაკუთრებით სანოძე-ახალაიას შემთხვევაში - აქ ის ცამდე მართალია! არაფერი იქნებოდა საგანგაშო მათი რესტორნებისა თუ ღამის კლუბების ვოიაჟებში, ხანდახან ფატალურ შედეგებამდე რომ არ მივდიოდეთ.

უმრავლესობა უმცირესობასთან ანუ ოპოზიციასთან დებატებში აღარ მონაწილეობს, მაგრამ ამაზე საგანგაშო ის გახლავთ, რომ ის დიალოგზეც უარს აცხადებს და არ უსმენს საზოგადოებას, ადამიანებს, ხალხს. მხოლოდ იმ მოხუცებულებთან საუბარი, ცხელი წვნიანის თანხლებით, რომელთაც უფასო კვების ობიექტი გაუხსნეს, არ ნიშნავს დიალოგს საზოგადოებასთან. თუმცა, მივესალმებით უფასო სასადილოებსაც და მოხუცებთან საუბარსაც. უკმაყოფილო მოქალაქეებს, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, არავინ ელაპარაკება და მათ პრეტენზიებს თუ მოთხოვნებს არავინ ისმენს.

ერთი სიტყვით, მაშინ, როდესაც საზოგადოებას აქტიურობისაკენ მოვუწოდებთ, რთულია საკუთარ თავზე ეს პასუხისმგებლობა ავიღოთ, ვინაიდან ცხადია, ქართული ხელისუფლება ხალხს ყურს არ უგდებს და მთელ მოსახლეობას ოპოზიციის რამდენიმე ლიდერთან აიგივებს და ამიტომ ბოიკოტს უცხადებს მათ. სად არის გამოსავალი, როგორ და რა სახით უნდა იბრძოლოს საზოგადოებამ, რასაკვირველია, მშვიდობიანი ფორმებით, თუნდაც ისეთი აუცილებელი უფლებებისათვის, როგორიც არის ჩვენი უსაფრთხოება, უფლებების დაცვა, დამნაშავეების დაპატიმრება და უდანაშაულოების გათავისუფლება. მაგრამ, საზოგადოებამაც ისევე უნდა დაიჯეროს ბედნიერი მომავლის, როგორც ეს საქართველოს ბედნიერ პრეზიდენტს სჯერა, მხოლოდ მისგან განსხვავებით, ამ ბედნიერი მომავლისათვის - უნდა ვიბრძოლოთ.





ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

www.hyundai.ge

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Drive your way™ ატარე შენი გზით

მოკლედ

### შევჩენკო 2 მილიონს მიიღებს

უკრაინის ნაკრებისა და იტალიის "მილანის" ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ამ დღეებში კიევში იმყოფება. შევჩენკო უკრაინის დედაქალაქში უკრაინის ლუდის ერთ-ერთი მწარმოებელი ფირმის სარეკლამო რგოლში გადასაღებად ჩავიდა. გადამღებ ჯგუფს საშუალება ექნება შევჩენკოსთან ორი დღის განმავლობაში იმუშაოს, რის შემდეგაც ფეხბურთელი მილანში დაბრუნდება. ვარაუდობენ, რომ ანდრეი შევჩენკო სარეკლამო რგოლში გადაღებისთვის დაახლოებით 2 მილიონ ევროს მიიღებს.

### კლუივერტი ამ სეზონში აღარ ითამაშებს

ჰოლანდიელი ფორვარდი პატრიკ კლუივერტი ესპანეთში დაბრუნდა, სადაც ის გააგრძელებს სარეაბილიტაციო კურსს, რომელიც მუხლის ოპერაციის შემდეგ დასჭირდა. სექტემბრის შემდეგ კლუივერტს მუდმივად ტრავმები აწუხებს და, როგორც ჩანს, წლევანდელ სეზონში ის გუნდს უკვე ვეღარ დაეხმარება. "კარგი წინათგრძნობა მაქვს, მაგრამ არ მინდა დაბრუნებასთან დაკავშირებით პროგნოზები გავაკეთო. ვფიქრობ, საჭიროა დატვირთვები თანდათან გავზარდო. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა მინდორზე უკვე ამ სეზონში გამოვიდე, მაგრამ სრულფასოვანი აღდგენისთვის აუცილებელია ცივი გონებით შევაფასო სიტუაცია", - განაცხადა კლუივერტმა.

### კოული ტრავმირებულია

ინგლისური "მანჩესტერ სიტის" მთავარი ბომბარდირი ენდი კოული მწყობრიდან სეზონის ბოლომდე გამოვიდა. ოთხშაბათს ფორვარდს განმეორებითი ოპერაცია გაუკეთეს მუხლზე. ექიმებმა გამოიტანეს ვერდიქტი, რომლის თანახმად, კოული წლევანდელ სეზონში მინდორზე ვეღარ გამოვა. შეგახსენებთ, რომ კოულმა ტრავმა 12 თებერვალს ლონდონის "ჩარლტონთან" მატჩში მიიღო. "ენდიმ მუხლზე მეორე ოპერაცია გადაიტანა. ვვარაუდობთ, რომ ამ სეზონში ის უკვე ვეღარ დაგვეხმარება, - განაცხადა მანჩესტერელთა მთავარმა მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა, - ეს უმნიშვნელო ოპერაცია იყო, მაგრამ რაკი სეზონი დასასრულისკენ მიექანება, ვფიქრობთ, კოული მინდორზე გამოსვლას ვეღარ მოასწრებს". 34 წლის კოული "სიტიში" წლევანდელ სეზონში გადავიდა "ფულჰემიდან". ინგლისის პრემიერლიგასა და თასზე ჩატარებულ 22 მატჩში ფორვარდმა 10 გოლი გაიტანა.

### კორეას ნახევარფინალში გავიყვან

სამხრეთ კორეის ფეხბურთელთა ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა განაცხადა, რომ გუნდის შემადგენლობის 80 პროცენტი, რომელიც გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება, უკვე დაკომპლექტებულია. ადვოკაატი ევროპიდან ახლახან დაბრუნდა კორეაში, სადაც ის ნაკრების კანდიდატ ფეხბურთელებს აკვირდებოდა.

"ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ გუნდის შემადგენლობის 80 პროცენტი. დანარჩენი 20 დამოკიდებული იქნება ტრავმებზე, ტაქტიკასა და ფეხბურთელთა ფიზიკურ კონდიციებზე, - განაცხადა ადვოკაატმა, - მართალია, ევროპული ფეხბურთი უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე კორეული, მაგრამ ყოველი ფეხბურთელის განკარგულებაში კიდევ სამი თვეა".

ადვოკაატმა ისიც დაამატა, რომ ძალიან უნდა კორეის ბეისბოლისტთა გუნდის წარმატება გაიზიაროს, გუნდისა, რომელიც Baseball World Classic-ის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. "ამ ზაფხულს ფეხბურთელთა გუნდმაც შეიძლება ანალოგიურ წარმატებას მიაღწიოს", - დაასკვნა ადვოკაატმა.

### კიევის "დინამო" რუმინელი გარემარბით დაინტერესდა

უკრაინის მრავალგზის ჩემპიონი კიევის "დინამო" განიხილავს გუნდში ბუქარესტის "სტიაუას" ნახევარმცველის სორინ პარასკივის მიწვევის საკითხს. ამის შესახებ განაცხადა ფიფას აგენტმა არკადი ზაპოროჟანუმ. მისი თქმით, უკვე დიდი ხანია, რაც უკრაინულმა კლუბმა ამ ფეხბურთელს თვალი დაადგა. ამაზე "სტიაუას" მთავარმა მწვრთნელმა ჯიჯი ბეკალმა უპასუხა, რომ ვიდრე გუნდი უეფას თასის ტურნირში გამოსვლას აგრძელებს, ტრანსფერის განხორციელებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

### ჟოზე მოურინიო: "ტიტული შევინარჩუნეთ"

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ზედიზედ მეორედ გახდება პრემიერლიგის ჩემპიონი. "ჩვენ კიდევ ხუთი მატჩი უნდა მოვიგოთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ წარმატება და პრემიერლიგა მოვიგოთ", - ამბობს პორტუგალიელი სპეციალისტი, - ეს, რა თქმა უნდა, რთული იქნება, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ჩვენთვის აუცილებელი 15 ქულა ჯერ კიდევ ჩემპიონატის დასრულებამდე. მშვიდად ვართ, რადგან სატურნირო ცხრილს სათავეში ვუდგავართ და ახლა ყოველი მოპოვებული ქულა კიდევ უფრო მიგვაახლოებს ჩემპიონის ტიტულთან. 29 აპრილს "ჩელსი" "სტემფორდ ბრიჯზე" "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ მანჩესტერელებს 63 ქულა აქვთ, ლონდონელებთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან.

### ფელიქს მაგათი: "ბექჰემის ტიპის ფეხბურთელები არ მჭირდება"

მიუნხენის "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათიმ აღიარა, რომ არ სურს თავის გუნდში ბექჰემის ტიპის ფეხბურთელი იხილოს იმ შემთხვევაში, თუ მიხაელ ბალაკი გუნდის დატოვებას გადაწყვეტს. გაზეთ "ბილდის" მიმომხილველის კითხვაზე, რა მოხდება, თუ ბალაკი მაინც გადაწყვეტს გუნდის დატოვებას, მაგათიმ უპასუხა: "ჩვენი თამაშის სტილი შეიცვლება. მის გარეშე შეტევითი პოტენციალი შეგვისუსტდება, ამიტომ სხვა ვარიანტების მოძებნა მოგვიწევს".

მოარული ხმების თანახმად, "ბაიერნი" დაინტერესებულია "კიოლნის" ფორვარდით ლუკას პოდოლსკით, "ჰამბურგის" ბელგიელი მცველით, დანიელ ვან ბიუიტენით, "ბარსელონას" ჰოლანდიელი ნახევარმცველით მარკ ვან ბომელით და "ვერდერის" ნახევარმცველით ტიმ ბოროვსკით. "დარწმუნებული ვარ, შესანიშნავ ფეხბურთელებს მოვუყრით თავს, მაგრამ ამასთან რეალისტებიც უნდა ვიყოთ - რონალდინიო "ბაიერნში" არ გადმოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ გვჭირდება ბექჰემის ტიპის ფეხბურთელები. ჩვენი პოტენციური ახალწვეულები არა მარტო თავისი საქმის ოსტატები უნდა იყვნენ, არამედ ლიდერის თვისებებითაც უნდა გამოირჩეოდნენ", - დაამატა მაგათიმ.

### "რეალის" პრეზიდენტმა ახალი მწვრთნელი შეიგულა

გაზეთ El Mundo-სთვის მიცემულ ინტერვიუში მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფერნანდო მარტინმა განაცხადა, რომ მან უკვე მოძებნა სპეციალისტი, რომელიც გუნდს მომავალი სეზონიდან გაწვრთნის, მაგრამ მისი ვინაობის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

"მთელი პლანეტა შემოვიარე ახალი მწვრთნელი ძიებაში და ახლა წარმომიდგენია, როგორი იქნება მადრიდის "რეალის" ახალი მწვრთნელი, - განაცხადა მარტინმა, - ეს იქნება ძლიერი, გავლენიანი მწვრთნელი, რომელიც შეძლებს საკუთარ თავზე იტვირთოს ძირითადი როლი გუნდის დაკომპლექტების საქმეში".

### ინგლისი ჯობია

მიხაელ ბალაკმა, რომელიც სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, დატოვებს ბავარიულ კლუბს, The Daily Express-ს განუცხადა, რომ ის ამჯობინებს ინგლისის პრემიერლიგაში გააგრძელოს კარიერა. "ინგლისური ფეხბურთი სავსეა ძალისმიერი ორთაბრძოლებით, თამაშები მაღალ ტემპში მიმდინარეობს. ეს ყველაფერი კი, როგორც ფეხბურთელს, მაწყობს. იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც ინგლისში თამაშობდნენ და აღიარება დაიმსახურეს, მსურს ვგავდე პატრიკ ვიეირას და როი კინს", - განაცხადა მიუნხენის "ბაიერნის" 29 წლის კაპიტანმა.

ფეხბურთი

# ტოპმიოლერი კმაყოფილია

### ალბანეთი - საქართველო 0:0

მიხეილ აბაიშვილი


გასულ შესარჩევში ალბანეთი თბილისში მეხუთედ დავამარცხეთ.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტამდე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძალზე მცირე დრო აქვს დარჩენილი, თითოეულ ამხანაგურ მატჩს ოქროს ფასი აქვს. წინ კიდევ თითქმის ნახევარი წელია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ პერიოდში ჩვენი ნაკრების დამრიგებელს კლაუს ტოპმიოლერს გუნდის უძლიერესი შემადგენლობით შეკრების საშუალება მხოლოდ ერთხელ – მაისის ბოლოს მიეცემა. ტესტმატჩიც, რომელშიც გერმანელი სპეციალისტი პირველად შეარჩევს ოპტიმალურ შემადგენლობას, 31 მაისს არის დაგეგმილი. ეს მატჩი ავსტრიაში გაიმართება და ჩვენებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე პარაგვაისთან მოუწევთ თამაში.

ალბანეთის ნაკრებთან გასვლით ამხანაგურ მატჩში დაპირისპირება პირველ რიგში იმით იყო საინტერესო, რომ ტოპმიოლერს უნდა შეემოწმებინა საქართველოს ნაკრების უახლოესი რეზერვი, იმ ფეხბურთელთა ჯგუფი, რომლებზეც წამყვანი მოთამაშეების ტრავმების (ან დისკვალიფიკაციის) შემთხვევაში აქცენტის გაკეთება მოუწევს.

ძნელი სათქმელია, ამ თვალსაზრისით რამდენად სასარგებლო გამოდგა ეს მატჩი. თუ ტოპმიოლერს დავუჯერებთ, ის კმაყოფილი დარჩა მოედანზე ქართველი ფეხბურთელების მოქმედებით. ყველაზე სასიხარულო კი ალბათ ის არის, რომ არცთუ საუკეთესო შემადგენლობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა გამართული და ტაქტიკურად განსწავლული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, ტოპმიოლერი ნაკრებს აშკარად ატყობს თავის ხელს.

მატჩი საქართველოს ნაკრების უპირატესობით დაიწყო და თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში მათ ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. მხოლოდ 5-წუთიან მონაკვეთში, 67-დან 73-ე წუთამდე, მოედნიდან გოგიტა გოგუას გაძევების შემდეგ, მასპინძლები დაეუფლნენ მცირე უპირატესობას, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ჭანტურიას კარის დასალაშქრავად. ამ შედარებით უსიამოვნო წუთების გასვლის შემდეგ ქართველებმა ისევ დაალაგეს თამაში და მატჩიც ნულოვან ფრემდე მიიყვანეს. გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი საქართველოს ნაკრებს შეექმნა. ეს პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა, როცა ჯაკობიამ ბრწყინვალე პასით ალბანელთა მეკარესთან პირისპირ დატოვა ალადაშვილი, მაგრამ მისი დარტყმა უზუსტო გამოდგა.

"კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების თამაშით. გრუნტი მძიმე იყო და ამის გამო დაღლა დაგვეტყო. გამოვარჩევ დაცვის ცენტრს, სადაც ღვინიანიძე და შაშიაშვილი კარგად მოქმედებდნენ", - ასეთი გახლდათ მატჩის შემდგომ ტოპმიოლერის მიერ გაკეთებული კომენტარი.

საქართველოს ნაკრებმა ალბანელთა მთავარი მწვრთნელის ჰანს პეტერ ბრიგელის მოწონებაც დაიმსახურა.

"საქართველოს ნაკრებმა თითქმის ასი პროცენტით შეასრულა მატჩის წინ მიღებული დავალება. ჩვენ კი კარგად ვერ ვითამაშეთ. მეორე ტაიმში არა გვიშავდა, თუმცა, საერთო ჯამში უკმაყოფილო ვარ."

პრესკონფერენციის შემდეგ საქართველოს ნაკრები სამშობლოში გამოემგზავრა, ტოპმიოლერი კი თავის მეგობარ ბრიგელის მიწვევით ტირანაში დარჩა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აგრძელებს სპარინგპარტნიორის ძიებას. იყო მოსაზრება, რომ 27 მაისს გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში გვეთამაშა არგენტინის ნაკრებთან, მაგრამ არგენტინელებმა სპარინგში გარკვეული თანხა მოითხოვეს. როგორც ირკვევა, ჩვენებს ჯერ საბოლოო უარი არ უთქვამთ მათთვის და სპონსორებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სამი ქვეყნის – ურუგვაის, ირანისა და ტრინიდადის ფედერაციასთან. თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, საქართველოს ნაკრებს მაისის ბოლოს ბრწყინვალე საწვრთნელი შეკრება ელის, რომლის დროს ორ ტესტ-მატჩსაც გამართავს სერიოზულ მეტოქეებთან.

# რონალდომ „რეალს" ნავსი გაუტეხა

*როგორც იქნა, მადრიდის "რეალის" თავდამსხმელმა რონალდომ საკუთარი გუნდისთვის გაჯანჯლებულ უგოლო სერიებს ბოლო მოუღო. პირველ ყოვლისა, ბრაზილიელი ლეგიონერი კმაყოფილია იმით, რომ გატანილმა ბურთმა "რეალს" საშუალება მისცა წაგებისგან თავი დაეღწია: "მე საკუთარი გუნდისთვის ვთამაშობ და არა იმისთვის, რომ სხვებს მოვაკეტინო".*




**- ბოლოს და ბოლოს, "რეალმა" და შენ ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ გოლი გაიტანეთ...**

- გუნდმა ხასიათი გამოავლინა. ასეთივე შემართებით უნდა გავაგრძელოთ. გავიტანე და ნაწილობრივ ჩამოვიხსენი პასუხისმგებლობის ტვირთი, მაგრამ, მართალი გითხრათ, აქამდეც მშვიდად ვგრძნობდი თავს. ვთამაშობ საკუთარი თავისთვის, საკუთარი ოჯახისთვის და ჩემი გუნდისთვის და არა იმისთვის, რომ სხვებს მოვაკეტინო.

**- მაგრამ ათი ტურით ადრე, როდესაც ლიდერს ჩამორჩებით, შეიძლება კი ფრე დადებით შედეგად ჩაითვალოს?**

- მთავარი ისაა, რომ ყველამ კარგად ვითამაშეთ. შემდეგშიც ასე უნდა გავაგრძელოთ. შევეცდებით ასეთივე შემართებით ვითამაშოთ კვირასაც.

**- გაბრაზდი, როდესაც "სარაგოსას" გულშემატკივარები გესხმოდნენ თავს?**

- არ მინდა განვსაჯო სამი თუ ოთხი იდიოტი, რომლებიც მხოლოდ იმისთვის მოვიდნენ სტადიონზე, რომ ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინათ.

**- გოლი კი მართლა ძალიან გჭირდებოდა, არა?**

- კარგა ხანია გოლი არ გამიტანია. მეტოქემ ლამაზი კომბინაციით გაგვიტანა. ამ სტადიონზე ერთი ქულის აღება კარგი შედეგია, მაგრამ თუ გვინდა, რომ რამეს მივაღწიოთ, სამ-სამი ქულის აღებაა საჭირო. ნებისმიერ გუნდს აქვს წარუმატებლობათა სერიები. ახლა უნდა დავივიწყოთ ყველაფერი ცუდი, რაც მოხდა.

**- ახლა რას ელით?**

- მიხარია, რომ გავიტანე. ეს გოლი ზუსტად რომ საჭირო იყო. ქარიშხალს, რომელიც ჩემს წინააღმდეგ წამოვიდა, დროთა განმავლობაში სხვა მიმართულება მიეცა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ დავეხმარო გუნდს.

**- "სარაგოსასთან" ფრეს შემდეგ საბოლოოდ დაემშვიდობეთ ჩემპიონობას?**

- სეზონის ბოლომდე ვიბრძოლებთ. გვესმის, რომ ყოველი ტურის შემდეგ ნაკლები დრო გვრჩება, მაგრამ ძალ-ღონესაც არ ვიშურებთ იმისთვის, რომ მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ. ამიტომ "სარაგოსასთან" ანგარიშით არცთუ კმაყოფილები ვართ.

ჩოგბურთი

# ტექნოლოგიური იდიოტიზმი

### ჩოგბურთელთა ერთ ნაწილს "მახვილი თვალი" თვალში არ მოსდის

*მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი როჟე ფედერერი და რუსი მარატ საფინი საჩოგბურთო სიახლეს ეწინააღმდეგებიან. საუბარია საჩოგბურთო ტურნირებზე ვიდეოგამეორებების გამოყენების მართებულობაზე. ჩოგბურთელები მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიური სიახლე თამაშის ტემპს დააგდებს და მატჩის სანახაობასაც ჩაკლავს.*


ფედერერი "მახვილი თვალით" არ მოიხიბლა.

შარშან, წლის მიწურულს, ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციამ, პირველად ასპარეზობათა ისტორიაში, ვიდეოგამეორებებს მიმართა. საუბარია ახალ ტექნოლოგიაზე სახელად "მახვილი თვალი" (Hawk-Eye). ამაზე თავის დროზე ჩვენც ვწერდით. "მახვილი თვალი" შესაძლებელს ხდის საკამათო მომენტის კომპიუტერული მოდელის შექმნას, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის 2 მილიმეტრის სიზუსტით განსაზღვროს დაეცა თუ არა ბურთი ხაზზე ან ხაზს მიღმა. ასეთი მეთოდით აღდგენილი გამოსახულება გამოდის კორტზე არსებულ ეკრანზე და ამავე დროს გადაიცემა ტელეტრანსლაციის დროს. ასე რომ, საკამათო სიტუაციას მაყურებელიც ხედავს. თითოეულ მოთამაშეს საშუალება აქვს ყოველ სეტში ორჯერ მოითხოვოს საკამათო მომენტის შემოწმება. თუ "მახვილი თვალი" ჩოგბურთელის ეჭვს დაამტკიცებს, მაშინ იგივე მოთხოვნის უფლებათა რაოდენობა უცვლელი რჩება. თუ ჩოგბურთელის ეჭვი არ გამართლდა, მაშინ ასეთი მოთხოვნა გამოყენებული ხდება.

ტექნოლოგიურ სიახლეს "დიდი სლემის" ტურნირებზე წლეულსვე გამოიყენებენ. ასეთი რანგის ასპარეზობებზე "მახვილი თვალის" დებიუტი აშშ-ის ღია ჩემპიონატზე შედგება. მაგრამ ვიდრე სიახლე "დიდი სლემის" ტურნირებზე დაინერგებოდა, ის ლონდონში ვეტერანთა ერთ-ერთ ტურნირზე გამოსცადეს, შემდეგ კი "ჰოფმანის თასზე" ავსტრალიაში, პერტში. "მახვილ თვალს" პირველად გამოიყენებენ რამდენიმე დღეში პროფესიონალთა ტურნირზე მაიამიში.

ფედერერისა და საფინისგან განსხვავებით, მარია შარაპოვა, ანდრე აგასი და ჯონ მაკინროი მიიჩნევენ, რომ ახალი ხილი ჩოგბურთისთვის მეტად სასარგებლო იქნება. ფედერერი და საფინი კი, რომლებიც კორტებს ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ, მკვეთრად ეწინააღმდეგებიან ვიდეოგამეორებას.

"რაღაც სიგიჟეა, - აცხადებს ფედერერი, – ამას ჰქვია ფულის უაზროდ ფლანგვა".

უიმბლდონის, აშშ-ისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატების გამარჯვებული ვერ გარკვეულა, რა საჭიროა ტექნიკას ვანდოთ მსაჯთა გადაწყვეტილებაო.

შვეიცარიელისგან განსხვავებით, ბევრად მკაცრად გამოეხმაურა "მახვილ თვალს" მარატ საფინი: "საინტერესოა, რომელ გენიოსს მოუვიდა თავში ეს იდიოტური იდეა? თამაშის გაცოცხლებისა და მისთვის სანახაობრიობის მომატების ათასი ხერხი არსებობს, მაგრამ ვიდეომტკიცებულება საამისოდ აშკარად არ გამოდგება".

# გრიფით საიდუმლო

მამუკა ხერხეულიძე

## ვატიკანის კანცელარია.

### კარდინალ ვისკონტ ლიპის. პროზელიტიზმის განყოფილება.

უპირველესად, მდაბლად მოგესალმებით და მოგიკითხავთ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, გილოცავთ წმინდა კატენაჩიოს ბრწყინვალე დღესასწაულს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და დღეგრძელობას კათოლიკური პროზელიტიზმის სამსახურში.

მივიღე თქვენი წერილი. გამოხმაურება თქვენს მოთხოვნაზე, უფრო დეტალურად მომეთხრო საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ, ობიექტური მიზეზების გამო დამიგვიანდა: მოგეხსენებათ, პანდემიის ვირუსის ლოკალიზების მიზნით აიკრძალა მტრედების გამოყენება. ჩვენ პრინციპულად არ ვსარგებლობთ თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემებით: ინტერნეტი, ფაქსი, ფოსტა და ა.შ., ვინაიდან აქ საზოგადოების (ჩემი მძღოლი რამაზის ჩათვლით, მასზე მე ადრეც გწერდით, ის ფაქტობრივად ჩემი სოციოლოგია) დიდი ნაწილი უმაღლეს ტექნოლოგიებს ეშმაკის მანქანებს უწოდებს და მედიაც მუდმივად აპოკალიფსური ბეჭდით აშინებს საზოგადოებას. გაზეთ "კვახჭირი უსოროსოდ"-ში დაბეჭდილ ინტერვიუში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ამტკიცებდა, ცოტა ხანში მთელ საქართველოს შუბლზე ჩიპებს დაგვიყენებენ, ვითომ საიდენტიფიკაციო ინფორმაციისთვის და სინამდვილეში ეს იქნება აპოკალიფსური ბეჭედიო. რამაზი ხუმრობს - ჩიპების დამყენებლები რომ ჩამოვლენ, იტყვიან, დავაგვიანეთ, აქ უკვე ყოფილან ჩვენი სამმართველოდანო.

ზუსტად წინა კვირაში მთელი საქართველოს მასშტაბით უზარმაზარი აქციები მოეწყო საერთო სათაურით "ძირს სალარო აპარატები, კალკულატორები და ეპილატორები". ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანი და საკრალური აღმოჩნდა, რომ მთელი ტელენწამებული ოპოზიციური სპექტრი გაერთიანდა, მიუხედავად მათი რადიკალურად განსხვავებული პოლიტპლატფორმებისა. მიტინგებზე, ისტერიულად დამთავრებული მგზნებარე სიტყვის ბოლოს, აჟიტირებული დახლიდარი მომიტინგეები ერთი ხელით ძველი ხის "ჩოთქებს" კასტანეტებივით აჩხრიალებდნენ და მეორით ძირს ახეთქებდნენ სალარო აპარატებს, კალკულატორებს და თმის გასაშრობ ფენებს, ფეხქვეშ თელავდნენ, წყევლიდნენ მათი გამომშვები ფირმის პრეზიდენტებს, მათ ჯიშ-ჯილაგს, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მასონურ-იელოვური შეთქმულების წარმოებისთვის. რამაზის გადმოცემით, ერთმა ქუდჯვრიანმა ლიდერმა მოულოდნელად დაიღრიალა (მიკროფონებს, როგორც ტექნოლოგიური შეთქმულების ინსტრუმენტს, არ ხმარობენ), ხალხი გააჩუმა და სალარო აპარატი ჩაკბიჩა, აღფრთოვანებული დახლიდარების სათვლელი "ჩოთქებ-ის" ჟღარუნის ფონზე კი ბოლომდე შეახრამუნა "ბეკოს" ფირმის ეშმაკის მანქანა, ისე, რომ ელემენტებიც კი არ გადმოუფურთხებია, როგორც ეს წინა გამომსვლელმა, "მასონური შეთქმულების მამხილებელი ფორუმის" წევრმა გააკეთა. უფრო დიდი, ტრადიციული და ფინანსურად ძლიერი მემარჯვენე მრეწველი პარტიის წევრები უფრო შორს წავიდნენ: "სამსუნგის" ნოუთბუქები შეჭამეს. ლეიბორისტული პარტიის ინტელექტუალური ნაწილი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე "ჩოთქების" აღდგენას და მისთვის საჭირო, მასონური შეთქმულების შედეგად უსინდისოდ მივიწყებული ლურჯი ქსოვილის, რეზინებიანი საიდაყვეებით, სრულ აღჭურვას შეჰპირდა მომიტინგეებს.

ასე რომ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, როგორც ადრეც ხშირად გწერდით, საზოგადოების დიდი ნაწილი ყველანაირ თანამედროვე ტექნოლოგიას და ტექნიკურ პროგრესს ანტიეროვნულ, ანტისარწმუნოებრივ შეთქმულებად მიიჩნევს. ლუტიდთა სექტა გახსოვთ ალბათ, ვინც ბოროტებად მიიჩნევს პროგრესს და გამოქვაბულში ჭრაქის შუქზე ცხოვრობს დღესაც. ცნობისთვის, ამერიკის რომელიღაც შტატში მოღვაწეობენ, თუმცა აქ ამის შესახებ არაფერი იციან. გადავამოწმე, იმათი ნამუშევარი არ არის და საქართველოს ყველა უბედურება მისი მეზობლის - ერთმორწმუნე ლუტიდთა სახელმწიფოს - დამსახურებაა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ლიდერები ხალხის დასანახად წვეტიანი კალოშებით დადიან, ხოლო რამაზის (დაკვირვებული იქნებით, ალბათ, მისი წყაროები ყოველთვის მართლდება) ინფორმაციით, თავიანთი ვილები ბენგ & ოლუვსენის ტექნიკით აქვთ გაწყობილი. ამიტომაც ვიყენებ ფოსტის მაგივრად მტრედებს, და ამ წყეულმა ბერდფლუმ, რომელსაც აქ ჩიტის გრიპს უწოდებენ, მნიშვნელოვნად გაართულა ჩვენი კომუნიკაცია. დიეიჩელ-მტრედებს სანომრე ნიშნები შევუცვალეთ და რამაზის გარაჟში გადავმალეთ.

თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, მე ადრეც გწერდით, რომ ხელისუფლების ერთი ნაწილის შესახებ დაყრილმა ჭორმა მათი იელოველობის შესახებ რეკლამა გაუკეთა პენსინლვანიელებს და სავარაუდო გადმოსაბირებელი ელექტორატი, რომელთანაც უზარმაზარი შრომა გვქონდა ჩატარებული, "სამეთვალყურო კოშკის" ბრჭყალებში აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყველაზე ფუნდამენტალისტი, ჯვარქუდიანი შავრაზმელები ჩუმ-ჩუმად იელოველთა აქტივისტები გახდნენ, პოლიტიკური რეანიმაცია-კარიერის მოლოდინში. მაგალითად, ცნობილი პლაკატმფლეთი გურამი სალამოობით ბლანჟეს იკეთებს და "სამეთვალყურო კოშკის" ლიტერატურას არიგებს მუხიანში დორ თუ დორ. რამაზთანაც ყოფილა, მაგრამ - მაგას ჭამდა რამაზ ჩოკოშვილიო - და როგორც თვითონ ჰყვება, ჭიტლაყით დაუგორებია კიბეებზე. ისე რომ, სერიოზულ კონკურენციას გვიწევს ეს ბნელი, მთელ მსოფლიოში იუმორისტული, მარგინალური სექტა.

თქვენო უმაღლესობავ, იმისთვის, რომ საფუძვლიანად ჩავწვდომოდი აქაურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, საჭირო გახდა ტელევიზიით ნიუსებისთვის თვალის დევნება. მოგეხსენებათ, ჩვენი რეპუტაციისთვის დამღუპველია ელექტროაპარატურასთან მიკარება, რათა ლუტიდთა რისხვა არ დავიმსახუროთ, პატარა პორტატული ტელევიზორი შევუძინე რამაზს, რომელსაც ის შარვლის უბეში მალავს, პრაიმთაიმებში გავდივართ ქალაქგარეთ, ტყეში და იქ ვუყურებთ. ადრეც გწერდით, ქალაქგარეთ მხოლოდ ერთი მოსკოველი ოლიგარქის აგრესიული არხი იჭერს. უნდა გამოგიტყდეთ, ვსარგებლობ შემთხვევით და ფაქტობრივად აღსარებას გაბარებთ, ამ სიუჟეტების შემდეგ თავის მოკვლაზეც მიფიქრია, უნდა შემინდოთ. მაგალითად, დღეს, როდესაც ამ წერილს გწერთ, მთელი დღე ტოპ-ნიუსი მიცვალებულის გამგეობასთან მიყვანა, სასახლიდან ამოსვენება, გუბერნატორის კარებზე მიყუდება და ჭირისუფლის ულტიმატუმია ადგილობრივი ხელისუფლებისადმი. რამაზს რეაქციებზე ვატყობ, მხარს უჭერს ამ აქციას. მეორე ბლოკში პირდაპირი ჩართვაა პანაშვიდიდან. კამერა სუდარის ქვეშ შედის და ჭირისუფლის ტირილის ფონზე მიცვალებულს იღებს ახლო ხედით. შემდეგ სიუჟეტში ერთ-ერთ პროვინციაში მკვლელის ლინჩს ითხოვს ქვებით შეიარაღებული შავოსან ქალთა დიდი ჯგუფი. შემდეგი სიუჟეტი ავტოკატასტროფაა. მანიაკი კამერა ახლო ხედით იღებს დასახიჩრებულ სხეულს და მოგლეჯილ ხელს აკვდება. რამაზი ისე ახლოს მიდის ეკრანთან, ლამის შეძვრეს შიგნით. მეოთხე ბლოკიც მკვლელობით და ლინჩის მოთხოვნით დაიწყო, ველარ გავუძელი, წამოვდექი და საერთოდ ფეხით ვაპირებდი სამშობლოში დაბრუნებას. მაგრამ ვაცნობიერებ რა ჩემზე დაკისრებულ უმნიშვნელოვანეს მისიას, ტელევიზორს დავუბრუნდი. ოპერატიული მასალა გადიოდა ფარული ჩანაწერით, მოქანავე შავ-თეთრ კადრში მელოტი უტიფარი კაცი, რომელიც საიდანღაც მეცნო, ქრთამს იღებდა და ვიდრე მე გახსენებას შევუდექი - ფარაონაო - წამოიძახა გამოცნობით თუ რაღაცით გახარებულმა რამაზმა. მაგას ჭამდა რამაზ ჩოკოშვილი, ახლა მთელი ლოგოვაზელები ერთი წელი იბაზრებენ, ჩაუწყვესო, ჩაუდესო, შეუგდესო, წამოიკიდესო, ბოლო-ბოლო, წეწავდა, ფულს ახევდაო. ამ კაცს "ფარაონა" რამაზმა დაარქვა და ამ ისტორიას ქვევით მოგითხრობთ; ლოგოვაზელებს კი პოლიტიკურად "აფსაიდში" ანუ "ლოგ-ში" დარჩენილებს ეძახის, რომლებიც ზუსტად ასე იქცევიან უკვე დღეს, როდესაც მე წერილს ვაგრძელებ. "ფარაონას" სინდისის პატიმარს უწოდებენ, ცოტა ხანში კი ნელსონ მანდელას ან შეიძლება განდის შეადარონ, თან მელოტია და იმ დროისთვის უკვე გამხდარიც იქნება.

■ ■ ■

ეს ის დროა, როცა ხალხს ჩიტების არ ეშინოდა, პირიქით. საქართველოში ჩემს ჩამოსვლას დაემთხვა ცნობილი იტალიელი ბიოლოგების ვიზიტი თბილისის ზოოპარკში. როგორც გაირკვა, წითელ წიგნში შეტანილი ძალიან იშვიათი ჯიშის ბულბულები სრულიად გაურკვეველ სიტუაციაში - ჩემი არ იყოს - შემთხვევით აღმოჩნდნენ ამ ქვეყანაში. მეცნიერი ფრინველოლოგები საელჩოს მეშვეობით დამიკავშირდნენ და მთხოვეს, გავყოლოდი ზოოპარკში. ძალიან კარგად დაგვხვდნენ, დირექტორის გაკრიალებული კოსტიუმი, კისერზე და მაჯებზე ასხმული ოქროები, მელოტი თავი და ალაპლაპებული მოკასინები გალაჟღაჟებულ კაცს ეგვიპტის ფარაონივით გამოარჩევდა ჩამონგრეულ, შმორისსუნიან შენობაში. ფარაონი წინ გაგვიძღვა, რატომღაც რუსულად გველაპარაკებოდა, თუმცა ჩვენ ვუთხარით თარჯიმანს, რომ ეს ენა არ ვიცოდით, ის მაინც რუსულად მოგვმართავდა. ვოლიერებთან ჩავლისას გამხდარი, ჭუჭყიანი და გაუბედურებული ცხოველები - მიუხედავად გალიებზე მიკრული ფირნიშისა, მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო; ჭაღარა, შიმშილისგან დაპატარავებული ლომი ბაბუინს ჰგავდა, ოღონდ ვარცხნილობა ჰქონდა მოკლეზე - არაცხოველური ანუ ადამიანის ხმით ღნაოდნენ, თუმცა ჩვენ ვერ ვიგებდით, მგონი ისინიც რუსულად ჩიოდნენ თავიანთ უბედურებას. დირექტორი ღიზიანდებოდა, ამათი უმადური დედაც, გადაყოლილი ვარ ამ ნაძირალებზე, თქვენ რომ დაგინახეს, ახლა გაახსენდათ საკუთარი უფლებებიო. როგორც იქნა, მივედით ფრინველების სექციაში, მოხუცი მეცნიერები გულის ფანცქალით ელოდნენ უიშვიათესი ბულბულების ნახვას. აღფრთოვანებული ბულბულოლოგები ვოლიერებთან მოწიწებით მიდიოდნენ და ერთმანეთს, ფანტასტიკო, შესძახებდნენ, სამოცი წელია ამ საქმით ვარ დაკავებული, მსგავს რამეს ვერც წარმოვიდგენდიო. დირექტორი კმაყოფილი გამომეტყველებით კვლავ რუსულად იწყებდა, თქვენ არ იცით, რის ფასად მიჯდება ამათი შენახვაო. წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გალიაზე ჩამოდებულ საჩვენებელ თითზე ჩაუნისკარტა ავსტრალიური ჯიშის ბულბულმა. მოულოდნელი ტკივილით, უფრო კი შეურაცხყოფით აფსიხებულმა (რამაზის საყვარელი სიტყვაა) დირექტორმა ელვის სისწრაფით შეყო ხელი ვოლიერში, კუთხეში აფართხალებულ ბულბულს კისერში სწვდა, გამოათრია გარეთ და რამდენჯერმე რკინის გალიაზე მიახეთქებინა თავი, ისეთი სიძლიერით, რომ გახეთქილი თავიდან გამოსხმული ტვინი სტუმრებსაც მიეშხეფათ. მოხუც მეცნიერს გული წაუვიდა, ჩვენ ვეცით, წყალი ვასხურეთ, თვალი გაახილა და თავზე წამდგარი დირექტორი რომ დაინახა, ისევ წაუვიდა გული ღვაწლმოსილ ბულბულოლოგს. დირექტორმა თარჯიმანს რუსულად სთხოვა, ოდნავ აზრზე მოსული მეცნიერისთვის გადაეთარგმნა, რომ თითი არ სტკივა და მის ტრავმას ასე მძიმედ ნუ განიცდიდა სტუმარი. გამოსასვლელში წინ გადაგვიდგა, ასე ვერ გაგიშვებთ, პატივი რომ არ გცეთო. სტუმრებს ერთი სული ჰქონდათ, გასცლოდნენ იქაურობას, ოქრომოსილი დირექტორი კი არ ცხრებოდა, ნორვეგიული შველი დავაკვლევინე ამ წუთში, სულ მალე იქნება, არ გადამრიოთ, სუფრაზე წიხლი არ მიკრათო. ამ კაცმა ამის მერე მაჟორიტარ დეპუტატად იყარა კენჭი და პარლამენტში აღმოჩნდა, ამჟამად კი - ციხეში.

მომიტევეთ, სისულელეებს ვყვები, მაგრამ ზუსტად ასეთია ნიუსები და ხალხიც ტელევიზორთან ან საერთოდ შიგნით ცხოვრობს. თან, მეორე მხრივ, თქვენ მთხოვდით, აქ მომხდარი კურიოზები მომეთხრო, რათა სათანადო დასკვნები გამოგვეტანა ჩვენი მომავალი საქმიანობისთვის.

■ ■ ■

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პუბლიცისტი დონ ნოდარიო საერთოდ გავიდა მომსახურების ზონიდან. ამ ბოლო დროს სულ პაზოლინის ახსენებს და საეჭვო სიტუაციაში ჩავარდნილ ოპონენტთა უკანალით ინტერესდება. რამაზის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, შეეწყვიტა მისი მეგობრების გინება, ის კვლავ აგრძელებს ამ ხალხის შეურაცხყოფას და მათი ჯიშის ხსენებას (რამაზმა გადაამოწმა და თავადაც კარლ ლუდვიგ გუტლიბ კლაუზევიც ფონ აუერბახის შთამომავალი არ აღმოჩნდა), რაც მერყევი ჯგუფების გაფუნდამენტალისტებას ან გაათეისტებას იწვევს. ეს გარემოება ფრიად ართულებს ჩვენს საქმიანობას. რამაზი ამბობს, როგორც აგენტების უმრავლესობა, ესეც დვაინოი ან ტრაინოია, თუ საერთოდ თავიდანვე მაგათი არ იყოო. დააკვირდით, სულ რუსების ციტატები მოჰყავსო. და საერთოდო, დასძენს რამაზი, ქრისტიანობის ყველაზე სასტიკი მტრები - სტალინები (ასე მრავლობითში უყვარს გვარების ჩამოთვლა), ტროცკები, ძერჟინსკები სემინარიადამთავრებულები იყვნენო. ასეთი აგრესია ეკლესიისადმი ამ სამყაროსთან გახახუნებულ და შემდეგ ამ რთულ გზაზე ვერშემდგარ "ობიჟნიკებს" - პატარა ადამიანებს ახასიათებთ, თუ გინდა დავნაძლევდეთ, მაგას უნიჭო ლექსებიც ექნება დაწერილიო. ძლივს დავაწყნარე. როგორც თვითონ ამბობს, "დაპადიეზდებას" უპირებდა. ჩემმა არგუმენტმა, ნოდარიო თვითონ ძლივს აგნებს თავის ბინას-მეთქი, გაჭრა. იქნებ გეცადათ, თქვენო უსაყვარლესობავ, და ელექტროწერილი მიგეწერათ მისთვის პირადად. თუმცა, ამ ცოტა ხნის წინ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა, კომპიუტერი მომპარესო.

■ ■ ■

სხვა მხრივ, თბილისში გაზაფხულია, დათბა, ფერდაკარგული ხეები ოდნავ გაცოცხლდნენ და ფერზე მოდიან, მაგრამ, როგორც რამაზი ამბობს, იმათ, ჩვენ რომ ვიცით, ლუტიდთა სახელმწიფოს აგენტებს, მყვირალობის ხანა ეწყებათ. მართალი აღმოჩნდა რამაზი (როგორც ყოველთვის), დღესაც პარლამენტის წინ შეკრებილი მომიტინგეები გენდერული თანასწორობის კანონს სოროსულ შეთქმულებად აცხადებენ. ამ თემისადმი მიძღვნილ შიმშილობა-მიტინგებზე კი ორატორი ხმაჩახლეჩილი ხრიალებს (უმიკროფონობისგან), ჩემ ცოლს მოვკლავ თუ მოვკ.. რა სოროსის საქმეა, დავიხოცებით და ამ კანონს არ გავატანინებთო. ელექტროშეთქმულების წევრებად რომ არ ჩავითვალოთ, რამაზის "ჟიგული" თუშურ ვირში გადავცვალეთ, პატარა ოთხთვალაში შევაბით და ისე დავდივართ "მერიოტიდან" "მერიოტში", ენჯეოების შეხვედრებზე. ჩვენი ვირი თავისი სევდიანი გამომეტყველებით ერთ პოლიტიკოს ქალს ჩამოჰგავს და რამაზი მის სახელს უწოდებს, რითაც საოცრად ერთობა. რამაზმა ვოლკმენი შეიძინა და ჩუმად უსმენს თავის საყვარელ რუსულ ბლატნოებს. განსაკუთრებით ის მოსწონს, მურკა, თქვენც რომ მოგეწონათ, "მატრიოშკაში" ჩვენი ვახშმობისას. მე ჩაგიწერეთ სიდიზე და მტრედს ვატან, წერილთან ერთად.

**P.S.** რამაზი გთხოვთ, იქნებ მონიკა ბელუჩის ორსულობისდროინდელი პლაკატი გამომიგზავნოს კარდინალმაო.

## კომიქსი








# აფიშა

## 24 მარტი

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი**
"თორმეტი განრისხებული მამაკაცი"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"ქალაქი ალყაში"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
გურამ ქართველიშვილი
"ქრონიკა"
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში"
რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
"სიყვარული დიდ ქალაქში"
დასაწყისი: 14.00; 18.00
"ჭორები"
დასაწყისი: 16.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"ვარდისფერი პანტერა"
დასაწყისი: 20.00; 22.00

**გალერეა**

**"ჰობი"**
სანდრო ბახტაძის გამოფენა

**"ქარვასლა"**
პიერლუიჯი პრატურლონის ფოტოგამოფენა
გერმანული "ინფორმელი"

**TMS**
სიმონ-ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკება

# პოეზიის ხუთი წუთი...

მზევინარ ხუციშვილი

მე არც პოეტი ვარ და არც პოეზიის ექსპერტი, უბრალოდ, მიყვარს პოეზია და ვცდილობ ჩემებურად შევაფასო. ქართველ პოეტებს ჩემი ქება ნამდვილად არ სჭირდებათ. ისინი ბევრად უფრო ადრე შეაფასეს ჩემზე კომპეტენტურმა ადამიანებმა და, რაც მთავარია, დრომ. ხშირად იქნებ არაობიექტურადაც, თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ. ამჯერად ცნობისმოყვარეობამ მძლია და გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკას ვესტუმრე, სადაც ქართული პოეზია ინგლისური ინტერპრეტაციით შემოგვთავაზა მთარგმნელმა დავით აკრაიანმა. მისი პირველი თარგმანი ბოდლერის "ჩემო გიშერო" 1991 წელს გამოვიდა. მას შემდეგ გამოცემათა ციკლი არ შეწყვეტილა: მეტერლინკი, ბროდსკი, ბახი, როლანი. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მისი თარგმანების. რაც შეეხება ქართული პოეზიის თარგმნას, ავტორის თქმით, "ეს წიგნი ძირითადად უცხოელებისთვის გამოიცა, მათთვის, ვისაც სურს ეზიაროს ქართულ კულტურას, ჩვენთვის კი აუცილებელია მსოფლიომ გაიცნოს ქართული პოეზია." ნათარგმნია ტერენტი გრანელის, ნიკო სამადაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი კორნაპელის, გივი ალხაზიშვილის შემოქმედება - თითოეული მათგანის თხუთმეტი პოეტური ნაწარმოები.

პრეზენტაციაზე ავტორის ნამუშევარი არავის შეუფასებია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი ვარიანტია ქართული პოეზიის თარგმანების და ალბათ თავის დროზე შემფასებელიც გამოუჩნდება. ავტორმა ლექსები თავად წაგვიკითხა და, ვფიქრობ, არცთუ ურიგოდ. საზოგადოება, რომელიც იქ შეიკრიბა და რომელიც ძალიან მცირერიცხოვანი იყო, შინაგან განწყობას მხოლოდ ღიმილით გამოხატავდა.

# „ჩიკაგოს" ფული

ექვსი ოსკარის მფლობელი კინონამუშევრის "ჩიკაგოს" პროდიუსერები დისტრიბუტორი კომპანია "მირამაქსისგან" ათ მილიონ დოლარს ითხოვენ. როგორც ამბობენ, ეს თანხა მათი კუთვნილი მოგებაა, რომელიც აქამდე ფილმის პროდიუსერებმა ვერ მიიღეს. სწორედ ამის გამო ისინი დისტრიბუტორ კომპანიას კონტრაქტის დარღვევაში სდებენ ბრალს.

The Producer Circle Company დარწმუნებულია, რომ "მირამაქსი" მათ "ჩიკაგოს" DVD ჩანაწერების აშშ-ს ფარგლებს გარეთ გაყიდვიდან შემოსულ თანხებს უმალავდა. "ჩიკაგოს" სალაროს ქონება 300 მილიონი დოლარია. ეს ფილმი "მირამაქსის" ყველაზე შემოსავლიანი პროექტია.

2003 წლის "ოსკარების" ცერემონიაზე პროდიუსერი მარტინ რიჩარდსი, "The Producer Circle Company"-ს დამაარსებელი, სცენაზე მხოლოდ იმიტომ ავიდა, რომ მოოქროვილი ქანდაკება მიეღო, რადგან "ჩიკაგო" წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს.

რეჟისორ რობ მარშალის ფილმი 2003 წლის "ოსკარებზე" ცამეტ ნომინაციაში იყო წარდგენილი, თუმცა სულ ექვსი ქანდაკება დაიმსახურა. მარტინ რიჩარდსონის კომპანია 1976 წლიდან ბროდვეისთვის შექმნილ მიუზიკლებზე მუშაობს. კონკრეტულად მის სახელს "ტონის" ოთხი პრემია და Drama Desk-ის ხუთი ჯილდო უკავშირდება.

# ციხე ქურდებს !!!

პარიზის სასამართლომ თავი გამოიჩინა და ფრანგული მიუზიკლების ბოლო ჰიტის "პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" კომპოზიტორს რიჩარდ კოჩიანტეს გადასახადების დამალვის გამო ათდღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ორშაბათს პარიზის სასამართლომ 60 წლის მუსიკოსი და მისი მეუღლე მიუზიკლის წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავლის 6 მილიონი ევროს საგადასახადო პროცენტების გადაუხდელობაში ამხილა. კოჩიანტე და მისი მეუღლე სხდომათა დარბაზში არ ყოფილან. მათი ადვოკატი კი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. მიუზიკლი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" პირველად 1998 წელს დაიდგა პარიზში და დიდი წარმატებაც ჰქონდა. ოპერეტას აქტიურად აჩვენებენ საფრანგეთის საზღვრებს გარეთაც – პეკინში, ლას ვეგასში, მოსკოვში.

გაზეთის გუშინდელ ნომერში A8 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის "მარადიული ხელოვნება"-ს ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს შემდეგი მინაწერი: იდა თვარაძე, "იოანე პეტრიწის პორტრეტი".

აქცენტი

# თავკომბალა ხელოვნება

პირველი გვერდიდან

მაგრამ მაინც ფაქტია, რომ სახელოვნებო პროცესები სრული მონოკრატიით ვითარდებოდა და დღესაც ასეა, დღეს, როცა ამ პროცესებს კულტურის მართვასა და მის პოლიტიკას ვუწოდებთ. დიახ, დღესაც თავკომბალაა ხელოვნების ესა თუ ის დარგი და ალტერნატივას თითქმის არ ცნობს.

იყო დრო, როცა მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან, რბილად რომ ვთქვათ, წამოვიდა. დღეს ამბობენ, რომ ორი დიდი რეჟისორის ერთად ყოფნა შეუძლებელი იყო. ლოგიკურია, რომ ახმეტელი მარტო უნდა დარჩენილიყო. მერე იყო თუმანიშვილის ისტორია, გარკვეულწილად თემურ ჩხეიძისაც. უფროსი თაობის თეატრმცოდნეები, რომლებიც კრიტიკოსებად ვერა და ვერ შედგნენ, ყველაფერში ლოგიკას ეძებენ და მაესტროების ლანდებს ეთაყვანებიან.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მხოლოდ ერთი პიროვნების ხასიათის ამოცნობა-გაგების პროცესში იგეგმებოდა ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპერტუარი. მაშინ მთელი სერიოზულობით ამბობდნენ, რომ მას ბალეტი უბრალოდ სძულდა... მსგავს კაპრიზებს თავადაც ამაყად აცხადებდნენ და გარემო-საზოგადოებაც მორჩილი, სნობური ღიმილით უყურებდა ამგვარ ახირებებს. ჩვენი მგოსნებისა და განმანათლებლების შესახებ აღარაფერს ვიტყვი. ქართველი მწერლების მრავალწლოვანი მომხვეჭელობითი პოლიტიკა უკვე კარიკატურულად გამოიყურება და, ღმერთმა დაგვიფაროს, ამგვარი სისუსტეები ადამიანებზე პროფესიული გენეტიკით გადადიოდეს... არის კიდევ ძალიან ბევრი აღსანიშნავი მაგალითი. ყველას რა მოყვება...

ამ თვალსაზრისით მხატვართა წრეები ბევრად უფრო მოკრძალებულად გამოიყურებიან. ესეც იმიტომ, რომ მათი მოღვაწეობის არეალი ნაკლებად იერარქიულია. ერთხელ მაინც თუ მოგისმენიათ განსაკუთრებით უფროსი თაობის სავარძლებში მოკალათებული ARTისტებისთვის, როგორი მკაცრი თანამიმდევრობით აყალიბებენ კოლეგათა რიგს მათი დამსახურება-ნიჭიერების მიხედვით. თავისთავად ცხადია, ამ ყველაფერს თავად ზემოდან უყურებენ. იმასაც მიხვდებოდით, რომ მათი ერთგვარი თავმდაბლობა მხოლოდ ერთი სახეა, ზედაპირული შთაბეჭდილება.

ბევრი იტყვის, რომ ეს ზოგადად ნიჭიერი ადამიანების სენია და არა მხოლოდ ქართველების და მათ აუცილებლად უნდა გავუგოთ. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ მაშინ ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ამ მხარეში ბევრი გენიოსი იცის. ამით გულის სიღრმემდე ვხარობთ, მაგრამ რა ვქნათ, რომ დღესდღეობით მომრავლებული გენიოსები დიდად საამურ ამინდს ვერ ქმნიან?

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი მხოლოდ მაგალითია, არადა, საუბარი ტენდენციებსა და დამოკიდებულებებზე მინდოდა. დამოკიდებულებაზე, რომლის თანახმად ყველა სფეროს ამა თუ იმ დროს ერთი და მხოლოდ ერთი პერსონის თვალით ვუყურებთ და სხვა მის გვერდით, ჩვენ – რიგით საზოგადოებას, შემფასებელსა თუ კულტურის მმართველთ, თავადაც არ წარმოგვიდგენია. ამიტომაცაა, რომ ამა თუ იმ მეტად დამსახურებულ, თუნდაც ძალზე ნიჭიერსა და წარმატებულ ხელოვანთ ერთხელ თუ მიეცი სადავე მართვისა, გამორიცხულია საკუთარი ანდა სხვათა აზრი გააგონო. მერე წლები გრძელდება და იწელება, წლები ყვედრებისა, რომ გვემსახურებიან, წლები იმისა, რომ ვერ შევიგნეთ, რაოდენ ხელშეუხებელნი არიან. არადა, არავინ ახსენებს მათ, რომ მათი წარმატება, პირველ რიგში, მათსავე კეთილდღეობას ემსახურება და რომ მათი არტისტული ეიფორია მხოლოდ მათია და არა საზოგადო, სასიხარულო, მაგრამ მაინც ტვირთი. საქართველოში ასე არ ხდება, საქართველოში ხელოვანებისა და საზოგადოების დიალოგი - დიალოგი არ არის. ეს ვასალური დამოკიდებულებაა, ეთიკას მოკლებული ურთიერთობა.

დიდი ხანია საუბარია იმაზე, რომ ბატონ თემურ ჩხეიძეს ძალიან უნდა საქართველოში აქტიურად იმუშაოს. ეს თითქოს ყველას უხარია, მაგრამ რა ვქნათ, რომ ადგილი ვერ მოვუძებნეთ რეჟისორს, რა ვქნათ, რომ ყველა მხრიდან მეტრები იბღვირებიან და ტერიტორიებს ამაგრებენ? ვერაფერს ვიზამთ. ხელოვანი, რომელიც დღეს ქართულ თეატრს ყველაზე მეტად სჭირდება, რომლის განვითარებისა და ძიების პროცესი ისეთ მწვერვალებს აღწევს, როგორც არავისი სხვისი, რა ხანია საზღვარგარეთ მუშაობს და ვერაფრით საქართველოში.

მას შემდეგ, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრში მსოფლიო ბალეტის პრიმა ნინო ანანიაშვილი ჩამოვიდა და საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა, ყველა და ყველაფერი მეორეხარისხოვანი გახდა. მაშინვე ჩამოყალიბდა მკაცრი ნორმები, ერთი შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც სწრაფი ტემპით, მექანიკური პროცესებით ერთმანეთის მსგავს წარმოდგენებს გვთავაზობს. არც აქ არის ალტერნატივა. არც იქნება, იმიტომ რომ ის, ვინც თანამედროვე კულტურული პროცესების სათავეში უნდა იდგეს, მართავდეს მას, ანუ კულტურის სამინისტრო ყველაფერს ცალმხრივად უყურებს. თანაც პროფესიონალიზმი ან ცოდნა აკლია და საკუთარ თავს ახალი და ძველი მაესტროების ჩრდილში უკეთ გრძნობს და შენიშვნები არა აქვს. რომ ჰქონდეს კიდეც, ვერ გაბედავს...

ამას წინათ რუსთაველის თეატრის ნახევრად ცარიელ დარბაზში ვიჯექი და შემთხვევით გავიგე, როგორ ხსნიდა ამგვარ ვითარებას თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, ვითომ მაყურებელს მხოლოდ ცირკი ხიბლავს და სერიოზული წარმოდგენებისა არაფერი გაეგებაო. როგორ მეცოდება ზოგადად ეს "მაყურებელი". რა აღარ აკადრეს მას ამ ბოლო წლებში თეატრალებმა?! მაგრამ ფრაზის ავტორი აშკარად თავს ინუგეშებდა, განა შესაძლებელია არ სცოდნოდა, რომ მაყურებელს რუსთაველის თეატრის ერთფეროვნება დიდი ხნის წინ მობეზრდა, VIP მაყურებელი კი მხოლოდ პრემიერებზე დადის.

ალტერნატიულობის შეგრძნების არარსებობა არც სხვა თეატრებშია განსაკუთრებით საგრძნობი და არც ზოგადად არის ჩვენთვის დამახასიათებელი. იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ საზოგადოებისა და კულტურის მმართველთა მორჩილება, მოკრძალება არა იმდენად პატივისცემის გამოხატულებაა, რამდენადაც საკუთარი უნიათობისა, არადა, ვერც კი ვხვდებით, რომ ამგვარი მუდამ მადლიერი მზერით ჩვენს "აპოლონებს" იმის ნებას ვუსპობთ, რომ ძველი კაპიტალით ტკბობისა და ნარცისიზმის ნაცვლად, ახალ მწვერვალებს შეეჭიდონ და, თუნდაც უმრვლესობა დასავლელი კოლეგის მსგავსად, ყოველ წამს ამტკიცონ, რომ ისევ სიყვარულისა და პატივისცემის ღირსნი არიან. ასეთები ჩვენში ცოტანი არიან. თუ არიან, ხშირად მათი პერსონები მსუბუქად და ასაკთან შეუსაბამოდ გვეჩვენებიან, რადგან საკუთარი თავის ფასი ვერ გაუგიათ.

ჩვენ ჯერ ისევ სერიოზული და დაღლილი სახეები მოგვწონს, რომლებსაც უკან გმირული წარსული დასთრევთ და წინ – მორალისტური ტექსტები. ამიტომ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო, ფერთა პალიტრაც ქართულ ხელოვნებაში ნურავინ დაელოდება.

# ძველებური ფარდაგი - ტრადიციული ინტერიერის გამამშვენებელი

სამსონ ლეჟავა



ქართული ყოფითი ხელოვნების სივრცეში ჩვენებურ ფარდაგს თავისი განსაკუთრებული ღირსებით გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მართლაც უზადო გემოვნება ჰქონდათ თუშ მეფარდაგე მანდილოსნებს. კულტურის ეკოლოგიის თვალსაზრისით სრულიად შეურყვნელ გარემოში ისინი ქმნიდნენ ერთმანეთზე უკეთეს, ყოველთვის ახალი ფაქიზი ნიუანსების შემომტან, მაგრამ ამასთანავე მკაფიოდ შემუშავებული და ჩამოქნილი სისტემის მატარებელ ფარდაგებს. ტრადიციული ტექსტილის ამ შესანიშნავ ნიმუშებში მცირე ოდენობის ორნამენტულ ელემენტთა უაღრესად მწყობრი და მრავალსახა კომბინირების წყალობით (რაც მოკრძალებულ ოსტატთა დიდ გამომგონებლობასა და მახვილგონივრულობაზეც მეტყველებს), იქმნებოდა ულამაზესი კომპოზიციები, ისეთივე გულმისავალი სინაღდე-სიწრფელით გამორჩეული, როგორიცაა თუშური ხალხური პოეზია, თავისი მიუკიბავი (გრიგოლ კიკნაძე) და ულრმესი ხატოვანებით, ანდა იქაური სასიმღერო ფოლკლორი, რომლის მიყურადება ჰბადებს აუწერელ თანაზიარობას ბუნების, მთელი სამყაროს შრეებთან თუ პლასტებთან.

ჩვენებური ფარდაგები უაღრესად სადაა. აქ ვერსად ნახავთ სიჭარბეს, სიჭრელეს, გადატვირთულობას. თავს იჩენს მხოლოდ სისავსე, აგებულების მკაფიო ტექტონიკურობა. ესაა თავმდაბლობაში – მაღალი სულიერების მატარებელი ხელოვნება. მოტივები თავისი პირველსაზრისით როდია მხოლოდ თვალისთვის სასიამოვნო და სიხარულის აღმძვრელი, არამედ ატარებს ღრმა სიმბოლურობას. მადლის გამრავლებისა და ნაყოფიერი მიწის მნიშვნელობა შეიძლება იგულისხმებოდეს მაგალითად, რომბისებურ კონფიგურაციათა რქის მაგვარ დანამატებში (ტრადიციულ კულტურებში რქისა და მცენარის სემანტიკა ხომ ურთიერთგადაჯაჭვულია). ასეთი რიგის საყოველთაო, "არქეტიპული" მოტივები თუშურ ფარდაგებში სრულყოფილ გამომხატველობას ავლენს. არანაკლებ არსებითია ამოუწურავი მნიშვნელობის მქონე, განსაკუთრებულად საკრალური ჯვარი.

ინტერესმოკლებული არ არის, რომ ფარდაგში ჩენილი მოტივები რაჭის საცხოვრებელთა ხის აივნებშიც გვხვდება. ეტყობა, რაჭველ ხითხუროთა და თუშ მანდილოსან მეფარდაგეთა ხელოვნება ურთიერთს ამდიდრებდა – ხდებოდა საზიარო რეპერტუარის ურთიერთგაცვლა, რაც შიდაკულტურული ნაკადების ინტენსივობაზე მეტყველებს. რაჭველთა აქტიური მოღვაწეობის ფაქტებს თუშეთში ადასტურებს სერგი მაკალათია.

ფარდაგის ხელოვნება, რომლის საიდუმლოთა შესწავლაში გამორჩეულია დავით ციციშვილის როლი, გვიზიდავს ფერადოვნების ლაკონიური სისრულითაც. ირინე კოშორიძემ უჩვენა, რომ მასში დამაბალანსებელიცაა და აქტიურიც შავი და თეთრი. სხვა მცირე ოდენობის ფერები თავდაჭერილობისას, იმავდროულად მჟღერია და გაჯერებული. ნატურალური საღებავების გამოყენება მათ კეთილშობილებას სძენს უბრალოებასთან ერთად.

ამას წინათ ცნობილმა მხატვარმა ვახტანგ ქოქიაშვილმა მიამბო, თუ როგორ არ დაუთმო ერთმა თუშმა კაცმა ალვანში შესანიშნავი ფარდაგი, მტკიცე უარი განაცხადა გაყიდვაზე, ვინაიდან, მისი თქმით, როდესაც ცუდ გუნებაზე დგებოდა, მისი ფარდაგი უებარი დასტაქარივით გამოუსწორებდა ხოლმე გუნება-განწყობას. არცაა გასაკვირი. ამრიგად, ტრადიციული ხელობის ამ დარგს, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად, თერაპიული მნიშვნელობაც ჰქონდა.

# განცხადება

2006წლის 27 თებერვალს ხელშეკრულებები გაფორმდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელ შემდეგი სახის სახელმწიფო შესყიდვებზე: "ყოფილი კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე გზების მოვლა-შეკეთება", მიმწოდებელი - შ.პ.ს. "საგზაო კრწანისი"; "ყოფილი მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე გზების მოვლა-შეკეთება", მიმწოდებელი - შ.პ.ს. "საგზაო მთაწმინდა".

# განცხადება

**სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭო აცხადებს, რომ 2006 წლის 3 მაისს განსაზღვრულია სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საერთო კრების ჩატარება.**

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2006 წლის 3 აპრილი , $17^{00}$ სთ-ის მდგომარეობით.**

**აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.**

**სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭო**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება ისრაელში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის თეიმურაზ მოსიაშვილის გარდაცვალების შესახებ და ღრმა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

TV5MONDE

## 24 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** თV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ცივილიზაციები. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** პრეზიდენტთა მფარველობის ქვეშ. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** სიყვარულის ისტორია. მხ ფილმი. რეჟისორი გი ლეფრანი. 1951. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბაქანი N1 ტელესერიალი. **24.05** მუხანათობა. მხ ფილმი. რეჟისორი ლუ ჟენე. 2004. **02.20** გადაცემა: თვეში ერთხელ.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა ალმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით ალმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## როგორი უნდა იყოს ელექტროენერგიის ტარიფი



B4

## GMAC Commercial Holding Corp-ის აქციების 78 პროცენტი გაიყიდა

## ექსპერტების ვარაუდით, ნავთის ფასი დაიწევს

## ძვირფასი ლითონები იაფდება

B3

## Volkswagen Eos, ივლისის ნაცვლად, მაისში გამოვა



B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3090 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0074 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8275 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8502 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1293 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2960 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3187 |
| 1 ევრო | EUR | 2,2080 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4115 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3514 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3537 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1559 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1978 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,2004 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2558 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3920 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5658 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1563 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,4247 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,4028 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2785 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5629 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6140 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1298 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4062 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5688 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,5132 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6106 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8321 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2579 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1434 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4419 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2353 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4035 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0771 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2276 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2355 |



# უნიკალური პლასტიკური ბარათი



"თიბისი ბანკის" და "მაგთიკომის" ახალი ერთობლივი პროექტი



- ფასდაკლებების და ბონუსების სისტემა ყოველ დახარჯულ 100 ლარზე 7 ლარის უკან დაბრუნების შესაძლებლობას იძლევა.
- "თიბისი ბანკისაგან" მომხმარებელი მიიღებს: ავტომატურ კომუნალურ გადარიცხვებს, ანგარიშზე თანხის შეტანას ბანკომატით, SMS-სერვის და ინტერნეტ-ბანკს.
- "მაგთისგან" მომხმარებელი მიიღებს: ნომრის დაფარვის მომსახურების ჩართვას, დაფარული ნომრის ამოცნობის ჩართვას, WAP, GPRS, MMS მომსახურების ჩართვას.

სალომე ძაძამია

*5 აპრილიდან "თიბისი ბანკი" და კომპანია "მაგთიკომი" ერთობლივ პლასტიკურ ბარათს - "ვიზა-კომფორტს" გამოუშვებენ. ეს იქნება ჩიპური ტექნოლოგიის საერთაშორისო ბარათი, უნიკალური ფუნქციებით, რომლის მსგავსი არ აქვს არც ერთ პლასტიკურ ბარათს საქართველოში. ბარათის შეძენა "მაგთი GSM"-ის ნებისმიერ აბონენტს შეეძლება.*

B2

# ფოლადის მაჰარაჯა

## ლაკშმი მიტალი მალე მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი გახდება



B3

- მიტალის გავლენა და შემოსავალი გამუდმებით სწრაფად იზრდება და ალბათ მალე ფოლადის მაჰარაჯა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი გახდება. იგი ჯერ არ აპირებს უთხრას საკუთარ თავს, რომ "საკმარისია".
- ამ დროისათვის მიტალი ფოლადს უკვე ოთხ კონტინენტზე აწარმოებს და მისი უმსხვილესი მეტალურგიული კომპანია მსოფლიო ბაზრის 30%-ს აკონტროლებს.
- იაფი, წამგებიანი საწარმოს შეძენისა და მომგებიანად ქცევის ტრინიდადური გამოცდილება შემდგომში მიტალის ბიზნესის სტილად იქცა.

გოჩა ქიმუცაძე

*მსოფლიო მდიდრდება. ამერიკულმა ჟურნალმა "ფორბსმა" პლანეტის უმდიდრესი ადამიანების ტრადიციულ რეიტინგში მეხუთე ადგილზე ინდური წარმოშობის ბრიტანელი ლაკშმი მიტალი დაასახელა. LNM Group-ის მეპატრონის, ლაკშმი მიტალის ქონება წლიდან წლამდე ლამის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და უკვე 23,5 მილიარდს მიაღწია. ამიტომაც, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მიტალი მალე უკან ჩამოიტოვებს რეიტინგში მასზე წინ მდგომებს: Microsoft-ის დამფუძნებელ ბილ გეითსს (50 მილიარდი), საინვესტიციო კომპანია Berkshire Hathaway-ის თავკაც უორენ ბაფეტს (42 მილიარდი), Telecom-ის მეპატრონე კარლოს სლიმ ჰელუს და Ikea-ს დამფუძნებელ ინგვარ კამპადს.*

## საიუბილეო ვაჭრობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ხუთშაბათს გამართული ვაჭრობა რიგით 607-ე იყო და ვაჭრობების დაწყებიდან 6 წლის იუბილეს დაემთხვა. საფონდო ბირჟაზე პირველი ვაჭრობა 2000 წლის 23 მარტს გაიმართა. ბირჟის საიუბილეო ვაჭრობაზე გარიგებების მოცულობამ 19,828 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, რომელთა ღირებულება - 267,221.29 ლარი იყო. სულ ვაჭრობაზე 42 გარიგება შედგა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| #PCB1T | 1 | 919.580 / 919.580 | 919.580 | 5.16(0.56%) | 100 | 91,958.00 |
| AEST | 4 | 2.000 / 2.000 | 2.000 | 0.05(2.56%) | 500 | 1,000.00 |
| GEB | 34 | 9.970 / 10.000 | 9.999 | 0.097(0.98%) | 16,729 | 167,266.13 |
| REAQ | 1 | 3.640 / 3.640 | 3.640 | - | 1,219 | 4,437.16 |
| UGB | 2 | 2.000 / 2.000 | 2.000 | 0.54(36.99%) | 1,280 | 2,560.00 |
| [illegible] | 42 | | | | 19,828 | 267,221.29 |

*ფასიან ქაღალდებზე საუკეთესო განცხადებები:*

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| #PCB1T | 919.58 | 919.58 | AEST | 2 | 2 | AMB | 0.9 | |
| BAGR | 2 | | BSK | 41.1 | | EGR | 5 | |
| GEB | 10 | 9.97 | KAZB | 7.5 | | KCEM | | 1 |
| MACN | 5 | | REAQ | 3.64 | 3.64 | RUCE | 1.4 | |
| SOPM | 5 | | SQMP | 25 | | SSBS | | 800 |
| STP | 12 | | STSP | 1 | | TRMS | 1.3 | |
| UGB | 2 | 2 | UTB | | 27 | | | |

## დაზარალებულ ფერმერებს დავალიანებაზე დარიცხული საურავები ჩამოეწერებათ

2000 წლის გვალვის შედეგად დაზარალებულ ფერმერებს დავალიანებაზე დარიცხული საურავები ჩამოეწერებათ. გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით მომზადებული პროექტი განიხილა, რომელიც საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

როგორც კომიტეტის სხდომაზე აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ შხვაცაბაიამ განაცხადა, 2000 წელს გვალვის შედეგად დაზარალებულ ფერმერებს მიწის გადასახადი დაერიცხათ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის 2000 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით, გვალვის ტერიტორია საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად გამოცხადდა.

კანონპროექტის მიზანია 2000 წლის 1 აინვრიდან 2001 წლის 1 იანვრამდე პერიოდში წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული მიწის გადასახადის ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე დარიცხული საურავები ჩამოიწეროს. თანხა, რომელიც შესაძლოა ჩამოწერას დაექვემდებაროს, 2 მილიონ ლარს შეადგენს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა აღნიშნული კანონპროექტი მოიწონა და მის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირა. **ინტერპრესნიუსი.**

## აგრარულ საკითხთა კომიტეტი ახალი ინიციატივით გამოდის

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა დღეს "საგადასახადო არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ კანონში" შესაბამისი ცვლილებების პროექტი განიხილა და მხარიც დაუჭირა.

პროექტის მიხედვით, მიწის გაყიდვიდან შემოსული თანხების 70 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს, 30 პროცენტი კი ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტებს დარჩეს. დღეს მოქმედი ნორმის მიხედვით, ასეთი ტიპის მიწის გაყიდვიდან მიღებული თანხის 100 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება. კანონპროექტის ინიციატორების განცხადებით, ასეთი ფორმით განაწილება რაიონებში სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას დაეხმარება. გარდა ამისა, ხელი შეეწყობა ტერიტორიული ერთეულების წინაშე მდგარი ამოცანების უკეთესად გადაწყვეტას. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების გაყოფა-განაწილებას მხარი დაუჭირა, თუმცა პროცენტული თანაფარდობა არასამართლიანად მიიჩნია. საბიუჯეტო კომიტეტში მიიჩნევენ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებს მიწის გაყიდვიდან შემოსული ფულის უფრო დიდი პროცენტი უნდა დარჩეს. კომიტეტის გადაწყვეტილებით, პროცენტული გადანაწილება მიწის პრივატიზაციიდან შემოსული თანხებისა შემდგომი კონსულტაციების საგანი უნდა გახდეს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## მე-9 ენერგობლოკი ჩართულია

მე-9 ენერგობლოკი ჩართულია. როგორც კომპანია "თელასში" განაცხადეს, ბლოკი ამჟამად 195 მეგავატს გამოიმუშავებს, მისი სიმძლავრე აპრილის თვიდან 220 მეგავატამდე გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ მე-9 ენერგობლოკის ჩართვის გადაწყვეტილება "ენგურჰესის" სადერევაციო გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით გაჩერებასთან დაკავშირებით იქნა მიღებული. ჰესი უახლოეს დღეებში მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებამდე გაჩერდება.

მე-9 ბლოკი იმ გენერაციის ობიექტებს შორის ითვლება, რომლებიც "ენგურჰესის" გაჩერების პერიოდში გენერაციის ძირითადი წყაროები იქნება.

დღეს მე-9 ენერგობლოკის მონახულებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური გეგმავენ. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## "აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის" გადამუშავების პროექტში 7 მილიარდი დოლარია ინვესტირებული

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოპერატორი კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლის ნადირ იმანოვის თქმით, აზერბაიჯანული საბადოების "აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის" გადამუშავების პროექტში 7 მილიარდი დოლარია ინვესტირებული.

"აზერის" პროექტიის ფარგლებში "ფაზა-1" და "ფაზა-2"-ის ნაწილებზე 2001 წელს 6 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, ხოლო "ფაზა-3"-ის ნაწილზე - მილიარდი დოლარი. "ფაზა-3"-ის პროექტის რეალიზაცია გულისხმობს "გიუნეშლის" საბადოს წყალქვეშა ნაწილის გადამუშავებას.

პროექტის სანქცირება 2004 წლის სექტემბერში მოხდა. "ბი-პი"-ს წარმომადგენლის თქმით, "აზერის" პროექტის ფარგლებში 2005 წელს 1,3 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, "ფაზა-3"-ზე კი - 0,8 მილიარდი დოლარი.

"2006 წელს "აზერის" ფარგლებში 0,5 მილიარდი დოლარი დაიხარჯება, "ფაზა-3"-ისთვის კი - 1,3 მილიარდი დოლარი," - აცხადებს ნადირ იმანოვი. **მედიანიუსი.**

# უნიკალური პლასტიკური ბარათი

პირველი გვერდიდან

"ვიზა-კომფორტს" სტანდარტული ვიზა-ელექტრონ-ბარათის ყველა ფუნქცია გააჩნია და მისი გამოყენება შესაძლებელია ყველგან, სადაც ვიზა-ელექტრონ-ბარათი გამოიყენება. ბარათის განსაკუთრებულობა კი მდგომარეობს ფასდაკლებების და ბონუსების უნიკალურ სისტემაში, რომლითაც ამ ბარათის მფლობელები ისარგებლებენ. კერძოდ, ეს არის ფასდაკლება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და სალაპარაკო წუთები საჩუქრად "მაგთიკომისა" და "თიბისი ბანკისაგან."

ხუთპროცენტიანი ფასდაკლების პროგრამა ვრცელდება შემდეგ მაღაზიებსა და მომსახურების ობიექტებზე: "ჰუგო ბოსი", "ჯენტლმენი", "გარდერობი", "ტედ ლაპიდუსი", "ვულე ვუ", "ჯიპსის" აფთიაქების ქსელი, წითელი A-ს აფთიაქები, რესტორნებში: "ტოკიო", "შემოიხედე გენაცვალე", "მარკო პოლო", "მატრიოშკა", "ძველი სახლი", კაფე-ბარი "დელფი", სუპერმარკეტი "თიბისი".

"ვიზა-კომფორტის" მფლობელი შეძენისას იხდის სასაქონლო მომსახურების სრულ ღირებულებას, მეორე დღეს კი დახარჯული თანხის 5 პროცენტი უკან უბრუნდება პლასტიკური ბარათის ანგარიშზე. გარდა ამისა, გადახდილი თანხის 2 პროცენტი საჩუქრის სახით უბრუნდება სალაპარაკო წუთებად "მაგთი GSM"-იან ნომრის ბალანსზე. ამ თანხის ათვისებას იგი "მაგთიკომის" ქსელის შიდა ზარებზე (მაგთი-მაგთი, მაგთი-ბალი) შეძლებს.

ასეთი ფასდაკლებების და ბონუსების სისტემა ყოველ დახარჯულ 100 ლარზე 7 ლარის უკან დაბრუნების შესაძლებლობას იძლევა: "ვიზა-კომფორტით" აღნიშნულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში 100 ლარის გადახდისას, მყიდველს პლასტიკური ბარათის ანგარიშზე უბრუნდება 5 ლარი და საჩუქრად იღებს 2 ლარის სალაპარაკო წუთებს.

"ვიზა-კომფორტის" მფლობელებს ასევე შეეძლებათ "მაგთი GSM"-ის ბალანსის ავტომატურად შევსება, მონო-ბარათის შეძენის ან "მაგთიკომის" ოფისში ვიზიტის გარეშე. როდესაც "მაგთი GSM"-ის ნომრის ბალანსი 3 ლარამდე შემცირდება, ის პლასტიკური ბარათის ანგარიშიდან ავტომატურად შეივსება მფლობელის მიერ წინასწარ მითითებული თანხით (5-დან 200 ლარამდე). საუბრის ღირებულების გადახდა შესაძლებელია ინტერნეტ-ბანკით ან SMS-ის საშუალებით.

ბალანსის ავტომატურად შევსება არ გამორიცხავს მონო-ბარათით სარგებლობას. ინფორმაცია თანხის ჩარიცხვისა და საჩუქრად მიღებული წუთების შესახებ აბონენტს SMS-ის საშუალებით მიეწოდება.

ყოველივე ამის გარდა, "ვიზა-კომფორტის" მფლობელი საჩუქრად მიიღებს უამრავ დამატებით უფასო სერვისებს "თიბისი ბანკისა" და "მაგთიკომისაგან". "თიბისი ბანკისაგან" მომხმარებელი მიიღებს: ავტომატურ კომუნალურ გადარიცხვებს, ანგარიშზე თანხის შეტანას ბანკომატით, SMS-სერვისი და ინტერნეტ-ბანკი. "მაგთისგან" მომხმარებელი მიიღებს: ნომრის დაფარვის მომსახურების ჩართვას, დაფარული ნომრის ამოცნობის ჩართვას, WAP, GPRS, MMS მომსახურების ჩართვას.



*დევიდ ლი.*

"მაგთის" დირექტორმა, დევიდ ლიმ განაცხადა, რომ მოხარულია და ემაყება "თიბისი ბანკთან" თანამშრომლობა: "მოხარული ვარ, რომ ბაზრის ორი ლიდერის ერთობლივი პროექტი განხორციელდება. "თიბისი ბანკი" ბანკებს შორის ლიდერია, "მაგთიკომიც" მობილური კავშირგაბმულობის ლიდერია და ეს ლიდერთა შეერთება ნამდვილად "ააფეთქებს" თქვენს გონებას. ამ ერთობლივი ახალი პროდუქტით ჩვენი და "თიბისი ბანკის" კლიენტები სხვადასხვა მომსახურების ობიექტებზე ფასდაკლებებს მიიღებენ. "მაგთი" უდიდესი კომპანიაა საქართველოში. ჩვენ დიდი ფინანსები გვაქვს და უპრობლემოდ შეგვიძლია, გარკვეული თანხა მომხმარებელს დეპოზიტზე დავუსვათ. ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ ჩვენს მომხმარებელს, რომ საუკეთესო სერვისებს ვთავაზობთ. იმ სერვისებს, რომლებიც მსოფლიოში არსებობს."

"ჩვენი მხრიდან ეს პროექტი კლიენტებისათვის დამატებითი ლოიალურობის ჟესტია. ვაფართოებთ კლიენტებს და გვსურს, რომ მათ ის მომსახურება მიიღონ, რასაც სხვა ბანკები ვერ შესთავაზებენ. "ვიზა-კომფორტის" უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ პლასტიკური ბარათით მომხმარებელი ფასდაკლებებს იღებს და, რაც ყველაზე მთავარია, გადახდილი თანხიდან მომხმარებელს ნაწილი საჩუქრად უბრუნდება. "მაგთი" ძლიერი კომპანიაა და მოხარული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა შედგა," - განაცხადა "თიბისი ბანკის" დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ. როგორც გაირკვა, "თიბისი ბანკი" თავის კლიენტებს კიდევ ბევრ სიურპრიზს უმზადებს და უახლოესი მომავლისათვის რამდენიმე ნოვატორული პროექტის განხორციელებასაც გეგმავს.

პროექტის წარდგენის დროს "ვიზა-კომფორტის" ვიდეო-რგოლის პრეზენტაციაც შედგა, რომლის ხილვაც დღეიდან ტელევიზიით იქნება შესაძლებელი.

# ბიზნესფორუმი ავსტრიაში

სალომე ძაძამია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრისა და ავსტრიის სავაჭრო პალატის "ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერის ინსტიტუტის" (WIFI) ორგანიზებით ქართული ბიზნესის 16-კაციანი წარმომადგენლობა ავსტრიაში, ქალაქ ვენასა და ველსში ბიზნესფორუმზე იმყოფებოდა.

პროექტი, რომელიც თბილისში დაიწყო, გულისხმობდა ქართველ ბიზნესმენთა მომზადებას მართვისა და სამართლის საკითხებში. ავსტრიაში ქართველმა ბიზნესმენებმა მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები, რომლებსაც ავსტრიაში საქართველოს ელჩი ვიქტორ დოლიძეც ესწრებოდა. ისინი პროფილის მიხედვით შეხვდნენ და მოლაპარაკებები აწარმოეს ავსტრიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

ქართველ ბიზნესმენთა დელეგაციამ ავსტრიაში სხვადასხვა sawarmoebi დაათვალიერა, მათ შორის, "BMW"-ს ძრავის ქარხანა.

იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის დირექტორი სულხან გამყრელიძე WIFI-ს დირექტორს, პროფესორ მიხაილ ლანდერსტჰამერს შეხვდა.

"24 საათი" პროექტის ერთ-ერთ ინიციატორს, იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის დირექტორს სულხან გამყრელიძეს ესაუბრა, რომელიც აცხადებს, რომ ეს ფორუმი მნიშვნელოვნად წაადგება ქართულ ბიზნესს.

**- ბატონო სულხან, რითი დაიწყო ყველაფერი, სად დაიბადა ფორუმის იდეა?**

- ტრენინგები ჩატარდა თბილისში. ლექციებს კითხულობდნენ ავსტრიელი ექსპერტები ეკონომიკის, მენეჯმენტის და სამართლის საკითხებში. ავსტრიაში ბიზნესმენთა 16-კაციანი ჯგუფი გაემგზავრა. მათ შორის "ჯი-ემ-პის" გენერალური დირექტორი, "თიბისი ბანკის", "ბორჯომი-ლიკანის", ქუთაისის წყალკანალის, სამშენებლო ფირმების და საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენლები.

**- რა კრიტერიუმებით შედგა 16-კაციანი ჯგუფი?**

- ოფიციალური შერჩევა არ ყოფილა. ერთადერთი მოთხოვნა ავსტრიელების მხრიდან იყო ის, რომ ქართველი ბიზნესმენები საქართველოში ჩატარებულ ტრენინგებს დასწრებოდნენ და ჩაებარებინათ სპეციალური გამოცდა.

**- როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა ავსტრიის სავაჭრო პალატის "ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერის ინსტიტუტთან", WIFI-სთან?**

- ჩემი უცხოელი მრჩეველი, ბატონი ჰერბეტ შლაიერი, რომელიც გერმანიის მთავრობამ საქართველოში გერმანული ორგანიზაციის CIM-ის ეგიდით გამოგზავნა, წარმოშობით ავსტრიელია. მას ჰქონდა ურთიერთობები ავსტრიის სავაჭრო პალატასთან და მან შემოგვთავაზა გაგვეკეთებინა ეს პროექტი. ავსტრიის მხარე დაგვთანხმდა ამ წინადადებაზე. ლექტორები, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ და ლექციებს ატარებდნენ, დადებითი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ავსტრიაში. ამან დიდად შეუწყო ხელი ახალი პროექტის განხორციელებას.





**- როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ ქართველი ბიზნესმენები ავსტრიიდან?**

- ქართველებმა ავსტრიელებზე დადებითი შთაბეჭდილება დატოვეს.

ავსტრიული მხარე დიდი ინტერესით მოეკიდა ქართველ მეწარმეთა ჯგუფის ავსტრიის საქმიან წრეებთან დაკავშირებას.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს მსგავს ღონისძიებებში ქართველი ბიზნესმენების მონაწილეობა?**

- სხვათა შორის, ქართველმა მეწარმეებმა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მოისმინეს ბიზნესის კლასიკური სკოლის შესახებ. მათ

ურთიერთობა ჰქონდათ ეკონომიკის პრაქტიკოს ექსპერტებთან. საუბარი იყო ბიზნესისთვის საინტერესო ახალ, თანამედროვე პრინციპებზე.

**- ფორუმის ფარგლებში თუ იყო საუბარი ინვესტიციებზე?**

- პარტნიორები, რომლებიც ქართველ ბიზნესმენებს შეხვდნენ, პოტენციური ინვესტორები არიან. ორივე მხარემ საკმაო დაინტერესება გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

**- კონკრეტული პარტნიორული ურთიერთობების სურვილი ხომ არ გამოუთქვამთ?**

- ეს მოლაპარაკების საკითხია. ყველაფერს დრო გვაჩვენებს.

ამჟამად, მსგავსი ღონისძიებების ჩატარების შესახებ, ავსტრიულ მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის. თუმცა, როდესაც მე WIFI-ს დირექტორს შევხვდი, მან აღნიშნა, რომ ქართველებთან თანამშრომლობის სურვილი აქვს.

## "თუჯი XXI" სრული სიმძლავრით ამუშავდება

ქალაქ რუსთავში მდებარე, თუჯის მწარმოებელი სს "თუჯი XXI" 2007 წლის ბოლოსთვის სრული სიმძლავრით ამუშავდება, რის შემდეგაც წელიწადში დაახლოებით 500 ათასი ტონა თუჯის დამზადება იგეგმება.

საწარმოს აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2006 წლის დასაწყისიდან მიმდინარეობს, რათა განახლდეს წლების განმავლობაში შეჩერებული თუჯის წარმოება, - განაცხადეს სააქციო საზოგადოებაში.

როგორც "თუჯი XXI"-ს დირექტორმა გელა ბიწაძემ განაცხადა, წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას" მოხმარდება, რომელიც, თავის მხრივ, მას ფოლადის გამოსადნობად გამოიყენებს.

სს "თუჯი XXI"-ს აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი", რომლის შვილობილი კომპანია "ქართული ფოლადი" "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის" მესაკუთრეა.

მეტალურგიული ქარხნის დირექტორის რობიზონ ლომიძის განცხადებით, ორი ერთმანეთისადმი დაკავშირებული საწარმოს ერთი ინვესტორის ხელში ყოფნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი სრული სიმძლავრით ამუშავებას, რაც მაღალ ეკონომიკურ შედეგებს გამოიღებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## პრემიერ-მინისტრმა ენერგოობიექტების მზადყოფნა შეამოწმა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურთან ერთად, ხუთშაბათს ქვემო ქართლში არსებული ენერგოობიექტების მზადყოფნა შეამოწმა. ნოღაიდელმა გარდაბანში მდებარე, "თბილსრესის" ენერგობლოკები და გაზოტურბინული დანადგარები დაათვალიერა. ნოღაიდელის განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც 25 მარტიდან "ენგურჰესი" სამთვიანი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის უნდა გამოირთოს, თბოელექტროსადგურების გამართულ მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა ქართულ-რუსული კომპანია "ენერჯი ინვესტის" კუთვნილი გაზოტურბინული დანადგარები, რომლებიც ამ დროისათვის დღე-ღამეში 50 მეგავატ სიმძლავრის ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, თუმცა სრული დატვირთვით მუშაობისას მათ 120 მეგავატის გამომუშავება შეუძლიათ.

დღესვე ნოღაიდელი და გილაური მოინახულებენ ჰიდროელექტროსადგურ "ხრამი 2"-ს წალკის რაიონში, რომელიც 25-წლიანი მართვის უფლებით რუსულ კომპანია "რაო - ეესს" ეკუთვნის. **პრაიმ-ნიუსი.**

## თურქეთის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მორიგი მონაკვეთის შევსება დაიწყო

კომპანია BTC Co-მ თურქეთის ტერიტორიაზე Azeri Light-ის სახეობის ნავთობით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მორიგი მონაკვეთის შევსება დაიწყო.

სააგენტო "ტრენდს" BTC Co-ს ოპერატორ კომპანია BP-ში აცნობეს, რომ გასული კვირიდან დაიწყო თურქეთის ტერიტორიაზე არსებული მეორე სატუმბ სადგურსა (PST-2) და მესამეს (PST-3) შორის არსებული მილის მონაკვეთის შევსება ნავთობით. "ტრენდის" ინფორმაციით, თებერვალში BTC Co-მ ნავთობის გაშვების სამუშაოები დროებით შეაჩერა, ვინაიდან ზემოთხსენებულ მეორე და მესამე სატუმბ სადგურებს შორის არსებული მილის მონაკვეთის ტესტირება მიმდინარეობდა. როგორც BP-ში აცხადებენ, ამ დროისათვის ნავთობსადენი დღე-ღამეში 175 ბარელი ნავთობის სიჩქარით ივსება და მეორე და მესამე სატუმბ სადგურებს შორის არსებული მილის შევსების შემდეგ ნავთობსადენში 6 მლნ ბარელი Azeri Light-ის სახეობის ნავთობი იქნება ჩატვირთული. "ტრენდის" ინფორმაციით თურქეთის ტერიტორიაზე სულ 4 სატუმბი სადგური მდებარეობს. ნავთობსადენით ტრანსპორტირებული ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი თურქულ პორტ ჯეიჰანს მიმდინარე წლის გაზაფხულზე დატოვებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ნავთობით შევსება 2005 წლის მაისში დაიწყო. მიმდინარე წლის 1 მარტის მდგომარეობით ნავთობსადენში 5,5 მლნ ბარელი ნავთობია ჩატვირთული, ხოლო მისი სრულად შევსებისათვის საჭიროა 10 მლნ ბარელი.

### ძვირფასი ლითონები იაფდება

წინა დღეების განმავლობაში გამუდმებული ზრდის შემდეგ გუშინ ლონდონის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე ძვირფასი ლითონების ფასი შემცირდა. მოვლენები ინვესტორთა შემოსავლის ფიქსაციის და დოლარის კურსის გამყარების ფონზე განვითარდა. კერძოდ, თბილისის დროით 15,48 1 ევრო 1,2953 დოლარი ღირდა.

უნცია ოქროს ფასმა 548,5/549,4 დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა გუშინწინ ნიუ იორკში მისი ფასი 550,2/551,1 დოლარი გახლდათ. შემცირდა ვერცხლის ღირებულებაც, რომლის ფასმაც გუშინწინ 22-წლიან მაქსიმუმს - უნციისათვის 10,59 დოლარს მიაღწია. ამჯერად უნცია ვერცხლი 10,49/10,52 დოლარი ღირდა.

### Volkswagen Eos, ივლისის ნაცვლად, მაისში გამოვა

წამყვანმა ევროპულმა ავტომშენებელმა Volkswagen-მა განაცხადა, რომ ახალი კუპე-კაბრიოლეტი Eos-ი გერმანიაში უკვე 19 მაისს გამოვა და არა ივლისში, როგორც ადრე ამბობდნენ. თავდაპირველად ამ ავტომობილის გამოშვება მარტში იგეგმებოდა, მაგრამ ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გამო მაისისათვის გადაიდო. ახლა კი, როგორც ჩანს, ეს პრობლემები ნაადრევად მოგვარდა.

გერმანელი დილერები უკვე იღებენ შეკვეთებს ახალ ოთხადგილიან კაბრიოლეტზე, რომლის ფასი 25,950 ევრო (31,330 დოლარი) იქნება. სავარაუდოდ, Volkswagen-ი წელიწადში 50 ათას Eos-ს გამოუშვებს.



### ექსპერტების ვარაუდით, ნავთის ფასი დაიწევს

ამერიკა, შეიძლება ითქვას, ნავთით დაკმაყოფილდა. არსებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების საწვავის კომერციული მარაგი, 1999 წლის მაისის შემდეგ, საკმაოდ დიდ მაჩვენებელს აღწევს. შედეგად, ნიუ იორკის სავაჭრო ბირჟაზე ნავთის ფასი 2 დოლარით და 35 ცენტით გაიაფდა. ერთი ბარელი ნავთის ფასი კი 60 დოლარს და 42 ცენტს შეადგენს.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს მომავალში საწვავის ღირებულება 63 დოლარს არ გადააჭარბებს.

თუმცა შესაძლოა, სიტუაცია ისეთმა ფორსმაჟორულმა გარემოებამ შეცვალოს, როგორიცაა, მაგალითად, ფრინველის გრიპი. "DoiChe Bank"-ის ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ პანდემიის შემთხვევაში ბარელი ნავთის ღირებულება შესაძლოა, 25 დოლარამდე დაეცეს.

ლოგიკა ასეთია: მთლიანი მსოფლიო პროდუქტი 1-2 პროცენტამდე შემცირდება, ამასთან, თვითმფრინავის მომხმარებელთა რიცხვიც მოიკლებს, რაც საწვავზე მოთხოვნილებას საგრძნობლად შეამცირებს. შედეგად, დღე-ღამის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნილება 1-2 მილიონ ბარელამდე დაეცემა.

ფრინველის გრიპის პანდემიის გამორიცხვის შემთხვევაში "Doiche Bank"-ის პროგნოზი კი ასეთია: მიმდინარე წელს ბარელი ნავთის ღირებულება 60 დოლარი იქნება, მომავალ წელს კი ფასი 45 დოლარამდე შემცირდება.

### ამერიკა დიზელის საწვავიდან სიმინდზე გადადის

ამერიკის შეერთებული შტატები დიზელის საწვავს სიმინდით შეცვლის. ამის მიზეზი აღნიშნული საწვავის გაძვირებაა, სიმინდის მოსავლით კი ამერიკა მსოფლიოში პირველი ქვეყანაა. როგორც გაირკვა, ახალი საწვავი საკმაოდ კარგად იწვის და, თანაც, დიზელთან შედარებით ბევრად უფრო იაფია. ამასთან, რაც ყველაზე მთავარია, სიმინდი ხარჯებს 7-ჯერ შეამცირებს.



პირველი გვერდიდან

# ფოლადის მაჰარაჯა

**1997 წელს Istar-მა 10,9 მილიონი ტონა ფოლადი გადაადნო, რითაც კომპანია მსოფლიოს უმსხვილეს მწარმოებლებს შორის მოხვდა, მაგრამ ბიზნესელიტაში ლაკშმი მიტალს სერიოზულად რატომღაც მაინც არავინ აღიქვამდა. ბევრი სპეციალისტისათვის იგი 1994 წელს ინდონეზიიდან ლონდონში გადარეგისტრირებული კომპანიის ხელმძღვანელი იყო, რომელიც უმეტესწილად მესამე სამყაროს წამგებიან საწარმოებს ნთქავდა.**

### ოჯახური ბიზნესი

ციფრული ტექნოლოგიების ხანაში ფოლადი კვლავ სტრატეგიულ ნედლეულად რჩება. ამიტომაც არის, რომ მის წარმოებას ყველა ქვეყნის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს და ეროვნული მეტალურგიული წარმოებების გაყიდვას ერიდება. თავის მხრივ, ფოლადგადამამუშავებელი ბიზნესი ნაკლებად ისწრაფვის უცხოეთში ექსპანსიისკენ. ამ ფონზე ნიდერლანდების ანტილიის კუნძულებზე რეგისტრირებული და ლონდონიდან და როტერდამიდან მართული კორპორაცია LNM Group გამონაკლისი გახლავთ. მისი ბიზნესი მსოფლიოს 15 ქვეყანაშია გავრცელებული. ყველაფერ ამას კი ერთი ადამიანი, კომპანიის დამაარსებელი და მეპატრონე, ლონდონელი ინდოელი ლაკშმი მიტალი აკონტროლებს, რომელმაც მამამისის პატარა ფირმა უმსხვილეს, ტრანსნაციონალურ კომპანიად აქცია.

ინდოეთის დასავლეთით, პაკისტანის საღზვრის მახლობლად ტარის უდაბნო მდებარეობს, რომელსაც რაჯასტანის შტატის დიდი ნაწილი უკავია. სწორედ აქ, უდაბნოს საზღვართან შეკჰავატის მხარეა, მარვართა სამშობლო, რომლებიც ევროპელებმა, თავის დროზე, ინდოელ ებრაელებად მონათლეს.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მარვართა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი მიტალების ოჯახი ყარაჩიში ჯართით ვაჭრობდა. 1947 წელს ქვეყნის ინდოეთად და მუსულმანურ პაკისტანად გახლეჩის შემდეგ მიტალები ჯერ რაჯასტანში გადასახლდნენ, სადაც 1950 წელს ოჯახის თავკაცს მოჰან ლალ მიტალს უფროსი ვაჟი ლაკშმი ნარენდრა შეეძინა, შემდეგ კი კალკუტაში გადაბარგდნენ. იქ მოჰან ლალმა ორ კომპანიონთან ერთად ფოლადის მდნობელი ქარხანა შეიძინა და სამშენებლო მასალების წარმოება დაიწყო.

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველი ოცი წლის განმავლობაში ფოლადის გადადნობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებს შეეძლო. მაგრამ ისინი ამას თავს ვერ ართმევდნენ, რის გამოც 60-იანი წლების ბოლოს მთავრობა ფოლადის დეფიციტმა შეაწუხა და ამ სფეროში კერძო სექტორი უხალისოდ შეუშვა. ამით ერთ-ერთმა პირველმა მოჰან ლალ მიტალმა ისარგებლა. მან თავის ოთხ უმცროს ძმასთან ერთად დააარსა კომპანია Ispat (სანსკრიტულად ფოლადი) და ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კალკუტიდან 1000 კმ-ით დაშორებით მდებარე საპორტო ქალაქ ვაშაკხაპატნამში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დაიწყო.

### ახალგაზრდა ნოვატორი

ამ დროისათვის ლაკშმი მიტალმა კალკუტაში კოლეჯი დაამთავრა და ადგილობრივ უნივერსიტეტში ჩაირიცხა. თუმცა, 1970 წელს, 19 წლის ასაკში სწავლის მიტოვება მოუხდა, რომ მამას და ბიძებს ბიზნესის გაძღოლაში დახმარებოდა. იგი აქტიურად ჩაერთო კალკუტასა და ბანგალორში კომპანიის კიდევ ორი, ახალი ქარხნის მშენებლობაში, შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა საექსპორტო ოპერაციებს.

მოჰან ლალ მიტალი თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი მეტალურგიული კომპანიის შექმნაზე ოცნებობდა, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფომ კერძო სექტორის შევიწროვება დაიწყო. ბიუროკრატიულ მექანიზმთან რამდენიმეწლიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ მოჰან ლალ მიტალმა ყველა ქარხანა გაყიდა და ოჯახით ინდონეზიაში გადაბარგდა. სუბარაიში თავის ძველ ბიზნესპარტნიორებთან ერთად 1975 წელს 15 მილიონ დოლარად მშენებარე მეტალურგიული ქარხანა შეიძინა და ერთი წლის შემდეგ იტალიური ტექნოლოგიით მავთულის გამოშვება დაიწყო. ამ საწარმოს დირექტორი ლაკშმი მიტალი გახდა.

ინდონეზიური ბაზარი ინდურისაგან დიდად განსხვავდებოდა. ახალ გარემოში მიტალების ოჯახურ ბიზნესს სერიოზულ კონკურენციას უწევდა უამრავი უცხოური კომპანიის ფილიალი. კონკურენციის დასაძლევად ლაკშმის ინიციატივით იაპონური ტექნოლოგიის ათვისება და ძალიან მსხვილი საწარმოო კომპლექსის აშენება გადაწყდა. მისი იდეის განხორციელებამ Istar-ი ინდონეზიური ფოლადის ბაზრის ლიდერად აქცია. 1985 წლისათვის კომპანიამ თავისი ნაწარმის უცხოეთში, კერძოდ აზიის მახლობელ ქვეყნებში ექსპორტი დაიწყო. ამ პერიოდში მიტალმა იაფი ნედლეულის ტრინიდადიდან შემოტანა გადაწყვიტა, რაც ძლიერ მომგებიანი სვლა და მიტალის მომავალი ტრანსნაციონალური იმპერიის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა.

მოკლედ, მოჰან ლალ მიტალის ოცნება ახდა. კომპანია სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. 1989 წელს Istar-მა თავისი ტრინიდადელი პარტნიორი, სახელმწიფო კომპანია Iscott-ი შეიძინა. ჭკვიანმა ბიზნესმენმა ტრინიდადში დიდი ქარხნის აშენება გადაწყვიტა, რაც მას აზიურთან ერთად ამერიკულ ბაზარზე გასვლას გაუადვილებდა. ახალი პროექტის წარმატებას ხელი ნედლეულის ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებამ, ადგილობრივი მუშახელის სიიაფემ და აშშ-ს მთავრობის მიერ პროტექციულ პოლიტიკაზე უარის თქმამ და ბაზრის გახსნამ შეუწყო.

შეიძლება ითქვას, სწორედ ტრინიდადში ჩამოყალიბდა ლაკშმი მიტალის ძირითადი ბიზნესმოდელი, რომელმაც მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

### გლობალიზაცია ინდურად

იაფი, წამგებიანი საწარმოს შეძენისა და მომგებიანად ქცევის ტრინიდადური გამოცდილება მიტალმა შემდგომში არაერთხელ გამოიყენა. მან ჯერ სერიოზული ინვესტიცია განახორციელა მექსიკაში, შემდეგ კი, 1992 წელს ვალების დაფარვის ვალდებულების ჩათვლით 220 მილიონ დოლარად ნორვეგიული კომპანია Sicarsta-ს აქციების 50% შეიძინა. მისი სიმძლავრე წელიწადში 2,2 მილიონი ტონა იყო, თუმცა, იქამდე მხოლოდ 40%-ის დატვირთვით მუშაობდა. ახალ ქარხანაში მიტალმა თავისი მენეჯმენტი დანერგა, მაღალი დონის სპეციალისტები მოიწვია, პერსონალის ნაწილი გაათავისუფლა და მათ იაფი ინდოელი და ტრინიდადელი მუშები ჩაანაცვლა. შენაძენმა უმოკლეს ვადაში მოგების მოტანა დაიწყო.

ამის შემდეგ მიტალმა მზერა კანადისაკენ მიმართა და 1994 წელს კვებეკის პროვინციაში მდებარე მეტალურგიული ქარხანა Sidbec 318 მილიონ დოლარად შეიძინა. აქედან, 48 მილიონი თავად ქარხანა დაუჯდა, 80 - საინვესტიციო ვალდებულებები, 190 კი ვალების დაფარვა. მიტალის ამგვარი პოლიტიკის წყალობით, 1995 წლისათვის Istar-ის წლიურმა მოგებამ 70 მილიონი დოლარი შეადგინა. ცოტა ხანში მიტალმა ისევ ევროპას მიაშურა და გაკოტრების პირას მყოფი სამი გერმანული მეტალურგიული ქარხანა შეიძინა.

1996 წელს Istar-მა კიდევ ორი მსხვილი, ერთი შეხედვით ავანტიური პროექტი განახორციელა. მიტალმა ჯერ სიმბოლურ 1 ფუნტად და 80 მილიონი დოლარის ოდენობის ვალის დაფარვის გარანტიით ირლანდიის საპორტო ქალაქ კორკში მდებარე ქარხანა Irish Steel შეიძინა. თუმცა, კონტრაქტის მიხედვით 5 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილების შემცირების აკრძალვამ და ევროკომისიის მიერ წარმოების გაფართოების შეზღუდვამ მიტალს თავისი პოლიტიკის გატარება გაუძნელა. საბოლოოდ, მიტალმა ირლანდიური ქარხანა მომგებიანად ფართო ასორტიმენტის, მათ შორის ძველი ბრიტანული სტანდარტების პროდუქციის გამომშვებით აქცია.

მეორე რთული პროექტი ყაზახური, ქალაქ ყარაგანდაში მდებარე მეტალურგიული კომბინატის შეძენა გახლდათ. ეს იყო სახელმწიფო საწარმო, მეტად ძველი ტექნოლოგიით მუშაობდა და თანაც უახლოესი პორტიდან ძალიან დიდი მანძილით იყო დაშორებული, რაც მისი პროდუქციის ბაზარზე გატანას აძნელებდა. წელიწადში 6 მილიონი ტონის წარმადობის ეს ქარხანა, რომელშიც 30 ათასამდე ადამიანი მუშაობდა, Istar-ს თითქმის მილიარდ დოლარამდე დაუჯდა. თანაც, ამაში არ შედიოდა ქარხნის ვალების დაფარვა, რაც მიტალისათვის არავის მოუთხოვია და დღემდე არც გადუხდია. მიტალმა ყაზახეთშიც თავისი მენეჯმენტი დანერგა, ტექნოლოგია განაახლა, ორი წლის განმავლობაში 10 ათასამდე სამუშაო ადგილი უმოწყალოდ შეამცირა და ხუთი წლის განმავლობაში 500 მილიონამდე დოლარის ინვესტიცია განახორციელა. შედეგად, ყაზახური ქარხანა მალე Istar-ის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ ნაწილად იქცა.

### მსოფლიო ელიტაში

1997 წელს Istar-მა 10,9 მილიონი ტონა ფოლადი გადაადნო, რითაც კომპანია მსოფლიოს უმსხვილეს მწარმოებლებს შორის მოხვდა, მაგრამ ბიზნესელიტაში ლაკშმი მიტალს სერიოზულად რატომღაც მაინც არავინ აღიქვამდა. ბევრი სპეციალისტისათვის იგი 1994 წელს ინდონეზიიდან ლონდონში გადარეგისტრირებული კომპანიის ხელმძღვანელი იყო, რომელიც უმეტესწილად მესამე სამყაროს წამგებიან საწარმოებს ნთქავდა.

ელიტაში შესაბიჯებლად მიტალმა აშშ-ს ბაზარზე გავლენის განმტკიცება გადაწყვიტა. ამისათვის მან ვენესუელური კომპანია Sidor-ის შეძენაზე შეაჩერა არჩევანი, მაგრამ კარაკასში პირადად ჩასულს 2,3 მილიარდი ძალიან ეძვირა და ტენდერში მონაწილეობაზე უარი თქვა. სამაგიეროდ, იქ მან გაიცნო აშშ-ს უმსხვილესი მეტალურგიული კომპანია Inland Steel-ის გენერალური დირექტორი რობერტ დარლანი. ორმა ბიზნესმენმა ერთმანეთს იოლად გაუგეს და საერთო ინტერესებიც გაუჩნდათ, რაც მალე შერწყმის შესახებ მოლაპარაკებებში გადაიზარდა. 1998 წელს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ Istar მსოფლიოს სიდიდით მეოთხე ფოლადის მწარმოებელ კომპანიად იქცა.

მართალია, Inland Steel-ში მიტალმა დიდძალი თანხა - 1,43 მილიარდი დოლარი გადაიხადა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთი გასროლით სამი კურდღელი მოკლა: ელიტაში შებიჯებასთან ერთად, Istar Group ამერიკულ ბაზარზე გაბატონდა და თანაც, თავისი ასორტიმენტი უმაღლესი ხარისხის, ავტოწარმოებაში გამოყენებადი ფურცლოვანი ფოლადით შეავსო.

ამ დროისათვის მიტალმა კომპანიის აქციების ბირჟაზე გატანა გადაწყვიტა, რასაც რეორგანიზაცია მოჰყვა. ნიდერლანდების ანტილიის კუნძულებზე დარეგისტრირდა კომპანია LNM Group, რომლის მფლობელობაში გადავიდა სააქციო საზოგადოებად გადაკეთებული Istar International-ის აქციების საკონტროლო პაკეტი. ამგვარად, სააქციო საზოგადოებებისა და მრავალეროვნული კორპორაციების სამყაროში მიტალი მილიარდობით ბრუნვის მქონე კომპანიის ერთადერთი ერთპიროვნული მეპატრონე გახდა.

ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანია ლონდონიდან და როტერდამიდან იმართება, მაგრამ ინგლისსა და ჰოლანდიაში ერთ ტონა ფოლადსაც არ აწარმოებს. LNM ბრიტანულ კომპანიად მოიხსენიება, მაგრამ გაერთიანებული სამეფოს ხაზინას გადასახადს არ უხდის. ყოველივე ამის გამო LNM Group არაერთხელ მწვავედ გააკრიტიკეს. 2002 წელს კი მიტალი გრანდიოზული სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა: მავანმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ LNM Group-ის მიერ რუმინეთში განხორციელებულ ინვესტირებას თვით ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ლობირებდა. ალბათ ამიტომ შესწირა საპარლამენტო არჩევნებისას ინგლისის ლეიბორისტულ პარტიას მიტალმა 250 ათასი გირვანქა სტერლინგი.

საერთოდ, ამ და შემდგომ პერიოდში მიტალმა აღმოსავლეთ ევროპაში არაერთი ინვესტიცია განახორციელა. მის იმპერიას შეუერთდა ჩეხური, პოლონური და უკრაინული უმსხვილესი მეტალურგიული კომბინატები. გარდა ამისა, LNM Group-მა ფეხი მოიკიდა აფრიკაში, კერძოდ, შეიძინა ქარხნები ალჟირში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ასე რომ, ამ დროისათვის მიტალი ფოლადს უკვე ოთხ კონტინენტზე აწარმოებს და მისი უმსხვილესი მეტალურგიული კომპანია მსოფლიო ბაზრის 30%-ს აკონტროლებს. მიტალის გავლენა და შემოსავალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამუდმებით, სწრაფად იზრდება და ალბათ მალე ფოლადის მაჰარაჯა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი გახდება. იგი ჯერ არ აპირებს უთხრას საკუთარ თავს, რომ "საკმარისია".



### ამერიკული საფონდო ინდექსები კვლავ შემცირდა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე კვლავ ძირითადი ამერიკული საფონდო ინდექსების კლება დაფიქსირდა. შრომის ბირჟაზე სიტუაციის გაუმჯობესების მიუხედავად, ეს Adobe Systems Inc-ის არაკეთილსაიმედო პროგნოზის გამო მაღალტექნოლოგიური სექტორის დაზარალებამ გამოიწვია.

როგორც აშშ-ს შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ქვეყნის იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც უმუშევრობისათვის დახმარების მისაღებად შესაბამის ორგანოს პირველად მიმართეს, ერთი კვირის განმავლობაში 313 ათასიდან 302 ათასამდე შემცირდა.

სამაგიეროდ, მძიმე სიტუაციაშია Adobe Systems Inc, რაც მისი კვარტალური შემოსავლის მკვეთრ შემცირებას გამოიწვევს. ამის გამო ვაჭრობის დაწყებისთანავე მისი აქციები 2,5 პროცენტით გაიაფდა.

საბოლოოდ, თბილისის დროით 18.40 -ისათვის Dow Jones Index 0,04 პროცენტით 11.312,62-მდე შემცირდა, Nasdaq Index-მა კი 0,11 პროცენტით დაიკლო და 2.300,88 შეადგინა.

*24 მარტი. 01:00.*










### GMAC Commercial Holding Corp-ის აქციების 78 პროცენტი გაიყიდა

General Motors Corp-ის ფინანსურმა განყოფილებამ General Motors Acceptance Group-მა GMAC Commercial Holding Corp-ის აქციების 78 პროცენტი აქციონერთა ჯგუფს 1,5 მილიარდ დოლარად მიჰყიდა. გარდა ამისა, GMAC Commercial Holding-ი გარიგების დასრულებისას GMAC-ს ფირმებს შორის არსებულ დავალიანებას - 7,3 მილიარდს გადაუხდის. ამდენად, გარიგების სრული შემოსავალი 8,8 მილიარდი დოლარი იქნება.

უმსხვილესი ავტომწარმოებელი ნედლეულსა და მუშახელზე დიდი დანახარჯის, საბაზრო წილის შემცირების და სპორტული ავტომობილების გაყიდვის შემცირების გამო ზარალს განიცდის. ინვესტორთა ჯგუფი Kohlberg Kravis Roberts & Co-ს, Five Mile Capital Partners LLC-ს და Goldman Sachs Capital Partners-ის ფილიალებისაგან შედგება.

### უკრაინა ამერიკულ ვალუტას პანიკური სისწრაფით ყიდულობს

უკრაინაში აშშ დოლარისა და სხვა საზღვარგარეთული ვალუტის შესყიდვა დაიწყეს. აღნიშნული პროცესი 26 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მოსალოდნელმა ინფლაციამ განაპირობა.

"რია ნოვოსტის" ინფორმაციით, 2006 წლის დასაწყისიდან, საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე მოთხოვნილება თავისუფალ კონვერტირებად ვალუტაზე სულ უფრო იზრდება, რის გამოც, უკრაინის ნაციონალური ბანკი იძულებულია, სავალუტო ინტერვენციები განახორციელოს.

შედეგად, უკრაინის ნაციონალურ ბანკში სავალუტო რეზერვები იანვარსა და თებერვალში 1.126 მილიარდი დოლარიდან 18.27 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.

გავრცელებული ინფორმაციით, იანვრიდან მარტამდე გახშირდა შემთხვევები, როცა საბანკო შენატანები გრივნადან უცხოურ ვალუტაზე გადაჰყავთ. როგორც უკრაინის ნაციონალური ბანკის წარმომადგენელი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ გრივნას სტაბილურობას რაიმე საფრთხე დაემუქროს. მისი აზრით, სავალუტო ბაზარზე ატეხილი აჟიოტაჟი დროებით ხასიათს ატარებს და წინასაარჩევნო ციებ-ცხელებით არის გამოწვეული.

# საქართველოში 740 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვა

## ხელისუფლება ფსონს პრივატიზაციაზე დებს

ნინო ნატროშვილი

საქართველოში ბოლო ორ წელიწადში საინვესტიციო გარემო გაუარესდა. შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. ქართველ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უცხოელი ინვესტორების მიმართ გრძელვადაიანი საგადასახადო შეღავათები თუ არ დაწესდება, უახლოეს პერიოდში ქვეყანაში მსხვილი საინვესტიციო პროექტი აღარ განხორციელდება. ამ შეფასების მიუხედავად, ხელისუფლება საკმაოდ იმედიანად არის განწყობილი. ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებაზე მთავრობის მაღალ ეშელონებში დღეს არავინ ფიქრობს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის გათვლებით, 2006 წელს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. "ამ წელს ქვეყანაში 740 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდება. აღნიშნული პროგნოზი საკმაოდ რეალურ გათვლებზეა დამყარებული. 2005 წელს განხორციელდა 447,8 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია, რაც 2004 წლის მაჩვენებელზე 10 პროცენტით ნაკლები იყო. ინვესტიციების შემცირება გასულ წელს, ძირითადად, იმიტომ მოხდა, რომ შემცირდა "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. 2004 წელს BP-მ 359,7 მილიონი აშშ დოლარის, 2005 წელს კი მხოლოდ 264,5 მლნ შშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე ზაზა ბროლაძემ.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წელს მოსალოდნელია "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ 195 მლნ აშშ დოლარის ინვესტირება. თბილისის აეროპორტის მშენებლობისათვის 65 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. 2006 წელს პრივატიზაციიდან ბიუჯეტი 185 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს. აქედან, 50 მილიონს - ელექტროკავშირის პრივატიზაციიდან, ხოლო 115 მილიონი აშშ დოლარის მიღება ენერგოობიექტების გაყიდვიდან იგეგმება. მობილური ქსელის ახალი ოპერატორი 90 მილიონ აშშ დოლარს გაიღებს (40 მილიონი აშშ დოლარი - ლიცენზიისათვის, 50 მილიონი - კაპიტალდაბანდებები), საქართველოში განსახორციელებელი ყაზახური ინვესტიციების რაოდენობა, წინასწარი გათვლებით, 100 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ყულევის ტერმინალის მშენებლობაში 45 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება განხორციელდება. სტატისტიკური გათვლებით, სხვა გაუთვალისწინებელმა ინვესტიციებმა 20 მილიონი აშშ დოლარი უნდა შეადგინოს, რეინვესტიცია კი 40 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდება.

უცხოური ინვესტიციის მაჩვენებელმა პიკს საქართველოში 1998 წელს მიაღწია. მაშინ ქვეყანაში 288 მლნ აშშ დოლარის მოცულობის კაპიტალი შემოვიდა. არსებობს ვარაუდი, რომ ეს კაპიტალი ჩინოვნიკების მიერ საქართველოდან იყო გატანილი. მოგვიანებით კი ფული ქვეყანაში უცხოური ინვესტიციის სახით დაბრუნდა და ეკონომიკის განვითარებას მოხმარდა.

საინვესტიციო გარემოს შეფასებისას, ექსპერტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დაბანდების შესაძლებლობას, მისი უსაფრთხოების გარანტიებს, განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული მოგების ქვეყნიდან დაუბრკოლებლად გატანის რისკებს. ხშირად პოლიტიკოსები და ეკონომისტები დადებითად აფასებენ ამ ტიპის კაპიტალდაბანდებას ქვეყანაში, რადგან იგი ნაკლებ სარისკოა, ვიდრე საზღვარგარეთ სესხის აღება.

2006 წლის პროგნოზით, პირდაპირი ინვესტიციების სახით, ყველაზე მეტი თანხის მიღება პრივატიზაციიდან იგეგმება. კერძოდ, ობიექტების გაყიდვიდან მიღებულმა ინვესტიციამ 185 მილიონი აშშ დოლარი უნდა შეადგინოს.

დამოუკიდებელი ექსპერტის, სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, ეს მაჩვენებელი ნაკლებად იმედისმომცემია: "რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო საწარმოებს თავიდან იშორებს, რადგან ყველა კარგი მეურნე ცდილობს, ინვესტორის შემოყვანაზე თავად იზრუნოს. ობიექტების გაყიდვა ადვილია, მაგრამ იმის პროგნოზირებაა რთული, თუ რას მოგვიტანს ობიექტების მასობრივი პრივატიზება თუნდაც ხუთი წლის შემდეგ."

სოსო ცისკარიშვილის განმარტებით, ინვესტიციებთან მიმართებაში ხელისუფლებამ საკმაოდ გონიერი და მოზომილი პოლიტიკა უნდა განახორციელოს. თუ მთავრობა უცხოურ ინვესტიციებს შეზღუდავს, მას საერთაშორისო საზოგადოების თვალში პრესტიჟი დაეკარგება, გახსნილი ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნად აღარ ჩაგვთვლიან. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერას დავკარგავთ. მეორეს მხრივ, უცხოური ინვესტიციების გარეშე ქვეყანა ადგილობრივი მრეწველობისა თუ ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას ვერ მოახერხებს.

## ამინდი

| | 24/03 | 25/03 | 26/03 |
|---|---|---|---|
| კიევი | -2 | -1 | 4 |
| რიგა | -4 | -3 | -2 |
| ვილნიუსი | -6 | -5 | 0 |
| მოსკოვი | -5 | -4 | -1 |
| მინსკი | -3 | -3 | -5 |
| პარიზი | 6 | 5 | 11 |
| რომი | 14 | 17 | 18 |
| ლონდონი | 4 | 9 | 10 |
| მადრიდი | 7 | 16 | 20 |
| ბონი | 6 | 10 | 13 |
| ვარშავა | -4 | -4 | 2 |
| ათენა | 17 | 14 | 21 |
| ბერნი | 3 | 11 | 17 |
| ამსტერდამი | 3 | 2 | 5 |
| ოსლო | -3 | -8 | -5 |
| ანკარა | 18 | 8 | 15 |
| ვარნა | 5 | 11 | 16 |
| დელი | 36 | 35 | 35 |
| ტოკიო | 16 | 18 | 13 |
| კოპენჰაგენი | -2 | -4 | 3 |
| ბაქო | 16 | 21 | 13 |
| ერევანი | 20 | 19 | 20 |
| ასტანა | 6 | 2 | 3 |
| ჰელსინკი | -8 | -4 | -4 |
| დუბლინი | 3 | 4 | 6 |
| ლისაბონი | 16 | 16 | 16 |
| პრაღა | 0 | 2 | 6 |
| სოფია | 2 | 12 | 19 |
| ბუდაპეშტი | 11 | 8 | 13 |
| ბუხარესტი | 8 | 11 | 18 |

# როგორი უნდა იყოს ელექტროენერგიის ტარიფი

ნუგზარ ხუჭუა
*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აფერხებს საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების წარმატებით განხორციელებას დაკავშირებულია გაუწონასწორებელი ფასების და არასაბაზრო სექტორის არსებობასთან.

გაუწონასწორებელი ფასები შეეხება უწინარეს ყოვლისა ფასებს ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე და მომსახურებაზე. ეს უმწვავესი პოლიტიკური საკითხია, რომელსაც ინტერესებიდან გამომდინარე, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ერთნი, უწინარეს ყოვლისა ბუნებრივი მონოპოლიების წარმომადგენლები, ამტკიცებენ, რომ ფასები მათ პროდუქციაზე და მომსახურებაზე შემცირებულია. რომ ისინი ახორციელებენ დანარჩენი ეკონომიკის სუბსიდირებას და ამის გამო ვერ ახერხებენ საინვესტიციო რესურსების მობილიზებას, ძირითადი კაპიტალის განახლებისა და განვითარებისათვის. სხვებს, მათი პროდუქციის მომხმარებლებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ფასები მაღალია, ან კიდევ უზომოდ გაზრდილია ის ხარჯები, რომელთანაც ფასების შედარებას სთავაზობენ. ამიტომ როცა საკითხი ეხება ფასების მომატება-არმომატებას , საუბარი მას შემდეგ უნდა დაიწყოს, როცა უზრუნველყოფილი იქნება მონოპოლისტი საწარმოების საქმიანობის გამჭვირვალეობა და ცნობილი გახდება დანახარჯების შემცირების რეზერვები. უყაირათო მუშაობა და სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა მომხმარებლის ჯიბიდან არ უნდა ანაზღაურდეს, რაც სამწუხაროდ ძალზე ხშირია საქართველოს ეკონომიკის პირობებში.




არსებობს თუ არა სუბსიდირება? ანუ ბუნებრივი მონოპოლიები ახორციელებენ თუ არა დანარჩენი ეკონომიკის და მათ შორის მოსახლეობის სუბსიდირებას? ამ საკითხის გარკვევას ჩვენ შევეცდებით მხოლოდ ენერგეტიკული სექტორის მაგალითზე, რადგან პრობლემის დიდი მოცულობის გამო მის ერთ წერილში განხილვა შეუძლებელია.

შეგახსენებთ, რომ საკითხი შეეხება ფასს ენერგეტიკული საწარმოების პროდუქციაზე, რომელიც საბაზრო პრინციპით არ დგინდება. იგი რეგულირდება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ. ერთი თვის წინ, სემეკის ხელმძღვანელმა განაცხადა 2006 წელში ელექტროენერგიაზე და ბუნებრივ აირზე ფასების მომატების შესახებ. საყურადღებოა, რამდენად საფუძვლიანი იყო ეს განცხადება. პრობლემის სიცხადისათვის, გამოვიყენოთ ანალიზის მეთოდი. კერძოდ, ჯერ შევეცადოთ ერთმანეთს შევადაროთ საქართველოსა და სხვა ქვეყნების ელექტროენერგიის ტარიფები. საჭიროა ისიც ავღნიშნოთ რომ ხშირად ასეთ შედარებებს ეჭვქვეშ აყენებენ განსხვავებული ბაზრისა და ეკონომიკური პირობების არსებობის გამო, მაგრამ, ამ სფეროში, შეფასების სხვა კრიტერიუმების გამოყენება კიდევ უფრო საეჭვო და არასაიმედოა.

ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, ელექტროენერგიაზე ტარიფები შეადგენს (ცენტი 1კვტ/სთზე): იაპონია - 14,3; დიდი ბრიტანეთი - 6,4; გერმანია - 5,7; აშშ - 3,9; რუსეთი - 3,23. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში: სომხეთი - 4,52; ესტონეთი - 8,07; ყაზახეთი - 3,04; ყირგიზეთი - 1,0; მოლდოვა - 5,81 ლიტვა - 9,51; ლატვია - 8,19; უკრაინა - 2,74. კანონზომიერება ნათელია: ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ ქვეყნებს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, დაბალი ტარიფი აქვთ. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო ენერგეტიკული რესურსებით ღარიბი არ არის, მაშინ ელექტროენერგიაზე ტარიფების სისტემატიური ზრდა გაუმართლებელია.

არსებობს მტკიცება იმის შესახებ, რომ ელექტროენერგიის დაბალი ტარიფი იწვევს ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვას და საბოლოო ჯამში მის ფლანგვას, ხოლო მაღალი ტარიფი ელექტროენერგიის დაზოგვას და აქედან გამომდინარე ელექტროენერგით მომარაგების გაუმჯობესებას. არგუმენტად მოჰყავთ საერთაშორისო გამოცდილება, რომლის მიხედვით ელექტროენერგიაზე ფასის 1-დან 6 ცენტამდე მომატების პირობებში ელექტროენერგიის ხარჯი 1000 დოლარ დამატებულ ღირებულებაზე მცირდება 3,7 ტონა პირობითი საწვავიდან (ნავთობის ეკვივალენტით) 0,5-0,6 ტონა პირობით საწვავამდე.

ზემოთაღნიშნული მტკიცება არ შეიძლება გახდეს საქართველოში ელექტროენერგიაზე ფასების მომატების საფუძველი, ვინაიდან, ჯერ ერთი, საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა და ბიზნესი მხოლოდ ეხლა იწყებს ფეხზე დადგომას და იგი საჭიროებს დახმარებას და ხელშეწყობას. მეორე - თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობას და მოუწესრიგებელ საპენსიო სისტემას, მაშინ ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატება ნაადრევი და არასამართლიანი იქნება. მესამე - თავისი მონოპოლიური მდგომარეობის წყალობით, ელექტროენერგეტიკამ შეძლო ფასების წინმსწრები ტემპებით ზრდა სხვა დარგების პროდუქციის ფასებთან შედარებით. ამიტომ მათი პროდუქციის მომხმარებლები იძულებულნი არიან ენერგეტიკოსებს იმაზე მეტი გადაუხადონ, რასაც ისინი ნორმალური კონკურენციის პირობებში იმსახურებენ. ამის საილუსტრაციოდ საყურადღებოა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების განხილვა სამომხმარებლო ფასების ინდექსების შესახებ, პროდუქციის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, 1997-2004 წლებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიზრდება 1,63-ჯერ. დაახლოებით ანალოგიური ზრდა დაფიქსირდა ისეთ სასაქონლო ჯგუფებში როგორიცაა: სურსათი, სასმელები, თამბაქო, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სამედიცინო მომსახურება და სხვა. შედარებით დაბალი - ტანსაცმელი,ფეხსაცმელი, საოჯახო საქონელი, განათლება და კულტურა. განსაკუთრებით მაღალი ტემპები დაფიქსირდა ელექტროენერგიაზე - 2,41 - ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე - 2,57-ჯერ. აქედან გამომდინარე იმის მტკიცება, რომ ბუნებრივი მონოპოლიები ახორციელებენ დანარჩენი ეკონომიკის სუბსიდირებას ეჭვს იწვევს და უბრალოდ დაუსაბუთებელია.

# ხელისუფლება და ქართული ბიზნესი

## "ხიდჩატეხილობის პრობლემის" მოტივების მიხედვით

დიანა ჩაჩუა

*გუშინ ბიზნესმენთა ფედერაციაში ბიზნესმენებსა და ფინანსთა მინისტრს შორის დიალოგის გამართვის მცდელობა შედგა. შეხვედრის შემდეგ ლექსო ალექსიშვილი კმაყოფილი ჩანდა იმ ფაქტით, რომ საგადასახადო კოდექსში სამინისტროს მიერ მომზადებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ბიზნესმენებს "ბევრი შენიშვნა არ გამოუთქვამთ". რამდენად დამაჯერებელია მინისტრის კმაყოფილება, ამაზე ქართულ ბიზნესში არსებული სიტუაციაც მეტყველებს. როგორც ჩანს, ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის არსებული, "ცალ კარში თამაში" დიდხანს გაგრძელდება...*


*ალექსი ალექსიშვილი და გიორგი ისაკაძე.*

ბიზნესმენთა ფედერაცია ფინანსთა სამინისტროსგან საგადასახადო დავალიანების შემთხვევაში ყადაღის დადების პროცედურების დაზუსტებას მოითხოვს. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, ბუნდოვანია საგადასახადო კოდექსისთვის მომზადებული ცვლილებების პროექტის ის მუხლი, რომელიც ყადაღის დადების მექანიზმებს ითვალისწინებს.

საგადასახადო კოდექსისთვის მომზადებული ცვლილებების პროექტით, აღიარებული საგადასახადო დავალიანების შემთხვევაში ყადაღის დადების პროცედურები მთლიანად იცვლება. თუ ამჟამად მოქმედი კოდექსით, საგადასახადო დეპარტამენტს დავალიანების შესაბამისი ქონების დაყადაღება შეეძლო, მომზადებული ცვლილებით, ყადაღა საწარმოს მთელ ქონებას ედება და გასაყიდად აუქციონზე გადის.. "ეს საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარი პროცედურებია. ჩემთვის გაურკვეველია, 10 ლარის ოდენობის დავალიანების გამო, მთავრობა რატომ არის მზად, მთელი ქონება დააყადაღოს. გაუგებარია, როგორ მოხდება, ვთქვათ, მილიონიანი ქონებიდან 10 ლარის ღირებულების ქონების გამოყოფა და მისი გაყიდვა. ჩემთვის ასევე გაურკვეველია, როგორ იმოქმედებს კომპანია დაყადაღების პროცესში, როგორ განახორციელებს ის თავის საქმიანობას, გადარიცხვებს და სხვა," - აცხადებდა გუშინ ისაკაძე.

საინტერესო იყო ამ შენიშვნის შესახებ ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება: ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით, საგადასახადო კოდექსში არაფერი იცვლება და აქამდე არსებული მექანიზმები რჩება.

თუმცა, სხვა რამ წერია თავად მოქმედ კოდექსსა და მასში შესატანი ცვლილებების პროექტში. მოქმედი კანონის 87-ე მუხლში აღნიშნულია, რომ "აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონებას. მათ შორის, მოძრავ, უძრავ, არამატერიალურ ქონებას აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში." გუშინ ბიზნესმენთა ფედერაციაში სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტის 87-ე მუხლის ვარიანტი დარიგდა. სამინისტროს ცვლილებების პროექტში აღნიშნული მუხლის ბოლო ნაწილი - "აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში" - მთლიანად ამოღებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მეწარმის მთელი ქონება დაყადაღებას ექვემდებარება.

ბიზნესმენთა ფედერაციის განცხადებით, გაუარესებულია ასევე საგადასახადო მოთხოვნის შესრულების ვალდებულებაც. თუ აქამდე ეს ვალდებულება მხოლოდ შემოწმების შემდეგ ზუსტდებოდა, ცვლილებების მიხედვით, შესაძლებელია, მეწარმეს ვალდებულება შემოწმების გარეშეც დაეკისროს. საუბარია საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტიდან ამოღებულ დავალიანების გადავადების მექანიზმზეც. კერძოდ, თუ ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, მეწარმეს დაყადაღების თავიდან აცილების მიზნით დავალიანების ეტაპობრივად გადახდა შეეძლო, ცვლილებების პროექტში ეს გათვალისწინებული არ არის. "ამით, პრაქტიკულად, საწარმოს ქონება განწირულია გაყიდვისთვის," - მიაჩნიათ ბიზნესმენთა ფედერაციაში.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს პროექტის ვარიანტს, რომლის პრეზენტაციაც გუშინ ალექსიშვილმა მოაწყო: ის საერთაშორისო კავშირგაბმულობის მომსახურების წარმოების დღგ-სგან გათავისუფლებას, სიგარეტზე აქციზის 70-90 თეთრიდან 50 თეთრამდე დაწევას, დღგ-სგან თბოელექტროსადგურებისთვის მიწოდებული გაზის გათავისუფლებას, ასევე დღგ-სგან ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული საქონლის გათავისუფლებას ითვალისწინებს, იმ შემთხვევაში, თუ დამფინანსებელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტია. ცვლილებები ასევე 1 000 კუბური მეტრი საავტომობილო გაზის 150 ლარით დაბეგვრას ითვალისწინებს.

გუშინდელ შეხვედრაზე, მოლოდინისამებრ, მკაცრი იყო თამბაქოს მწარმოებლების ტონი. მათთვის სააქციზო განაკვეთების ის ნორმებია მიუღებელი, რომელიც ახალი კოდექსით ადგილობრივ და იმპორტირებულ თამბაქოს ნაწარმზე დაწესდება. კერძოდ, კოდექსის ახალი რედაქციით, ადგილობრივი წარმოების სიგარეტზე სააქციზო განაკვეთი 40 თეთრით, იმპორტირებულზე კი 60 თეთრით განისაზღვრება. მეწარმეების განცხადებით, ეს კატასტროფულ შედეგამდე მიიყვანს ადგილობრივ წარმოებას და მის პარალიზებას გამოიწვევს. თუმცა ტრადიციულად მშვიდი იყო ფინანსთა მინისტრის ტონი, რომელიც ირწმუნება, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი, "ძირითადად, ყველა ბიზნესმენისთვის მისაღებია."

საინტერესო დეტალი: პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში ექსპერტთა საბჭოს მიერ მომზადებული სხვა პროექტიც არსებობს, რომელიც, აგრეთვე, საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს ითვალისწინებს. "მთავრობას ამ ორი პროექტის შეჯერებაზე მოუწევს მუშაობა. სერიოზული შენიშვნებია წარმოდგენილი პარლამენტის მხრიდანაც," - განაცხადა ისაკაძემ.

ეს კი პარლამენტში, ბიზნესმენთა ფედერაციასთან ერთად მომზადებული ცვლილებების პროექტია: აქ ძირითადი აქცენტი ინდმეწარმეებისა და მცირე საწარმოებისთვის გარკვეული შეღავათების დაწესებაზეა გაკეთებული. კერძოდ, ინდმეწარმის, თვეში 150 ლარის ოდენობით შემოსავალი ყველანაირი გადასახადისგან თავისუფლდება. აღნიშნულ თანხაზე მეტი შემოსავალი კი შეღავათიანი განაკვეთით იბეგრება. კერძოდ, 20 ათას ლარამდე წლიური შემოსავლის მქონე პირთათვის სოციალური გადასახადი 7,5 პროცენტი, ხოლო 20 ათას ლარს ზემოთ - 15 პროცენტი იქნება. ასევე, ის ინდმეწარმეები, რომლებიც დაქირავებულ პირთა შრომას არ იყენებენ, ქონების გადასახადისგან თავისუფლდებიან. ეს პროექტი მცირე მეწარმეებისთვის შეღავათს მოგების გადასახადთან მიმართებაშიც მოიცავს: თუ დასაბეგრი მოგება 20 ათასს არ აღემატება, იგი 10 პროცენტით, ხოლო მის ზემოთ - ჩვეულებრივ, 20 პროცენტით დაიბეგრება. და კიდევ ერთი: პარლამენტისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული, თამბაქოზე აქციზის განაკვეთები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია - საკანონმდებლო ორგანოს პროექტი აქციზის 50 პროცენტით შემცირებას ითვალისწინებს, მაშინ, როცა სამინისტროს პროექტი განაკვეთის 25-30 პროცენტით შემცირებას აპირებს.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტს მეორე მოსმენის წინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში ექსპერტებისა და ბიზნესმენთა ფედერაციის წარმომადგენლების თანდასწრებით განიხილავენ - ასეთია გუშინდელი შეხვედრის შედეგი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. გურჯაანის ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა სკოლა აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა შემსყიდველის მიერ წინასწარ წარდგენილი განცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

3. მოწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 13 აპრილის 10-დან 17 საათმდე შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №14.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №14.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ რობერტ არაყიშვილისაგან. მისამართი: ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №14. ტელ: 2-38-80.

**რობერტ არაყიშვილი**
**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# განცხადება
# საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების თაობაზე

გაცნობებთ, რომ იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სტაჟიორების მისაღებად შემდეგ დეპარტამენტებში:

1. მინისტრის ბიურო;
2. მთავარი კანცელარია;
3. სამართალშემოქმედების დეპარტამენტი;
4. სამართლებრივი ექსპერტიზის დეპარტამენტი;
5. ეკონომიკური დეპარტამენტი;
6. ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სახელმწიფო ვალის დეპარტამენტი;
7. სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტი;
8. საკადრო საკითხთა დეპარტამენტი;
9. გენერალური ინსპექცია;
10. სააღსრულებო დეპარტამენტი;
11. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტი;
12. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტი;
13. ნოტარიატის დეპარტამენტი;
14. მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი;
15. სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის,მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტი;
16. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტი;
17. ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

**კონკურსის პირობები:**

1. სტაჟიორად შეიძლება დანიშნულ იქნეს შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

2. სტაჟირების კანდიდატმა უნდა შეავსოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განაცხადი სტაჟირებაზე, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს:

**ა)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**
**ბ) აქტუალური CV;**
**გ) ფოტოსურათი 3/4;**
**დ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან;**
**ე) რეკომენდაცია/შუამდგომლობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან.**

3. სტაჟირების კანდიდატთა განაცხადები საბუთებთან ერთად მიიღება იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში ა/წლის 27 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით;

4. გასაუბრება ჩატარდება ა/წლის 12 აპრილიდან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (მის: თბილისი, რუსთაველის გამზ. N30. ტელ: 75-82-93) ან იხილეთ იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი **www.justice.gov.ge**.




# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, **ელ-ფოსტა: info@tbilmetro.com.ge**) აცხადებს ღია ტენდერს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი"-სათვის შავი ლითონის ნაწარმის სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს (კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ მისამართზე ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი").

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად 2006 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველსა და და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ა N173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი N3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 მარტის 10:00 სთ-დან 2006 წლის 14 აპრილის 12:00 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".

5. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა საჯარო რეესტრის სააგანტოს ადგილობრივი ორგანოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან არ იქნება წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია. სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 14 აპრილის 16:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი.

9. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 14 აპრილის 16:00 სთ -ზე.

11. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო აპარატში, საკონტაქტო ტელეფონი: 877-52-54-34, 35-60-26, შიდა ტელეფონი: 90-99, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

**სატენდერო კომისია 24 მარტი 2006 წელი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, **ელ-ფოსტა: ინფო@ტბილმეტრო.ცომ.გე**) აცხადებს ღია ტენდერს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი"-სათვის საამშენებლო მასალების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს (კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ მისამართზე ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი").

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად 2006 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველსა და და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ა N173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი N3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 მარტის 10:00 სთ-დან 2006 წლის 13 აპრილისს 12:00 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".

5. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგანტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან არ იქნება წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია. სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 13 აპრილის 16 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი.

9. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 13 აპრილის 16:00 სთ -ზე.

11. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო აპარატში, საკონტაქტო ტელეფონი: 877-52-54-34, 35-60-26, შიდა ტელეფონი: 90-99, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

**სატენდერო კომისია 24 მარტი 2006 წელი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს ორგტექნიკის, კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერის აქსესუარების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტების დასახელება:

ლოტი N1

კომპიუტერი სერვერი - **CPU**:2xXeon DP 3.0G/800MHz FSB/2MB iL2/HT-enabled. **HDD**: 4x U320-73GB 10K RPM 80 PIN IN CARRIER. **System Memory**: - 1GB DDR2 Reg ECC. **Storage Interface**: RAID SCSI 320-1CH 64BIT 66MHZ PC12.2 64MB SDRAM. **Optical Drive**: DVD 16x black. **Keyboard**: USB. **Mouse**: USB Optical Mouse. **LAN**: Gigabit Ethernet - 2 ცალი.

- კომპიუტერი დესკტოპი

**I ვარიანტი** - **CPU**:Prescott Celeron D320 256KB, 533FSB (2.66Ghz). **HDD**: 80GB. **Memory**: DDR 256MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: PS/2 Button Mouse. **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: CD-ROM 52X. **Ports**: Three PCI 2.2 (5V) ports; Six USB 2.0 ports (Two front, Four rear). **LAN**: 10/100Mb LAN- 99 ცალი.

**II ვარიანტი** - **CUP**: Prescott P4 - 2MB L2Cache 800FSB 630 (3Ghz). **HDD**: SATA 7200RPM 80GB. **Memory**: DDR2 512MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: USB 2 Button + Wheel (Optical). **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: COMBO DVD-CDRW. **Ports**: One PCI Expressx16slot, One PCI Exspress x1slot, Two PCI 2.3 slots; Eight USB 2.0 ports. **LAN**: Gigabit LAN - 11 ცალი.

**III ვარიანტი** - **CPU**: Prescott P4-2MB L2Cache 800FSB 640 (3.2Ghz). **HDD:** SATA 7200RPM 160GB. **Memory:** DDR2 1GB. **Keyboard:** PS/2. **Mouse**: USB 2 Button + Wheel (Optical). **VGA:** 128MB PCI Express External Card. **Optical drive**: COMBO DVD-CDRW. **Ports**: one PCI Expressx16 slot, one PCI express x1 slot, Two PCI 2.3 slots; Eight USB 2.0 ports. **LAN:** Ggabit LAN - 6 ცალი.

- კომპიუტერი ნოუთბუქი

I ვარიანტი - **CPU**: Celeron - M 340 (1.5GHz/512K). **Memory**: 256MB. HDD:40GB. **Optical Drive**: DVD-CDRW. **Network Interface**: 10/100wired; 56K modem. **Screen:** 15.0"XGA. **Ports**: 3xUSB 2.0 - 11 ცალი.

II ვარიანტი- **CPU:** Pentium M 760 (2GHz). **Memory**: DDR II 512. HDD: 100GB. **Optical Drive**: DVD-Dual double layer. **Networrk Interface:** Wi-Fi . **Screen:** 15.4"WXGA - 3 ცალი.

- პრინტერი

ლაზერული - **Format**: A4. **PPM**: 14 ppm. **DPI**: 600x600 dpi. **Other**: USB 2.0 - 36 ცალი.

ლაზერული **Format**: A3. **PPM**: 20 PPM. **DPI**: 1200x1200 dpi. **Other**: USB 2.0 - 2 ცალი.

ჭავლური **Format**: A4. **PPM**: 16/12 ppm. **DPI**: 1200x4800 dpi. **Other**: USB 2.0 - 4 ცალი.

ჭავლური **Format**: A3. **PPM**: 14/11 ppm. **DPI**: 4800x1200 dpi. **Other**: USB 2.0 - 1 ცალი.

- სკანერი

სკანერი **Format**: A3. **Quality**: 300x600dip.**Color:** 48-bit. **Other**: USB 1.1 - 3 ცალი

სკანერი **Format**: A4. **Quality**: 1200 dip optical resolution. **Color:** 48-bit. **Other**: USB 2.0 - 27 ცალი

სერტიფიკატი: TCO'03

- მონიტორი

მონიტორი - **Display Size**: 17" CRT, Natural flat tube. **Dot Pitch**:0.25 mm diagonal. **Resolution**: 1280x1024. **Scanning Frequancy**: 30kHz to 70kHz. Video **Bandwidth**: 110MHz - 99 ცალი

მონიტორი - **Display Size:** 17"LCD, **Pixel Pitch:** 0.264mm, **Resolution**: 1280x1024, **Contact Ratio**: 500:1, **Brightness**: 300cd/m2, **Viewing angle**: 140(H), 130(V), **Response Time**: 12ms - 24 ცალი.

მონიტორი - **Display Size:** 19", **Pixel Pitch:** 0.294mm, **Resolution**: 1280x1024, **Contract Ratio**: 500:1, **Brightness**: 250cd/m2, **Viewing Angle**: 140(H), 140(V), **Response Time**: 12ms, **Speaker:** 2W X 2 - 6 ცალი

მონიტორი **Display Size**: 20". **Pixel Pitch:** 0.294mm. **Resolution**: 1400x1050. **Contact Ratio**: 600:01:00. **Brightness**: 300cd/m2. **Viewing Angle**: 150(H), 130(V). **Response Time**: 8ms. - 1 ცალი

- ქსელის აპარატურა

Cisco PIX 515E Firewall Chassis Restricted Bundle (ან მსგავსი) - 2 ცალი

Switch 10/100Mbs 8 port - 62 ცალი

Switch 10/100Mbs 16 port - 21 ცალი

- უწყვეტი კვების წყარო

UPS 600VA - 25 ცალი

UPS Smart 1500VA - 2 ცალი

- დედა პლატა @

**Motherboard**: ATX, Intel **R** 915P Express Chipset, Dual-channel DDR-400 memory support , LGA775 socket support, PCI Express*x16 graphics, High Definition Audio (6-channel), 2 PCI Express*x1 expansion slots, 10/100 LAN - 5 ცალი

**Motherboard**: ATX, Intel **R** 955X Chipset DDR2-667 & 533 MHz, LGA775 Socket, One PCI Express *x16 slot, Two PCI Express x*1 slot, Three PCI slots, Four Serial ATA ports via integrated RAID controller, Support for RAID and non-board discrete RAID controller High Definition Audio, 1000 (Gigabit)- 3 ცალი

- პროცესორი

Box Celeron **R** 331,2.6G/256k/533 - LGA775 (ან ექვივალენტური)- 5 ცალი

Memory Device DDR DIMM SDRAM, 256MB, 400MHz (PC3200), 32x64 - 10 ცალი

Box P4 630 3.0/800/2M - LGA775 (ან ექვივალენტური) - 3 ცალი

- ოპერატიული მეხსიერება

Memory Device DDR DIMM SDRAM, 256MB, 400MHz (PC3200), 32x64 - 10 ცალი

Memory Device DDR DIMM SDRAM, 512MB, 400MHz (PC3200), 64x64 - 10 ცალი

Memory Device DDR DIMM SDRAM, 1024MB, 400MHz (PC3200), 128x64 - 6 ცალი

- მყარი დისკი

40GB HDD 7200rpm, 3.5" 2MB, 11ms avg, Ultra ATA-100 - 20 ცალი

80GB HDD 7200rpm, 3.5" 2MB, 11ms avg, Ultra ATA-100 - 20 ცალი

300GB HDD 7200rpm, 3.5" 8MB, 11ms avg, SATA 1.5Gb/s - 3 ცალი

- მყარი დისკის ყუთი - USB-2 HDD Kit Bafo for 3.5" - 3 ცალი

- კვების ბლოკი - Power Supply 300W - 5 ცალი

- კომპაქტ დისკის მატარებელი

CD-RW 52x32x52 OEM - 10 ცალი

DVD-CDRW OEM - 20 ცალი

- კომპაქტ დისკის ჩამწერი - CDRW - DVD COMBO I DE/Asus CB5216 52x32x16x52 Black - 1 ცალი

- ვიდეო თვალი D - Link/DSB - C320 300K pixel USB 1.1VGA Internet Camera - 2 ცალი

- მაგნიტური მეხსიერება - HP surestore DAT24E Tape (ან ანალოგიური) - 1 ცალი

- ფლოპი დისკის მატარებელი FDD 1.44" - 20 ცალი

- ფლეშ მეხსიერება

1GB USB 2.0 - 8 ცალი

512 MB USB 2.0 - 20 ცალი

- ვიდეო ბარათი

Geforce FX5200 128MB, AGP8X - 5 ცალი

ASUS AX800Pro 256MB DDR3 256bit AGP (ან ანალოგიური) - 5 ცალი

ASUS GF6600TD 256Mb 128BIT PCI-E (ან ანალოგიური)- 5 ცალი

- გამზომი პლატა -PCI-DAS6033 DASYLab Pro CHDS-6 SBC-100 (ან ანალოგიური) - 1 ცალი

- კლავიატურა PS/2 - 30 ცალი

- მაუსი Optical PS/2 - 100 ცალი

- კეისი Case ATX 300VA - 10 ცალი

- პრინტერის კარტრიჯები

HHP LJ 6L C3906A - 10 ცალი

HHP LJ 1100 C4092A - 10 ცალი

HHP LJ 1200 C7115A - 10 ცალი

HHP LJ 1020 Q2612A - 51 ცალი

HHP LJ 2200 C4096A - 4 ცალი

Color HP LaserJet 1500L - 1 ცალი

HP LaserJet 4Plus 92298X - 3 ცალი

HP LaserJet 5100 C4129X - 4 ცალი

Canon LBP EP22 - 4 ცალი

- კოპიერის კარტრიჯები

თქვენს მიერ შემოთავაზებული კოპიერის კარტრიჯი - 15 ცალი

Canon PC860 E30 - 4 ცალი

- კომპიუტერული ქსელის მასალები

კაბელი LAN Cable UTP 305m Cat 5e - 20 ცალი

კონექტორი UTP Connector RJ45 - 200 ცალი

ფლოპი დისკი FDD 1.44 - 500 ცალი

კომპაქტ დისკები 700 MB CD - 500 ცალი

კომპაქტ დისკები CD RW700 mb - 200 ცალი

- კოპიერი

A3 1200x1200dpi 25 ppm R2000 - 3 ცალი

A4 1200x1200dpi 25ppm - 10 ცალი

A4 600x600dpi 4ppm - 16 ცალი

- პლოტერი - **Print Size**: UP to 11" x 17", **Print Speed**: 4 Minutes per Page, **DPI:** 2400 x 1200 dpi, **Other:** USB 2.0 - 2 ცალი

- მულტიმედია პროექტორი - **Resolution:** Native SVGA (800x600), Maximum SXGA (1.280 x1.024), **Contrast Ratio**: 2000:1, **Displayable Colors:** 16.7 Million Colors, **Brightness:**2.100 ANSI Lumens (Standard), 1.680 ANSI Lumens (ECO) -10 ცალი

- ფაქსი - თერმო ქაღალდით, ავტომატური საჭრელით და ავტომოპასუხით - 11 ცალი

მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.N1, თსუ 1-ლი კორპუსი.

ლოტი N2

- პერსონალური კომპიუტერი: P4-2.4 GHZ, RAM 512 MB, HDD 80 GB, LAN, KEY, Mouse, 17" Flat - 32 ცალი

- პერსონალური კომპიუტერი: P4-3 GHZ, RAM DDR 512 MB, HDD 160 GB, LAN, KEY, Mouse, 17" LCD - 4 ცალი

- კომპიუტერი ნოუთბუქი - CPU 2.0, cpu-cash 2MB, RAM DDR2 512 MB, HDD-60 GB 7200, DVD-RW, Video Memori 128 MB DDR, touch pad, v-92 modem, lan 1000, Wlan 802.11, Infrared, S-video, დამატებითი კვების ბლოკი -1 ცალი

- კომბო ALL-in-One/Fax, Copirer, Scane, Printer.

Fax 33.6 kbps /300x300/

Printer A4 /4800x1200/ 17/12ppm

Scaner A4 /600z1200/ 36/24 bit bolor

Copier A4 /2400x1200/17/12 ppm - 2 ცალი

- კომპიუტერი სერვერი: Dual (cpu) 3.0 RAM 2GB ECC DDR2, scsi 72 GBx2 raid 0,1,5, DVD, power supply dual, LAN-1000, KEY, Mouse, monitor - 1 ცალი.

პრინტერი ლაზერული - **Format**: A4. **PPM**: 14 ppm. **DPI**: 600x600 dpi. **Other**: USB 2.0 - 5 ცალი.

- მაუსი Optical PS/2 - 40 ცალი

- ქსელის კაბელი LAN Cable UTP 305m Cat 5e - 3 ყუთი

- მყარი დისკი - 80 GB HDD 7200rpm, 3.5" 2MB, 11ms avg, Ultra ATA-100 -5 ცალი

- ვიდეო თვალი D - Link/DSB - C320 300K pixel USB 1.1VGA Internet Camera - 5 ცალი

- პროექტორი - Digital proJeqtor, contrast 2000:1, temote control, s-video, audio - 2 ცალი

- Flash-disc 1 GB - 3 ცალი.

მიწიდების ადგილი: ქ.თბილისი, თსუ სოხუმის ფილიალი, ჯიქიას ქ.N9.

ლოტი N3

- კომპიუტერი დესკტოპი - **CPU**:Prescott Celeron D320 256KB, 533FSB (2.66Ghz). **HDD**: 80GB. **Memory**: DDR 256MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: PS/2 Button Mouse. **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: CD-ROM 52X. **Ports**: Three PCI 2.2 (5V) ports; Six USB 2.0 ports (Two front, Four rear). **LAN**: 10/100Mb LAN - 15 ცალი

- მონიტორი - **Display Size**:17"CRT, Natural flat tube, **Dot Pitch**: 0.25mm diagonal, **Resolution**: 1280x1024, **Scanning Frequency**: 30kHz to 70kHz, **Video Bandwidth**: 110 MHz - 15 ცალი

- კომპიუტერი სერვერი - **CPU:** Prescott P4 - 2MB L2Cache 800F 640 (3.2 GHz), **HDD: SATA 7200RPM 160GB, Memory:** DDR2 1GB, **Keyboard**: PS/2, **Mouse:** USB 2 Button + Wheel (Optical), **VGA:** 128MB PCI Express External Card, **Optical Drave:** COMBO DVD-CDRW, **Ports:** One PCI Express x 16 slot, One PCI Express x 1 slot, Two PCI 2.3 slots, Eight USB 2.0 ports, **LAN:** Gigabit LAN - 2 ცალი

- კომპიუტერი ნოუთბუქი - **CPU:** Celeron-M 340 (1.5GHz/512K), **Memory**: 256MB, **HDD**: 40GB, **Ortical Drive**: DVD-CDRW, **Network Iterface**: 10/100 wired; 56K modem, **Screen:** 15.0"XGA, **Ports**: 3 x USB 2.0 - 1 ცალი

- პრინტერი ლაზერული A - **Fformat:** A3, **PPM**: 20 PPM, **DPI**: 1200 x 1200 dpi, **Other:** USB 2.0 - 1 ცალი

- პრინტერი ლაზერული A - **Fformat:** A4, **PPM**: 20 PPM, **DPI**: 600 x 600 dpi, **Other:** USB 2.0 - 9 ცალი

- სკანერი A **- Format**: A4, **Quality:** 1200 dpi optical resolution, **Color:**48 bit **Other:** USB 2.0 - 2 ცალი

- უწყვეტი კვების წყარო - UPS 600VA - 18 ცალი

- ოპერატიული მეხსიერება Memory Device (DDR2 DIMM SDRAM, 1024MB, 533MHz(PC2-4300),128 x 64 - 1 ცალი

- ფლეშ მეხსიერება -1GB USB 2.0- 3 ცალი

- კომპაკ დისკების ჩამწერი AA CDRW 52X32X52 OEM - 3 ცალი

- დენის ფილტრი -5M - 25 ცალი

- მაუსი - Optical PS/2 - 14 ცალი

- კლავიატურა - PS/2 - 5 ცალი

- პრინტერის კარტრიჯები - HP lj 6L C3906A - 20 ცალი

- კომპაქტ დისკები -700 mb - 300 ცალი

- ფლოპი დისკები - FDD 1.44" - 100 ცალი

- კოპიერი A4 1200x1200dpi 25ppm - 1 ცალი

- მულტიმედია პროექტორი - **Resolution:** Native SVGA (800 x 600), Maximum SXGA (1,280 x 1,024), **Contrast Ratio:** 2000:1**, Displayable Colors:** 16.7 Million Colors, **Brightness:** 2,100 ANSI Lumens (Standard), 1,680 ANSI Lumens (ECO) - 1 ცალი.

მიწოდების ადგილი: ახალციხე, თსუ მესხეთის ფილიალი რუსთაველის 91.

ლოტი N4

- კომპიუტერი დესკტოპი -**CPU**:Prescott Celeron D320 256KB, 533FSB (2.66Ghz). **HDD**: 80GB. **Memory**: DDR 256MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: PS/2 Button Mouse. **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: CD-ROM 52X. **Ports**: Three PCI 2.2 (5V) ports; Six USB 2.0 ports (Two font, Four rear). **LAN**: 10/100Mb LAN - 4 ცალი

მონიტორი A - **Display Size**: 17" CRT, Natural flat tube. **Dot Pitch**:0.25 mm diagonal. **Resolution**: 1280x1024. **Scanning Frequency**: 30kHz to 70kHz. Video **Bandwidth**: 110MHz - 4 ცალი

- პრინტერი ლაზერული **Format**: A4. **PPM**: 14 ppm. **DPI**: 600x600 dpi. **Other**: USB 2.0 - 1 ცალი

მიწოდების ადგილი: ახალქალაქი, თსუ ჯავახეთის ფილიალი დ.ალმაშენებლის 119.

ლოტი N5

- კომპიუტერი დესკტოპი - **CPU**:Prescott Celeron D320 256KB, 533FSB (2.66Ghz). **HDD**: 80GB. **Memory**: DDR 256MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: PS/2 Button Mouse. **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: CD-ROM 52X. **Ports**: Three PCI 2.2 (5V) ports; Six USB 2.0 ports (Two font, Four rear). **LAN**: 10/100Mb LAN - 2 ცალი

მონიტორი A - **Display Size**: 17" CRT, Natural flat tube. **Dot Pitch**:0.25 mm diagonal. **Resolution**: 1280x1024. **Scanning Frequancy**: 30kHz to 70kHz. Video **Bandwidth**: 110MHz - 3 ცალი

- პრინტერი ლაზერული **Format**: A4. **PPM**: 14 ppm. **DPI**: 600x600 dpi. **Other**: USB 2.0 - 2 ცალი

- სკანერი **Format**: A4, **Quality:** 1200 dpi optical resolution, **Color:**48 bit **Other:** USB 2.0- 1 ცალი

- დენის ფილტრი 5M - 2 ცალი

- მაუსი Optical PS/2 - 10 ცალი

- კლავიატურა PS/2 - 1 ცალი

- პრინტერის კარტრიჯები

HP LJ 1000 - 3 ცალი

HP LJ 1100 - 2 ცალი

- კომპაქტ დისკები 700 mb - 18 ცალი

- ფლოპი დისკები 1.44 - 15 ცალი

- DVD-RW - 1 ცალი

- უწყვეტი კვების წყარო

UPS 600VA - 2 ცალი

მიწოდების ადგილი: ოზურგეთი, თსუ ოზურგეთის ფილიალი ივ.ჯავახიშვილის 59.

ლოტი N6

- კომპიუტერი დესკტოპი - **CPU**:Prescott Celeron D320 256KB, 533FSB (2.66Ghz). **HDD**: 80GB. **Memory**: DDR 256MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: PS/2 Button Mouse. **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: CD-ROM 52X. **Ports**: Three PCI 2.2 (5V) ports; Six USB 2.0 ports (Two font, Four rear). **LAN**: 10/100Mb LAN - 35 ცალი

მონიტორი A - **Display Size**: 17" CRT, Natural flat tube. **Dot Pitch**:0.25 mm diagonal. **Resolution**: 1280x1024. **Scanning Frequency**: 30kHz to 70kHz. Video **Bandwidth**: 110MHz -40 ცალი

- პრინტერი ლაზერული **Format**: A4. **PPM**: 14 ppm. **DPI**: 600x600 dpi. **Other**: USB 2.0 - 2 ცალი

- უწყვეტი კვების წყარო UPS 1500VA - 1 ცალი

- ქსელის პლატა 10/100MB 3COM (ან ანალოგიური) - 1 ცალი

- ქსელის მასალები LAN Cable UTP 305m Cat 5e - 1 ცალი

- ფლეშ მეხსიერება 512MB USB 2.0 Flash- 2 ცალი

- დენის ფილტრი 5M - 2 ცალი

- მაუსი Optical PS/2- 30 ცალი

- კლავიატურა PS/2 - 20 ცალი

- პრინტერის კარტრიჯი HP Lj 6L C3906A - 2 ცალი

- კომპაქტ დისკები 700 mb - 200 ცალი

- ფლოპი დისკები 1.44" FDD - 20 ცალი

- მყარი დისკი 80GB HDD 7200rpm, 3.5", 2MB, 11 ms avg, Ultra ATA-100 - 2 ცალი

- სკანერი **Format**: A4. **Quality**: 1200 dip optical resolution. **Color:** 48-bit. **Other**: USB 2.0 -1 ცალი

- ფაქსი - თერმო ქაღალდით, ავტომატური საჭრელით და ავტომოპასუხით - 1 ცალი

- კოპიერი A4 600x600dpi 4ppm - 1 ცალი

მიწოდების ადგილი: ქ.ზუგდიდი, თსუ ზუგდიდის ფილიალი სოხუმის ქ.N2ა

ლოტი N7

- კომპიუტერი დესკტოპი - **CPU**:Prescott Celeron D320 256KB, 533FSB (2.66Ghz). **HDD**: 80GB. **Memory**: DDR 256MB. **Keyboard**: PS/2. **Mouse**: PS/2 Button Mouse. **VGA**: 128MB On-Board. **Optical Drive**: CD-ROM 52X. **Ports**: Three PCI 2.2 (5V) ports; Six USB 2.0 ports (Two front, Four rear). **LAN**: 10/100Mb LAN - 5 ცალი

მონიტორი A - **Display Size**: 17" CRT, Natural flat tube. **Dot Pitch**:0.25 mm diagonal. **Resolution**: 1280x1024. **Scanning Frequency**: 30kHz to 70kHz. Video **Bandwidth**: 110MHz - 5 ცალი

- კოპიერი A4 600x600dpi 4 ppm - 1 ცალი

მიწოდების ადგილი: ქ.სიღნაღი, თსუ სიღნაღის ფილიალი ეკა ბეჟანიშვილის ქ.N26

ლოტი N8

